# საერთო გაზეთი

№42 (309) ● 3 დეკემბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

## დენიზა სუმბაძე:

## ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს



ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში

## საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

**ელიზბარ ჯაველიძე,**
მწერალი, აკადემიკოსი:
„თუ ყური არ მივუგდეთ ქალბატონ დენიზა სუმბაძის მიერ შემოკრულ განგაშის ზარს, ეს ჩვენი ერისა და ქვეყნის მტრობა იქნება.“

**ზურაბ რატიანი,**
მწერალი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:
„თუ უკვე მთლად წყალწაღებულები არ ვართ, დენიზა სუმბაძის ეს ნაშრომი დაუყოვნებლივ უნდა ითარგმნოს ინგლისურად და სხვა ენებზე, რათა ყველამ გაიგოს, რა არის ნამდვილი მიზეზი თანამედროვე კაცობრიობის გაბოროტებისა!“

**რევაზ ბალანჩივაძე,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:
„დაუჯერებელია? გამაოგნებელია? დიახ, არის, მაგრამ წინააღმდეგობას რომ ვერ უწევ? შენი არგუმენტებით რომ ვერ ამარცხებ მის მიერ შემოთავაზებულ არგუმენტებს?
...მინდა ეს დიდი გამარჯვება მივულოცო, პირველ რიგში, თავად ავტორს, შემდეგ კი მის მკითხველს.“



## ამოუხსნელი საიდუმლო!

თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე, რამდენიმე შენობაზე დემონებია გამოსახული

## დემურ გიორხელიძე:



აფხაზებს და ქართველებს მხოლოდ ერთი სახელმწიფო უნდა გვქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივენი განწირულნი ვართ...

## მზადდება თუ არა საპარლამენტო გადატრიალება?!

## თემურ მირიანაშვილი:

## მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი კაპიტალიზმის დასასრულის მაჩვენებელია






## გევორგ პეტროსიანი — თბილისელი ლუჩანო პავაროტი, ტაქსის მძღოლი თუ 21-ე საუკუნის აბო თბილელი?!

## საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის





# საიდუმლო, რომელიც ას წელზე მეტია ვერ ამოიხსნა

## თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე, რამდენიმე შენობაზე დემონებია გამოსახული



ას წელზე მეტია, იდუმალებითაა მოცული ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე სახლი, რომელზეც დემონის ქანდაკება იმდენად მოხერხებულადაა გამოკვეთილი, რომ უამრავი ადამიანი ახლაც ვერ ამჩნევს. გასული საუკუნის დასაწყისში წყვდიადის პირველი მოციქულის მონუმენტი არაერთხელ გამხდარა დავისა თუ მითქმა-მოთქმის საბაბი. ასეა ახლაც. ამ ქუჩის მაცხოვრებლებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, რისთვის დასჭირდა არქიტექტორს სახლზე ბოროტების სიმბოლოს გამოსახვა. საოცრებაა ისიც, რომ ძეგლთა დაცვის სამსახურში ამ სახლის ამშენებლის ვინაობა შემორჩენილი არ არის. დოკუმენტებში მისი სავარაუდო გვარია მინიშნებული, ის ვინმე იუზბაშევია, რომლის გვარიც შესაბამის წყაროებში სხვაგან არსად არ გვხვდება. ცნობისთვის: ინგოროყვას ექვს ნომერში მდებარე სახლი, რომელიც სახელმწიფო კანცელარიის პარალელური ქუჩაა, ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი აგებულია მე-19 საუკუნის ბოლოს, ის ცნობილი არქიტექტორის შიმკევიჩის ნახელავია, ხოლო მეორე ნაწილი, სადაც დემონია გამოსახული, აგებულია მეოცე საუკუნის დასაწყისში, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ სახლის პასპორტში, რომელიც ძეგლთა დაცვაში ინახება, მხოლოდ სავარაუდო ავტორია მინიშნებული. სახლები ახლა ერთი ციფრით, ექვსი ნომრით თარიღდება, მაგრამ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება სტილითა და არქიტექტურით. თუმცა, საერთოც ბევრი აქვთ, რადგან შიმკევიჩის აგებულ პირველ ნაწილსაც სხვადასხვა სახის მითოლოგიური დემონების ფიგურები ამშვენებს. რაც იმდროინდელი არქიტექტურისთვის, გარკვეულწილად, დამახასიათებელი იყო და, ამდენად, დიდ გაკვირვებას არ იწვევდა. ანალოგიური რამ დედაქალაქის სხვა სახლებზეც გვხვდება, მაგრამ იშვიათად, რადგან, როგორც ცნობილია, მშენებლები მაინც ერიდებოდნენ საცხოვრებელ სახლებზე თუნდაც მითოლოგიური დემონების გამოსახვას.

დიდ ინტერესს იწვევს შიმკევიჩის პიროვნებაც. გასული საუკუნის დასაწყისში ის იმდენად ცნობილი ადამიანი ყოფილა, რომ თბილისის საკრებულოში ხმოვნადაც (ასე ერქვა საკრებულოს წევრებს) აურჩევიათ. შიმკევიჩის თანაავტორობითაა აგებული უზენაესი სასამართლო, დღევანდელი რუსთაველის თეატრი, კონსერვატორია და სხვ. შიმკევიჩი აღიარებდა, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის დუმის იმ წევრებთან, რომლებიც არ მალავდნენ მასონთა ლოჟაში წევრობას. იმ დროს რუსეთის დუმაში არაერთი მასონი იჯდა, თუმცა უმრავლესობას არც თვით სიტყვის და არც იქ ყოფნის შინაარსი არ ესმოდა, რადგან მასონობა მაშინ ერთგვარ მოდერნისტულ მიმდინარეობად ითვლებოდა და დასაძრახი არ იყო. მეტიც, ის თურმე მეგობრობდა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან: ევგენი გეგეჭკორთან და ნიკოლოზ ჩხეიძესთან. აღსანიშნავია, რომ 1928 წლის 7 აგვისტოს ბრიუსელში გამოიცა წიგნი, სადაც ევგენი გეგეჭკორი და ნიკოლოზ ჩხეიძე მკითხველს მოუთხრობდნენ, თუ როგორ შევიდნენ მასონთა ლოჟაში (ეს წიგნი 90-იან წლებში თბილისშიც გამოიცა). რაც შეეხება პირადად შიმკევიჩს, არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც მის მასონობას დაადასტურებდა. თუმცა, ერთ-ერთი დაუზუსტებელი ვერსიით, შიმკევიჩი და იუზბაშევი მასონთა ლოჟის წევრები იყვნენ. ამავე წყაროს მიხედვით, იუზბაშევმა შიმკევიჩის აგებულ სახლს გვერდიდან მიადგა გაცილებით მდიდრული რელიეფის სახლი, სადაც მასონთა ორდენის ყველაზე მაღალი რანგის გმირი — მარადიული ურიაა გამოკვეთილი და არა დემონი. კერძოდ, არაკანონიკურ სახარებებში მოხსენიებულია ურია, სახელად აღასფერი, პროფესიით კალატოზი, რომელიც გოლგოთაზე მიმავალ ქრისტეს განსაცდელს, შემსუბუქების მაგივრად უმძიმებს, რის გამოც ის უკვდავებით დაისჯება. ამის შემდეგ ურიას სიკვდილი აღარ ძალუძს, დაუძლურებული სიკვდილის პირას მისული, ისე იტანჯება, როგორც მომაკვდავი და გარდაცვალების მაგივრად უბრუნდება იმ ასაკს, როდესაც ის ქრისტეს შეხვდა. ასეა დღემდე, ამიტომ მას მარადიულ ურიას უწოდებენ. გადმოცემის მიხედვით, მასონთა ლოჟის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ორდენი სწორედ მარადიული ურია გახლავთ, რაც მარადიულობის სინონიმია. აღასფერს, იგივე მარადიულ ურიას, შუა საუკუნეების შემდეგ დემონის სახითაც გამოსახავდნენ, რადგან ის ითვლებოდა ოთხივე რელიგიური კონფესიისგან დევნილი წიგნის ,,სამი დიდი მატყუარას“ ავტორად. დევნის შემდეგ წიგნი აბსოლუტურად განადგურდა, მაგრამ ცნობილია, რომ მასში დაგმობილი იყო ქრისტეს, ბუდასა და მუჰამედის ქადაგებები, ამიტომ, ერთ-ერთი ვერსიით, სახლზე გამოსახული დემონი მარადიული ურიაა და არა ეშმაკი. ამ მოსაზრებებს ამყარებს ისიც, რომ შიმკევიჩს სახლი აუშენებია თავისი მეგობრებისთვის, რომლებიც, ძირითადად, მწერლები და ცნობილი ადამიანები იყვნენ. მეტიც, ამ სახლის მასალის მოკვლევის დროს ამ ქუჩის ერთ-ერთმა ბინადარმა სენსაციური რამ გამიმხილა. მისი თქმით, თურმე ბულგაკოვს ცნობილი რომანის ,,ოსტატი და მარგარიტას“ დაწერა შიმკევიჩმა უკარნახაო. ეს პიროვნება არ გამორიცხავდა საპირისპირო ვერსიასაც, ანუ შიმკევიჩმა ამ რომანის წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა ასეთი სახლის აგებაო. გარდა ამისა, არსებობს ხალხში გავრცელებული სხვა მითებიც. ვერსია მეორე: იუზბაშევი ყოფილა მდიდარი ადამიანი, რომელსაც მხოლოდ ერთადერთი და ისიც მსუბუქი ყოფაქცევის ქალიშვილი ჰყოლია, რომელსაც, ასე ვთქვათ, ვერაფერს უხერხებდა. ამიტომ იუზბაშევმა შვილს აუგო ცალკე სახლი, სადაც მამაკაცებისგან თავის დაცვის მიზნით გამოსახა ენაგადმოგდებული ეშმაკი, რაც ამ ვერსიით ერთგვარი ჯადო იყო. ამბობენ, რომ მისი ქალიშვილი მარტოობაში გარდაიცვალა. ამის შემდეგ მას მამაკაცი აღარ გაჰკარებიაო. მესამე, ხალხში გავრცელებული ვერსია, პირველ ორზე საშიში და შემაძრწუნებელია. საგულისხმოა კიდევ ერთი დეტალი. ამ იდუმალი ნაგებობის სახურავზე წლების განმავლობაში იდგა ეშმაკის სრული ქანდაკება, რომელიც მთლიანი ტანით იყო გამოკვეთილი. მას კუდიც ჰქონდა და ხელში ორკაპიც ეჭირა. მონუმენტი ისეთ ადგილზე იდგა, რომ ძნელი სათქმელია, ეს იუზბაშევის ნახელავი იქნებოდა თუ შიმკევიჩის. ასეთი ქანდაკება რომ იდგა, ეს სახლის პასპორტშია დაფიქსირებული. თუმცა, ამ რამდენიმე წლის წინ, მთლიანი მონუმენტი მიწისძვრის დროს ჩამოვარდა და ავტომანქანაში მყოფი წყვილის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა. ყველაფერი კარგად დამთავრდა, შეყვარებულები გადარჩნენ, მაგრამ უვნებელი გადარჩა თავად ეშმაკის ქანდაკებაც, რომელიც, როგორც მეზობლები ამბობენ, მალევე უკვალოდ გაქრა. ვის დასჭირდა ეშმაკი, ამაზე ყველა დუმს, თუმცა, ვერსია ასეთია: ეს სახლი სატანის მიმდევრებისაა, სადაც წლების განმავლობაში რიტუალებიც ტარდებოდა და მსხვერპლშეწირვაც. ინგოროყვას ექვს ნომერში მდებარე სახლი მართლაც, რომ იტყვიან, შელოცვილია, რადგან ამ სახლის მკვიდრთ არაერთხელ გადაუტანიათ მძიმე შემთხვევები. ამბობენ, რომ ამ შენობაში პერიოდულად ამოუცნობი, ანომალიური მოვლენები ხდებაო. რამდენიმე ათეული წლის წინ სახლში ჩვილი გარდაიცვალა, რომელიც, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ფანჯრიდან გადმოუსვენებიათ, რადგან მშობლებს სჯეროდათ, რომ ამ გზით მათ ოჯახში ტრაგედია აღარ განმეორდებოდა. მოხდა თუ არა კიდევ რაიმე საშინელება მათ ოჯახში, უცნობია, რადგან ამ ტრაგიკული ამბის შემდეგ ეს ოჯახი სხვა ბინაში გადასულა საცხოვრებლად. სხვათა შორის, ოჯახმა, რომელმაც ეს სახლი იყიდა, ვერ გაიხარა, მაგრამ ახლა სხვები უკვე რამდენიმე წელია, ყოველგვარი გართულების გარეშე მშვენივრად ცხოვრობენ იმ ბინაში, რომლის სარკმელსაც დემონი ამშვენებს. და კიდევ ერთი, — რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ამ იდუმალი სახლის სახურავზე, სხვა ქანდაკებეთან ერთად, გამოკვეთილი იყო ყურებჩამოყრილი ძაღლის თავი, რაც, სავარაუდოდ, მიანიშნებდა იმას, რომ სწორედ აქ, ამ სახლში მარხია ძაღლის თავი, რომელსაც ვერავინ ვერსადროს ვერ იპოვის, რადგან სადარაჯოზე ეშმაკიაო.

დაბოლოს, ცნობილია, რომ ადამიანების უმრავლესობას დემონის არსებობისა არ სჯერა, არადა, მძისი ძალა სწორედ ამაშია.

**თამაზ ხაბეიშვილი**
571 000 678

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# შესაცვლელია თუ არა კანონი, რომელიც პოლიტიკურ პროსტიტუციას აკანონებს

ვახტანგ ხარჩილავა

ყოველთვის მაკვირვებდა და მაოცებდა ერთი რამ: — რატომ ჰყავს საქართველოს, ამ პატარა, მცირერიცხოვან ქვეყანას, ამდენი მოღალატე და ქვეგამხედვარი, განსაკუთრებით, პოლიტიკურ წრეებში, სადაც ღალატი ჩვეულებრივ მოვლენად, მიღებულ ნორმად და ცხოვრების წესად აღიქმება?




მახსოვს, ერთმა ქალბატონმა, რომელიც ხელთათმანებივით იცვლიდა პარტიებს, კითხვაზე — თქვენ ერთგულების გრძნობა საერთოდ არ გაგაჩნიათო? — ასე უპასუხა: — ერთგულების გრძნობა რატომ უნდა გამაჩნდეს, ძაღლი კი არ ვარო...

რა ვქნათ ახლა ჩვენ, ამომრჩევლებმა, ადამიან-პოლიტიკოსებს ვერ უნდა ვენდოთ?

არ ვიცი, ვინ დაამკვიდრა საქართველოში მოსაზრება, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და თუ პოლიკიკაში ხარ, ყველანაირი სიბინძურე ნებადართულია. აქიდან გამომდინარე, რაც არ უნდა უზნეო საქციელი ჩაიდინოს ადამიანმა, ყველაფერი პოლიტიკას ბრალდება და არა იმ ადამიანს, ვინც ამ სიბინძურეს სჩადის.

**არადა, პოლიტიკა ის სფეროა, სადაც მხოლოდ მოაღალზნეობრივი, კრისტალურად სუფთა ადამიანები უნდა მოღვაწეობდნენ, — გვიმტკიცებს ვაცლავ ჰაველი.**

ასე თუ ისე დემოკრატიულ, სამართლებრივად მოწესრიგებულ სახელმწიფოებში პოლიტიკოსთა მიმართ საზოგადოების შეფასების კრიტერიუმი უაღრესად მკაცრი და პრინციპულია — ვინც ზნეობრივ ნორმებს თუ კანონს არღვევს, მისი ადგილი პოლიტიკაში არ არის.

**ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა — თუ რომელიმე არამზადა პოლიტიკაში შეასწრებს, მერე, ფაქტობრივად, ხელშეუხებელი ხდება, თითქოს პოლიტიკაში კი არა ღვთის სახლში შესულიყოს...**

ქართველ პოლიტიკოსთა პოლიტიკურ ბიოგრაფიებს თვალს თუ გადავავლებთ, ერთ უცნაურ ტენდენციას შევამჩნევთ: მათ უმრავლესობას არასოდეს ჰქონია მყარი პოლიტიკური პლატფორმა, არ ჰქონია მკვეთრად ჩამოყალიბებული იდეა, რომელსაც პოლიტიკოსი თანმიმდევრულად, მიზანმიმართულად უნდა ემსახურებოდეს და მის განსახორციელებლად ბოლომდე უნდა იბრძოდეს.

ქართველი პოლიტიკოსები, მცირეოდენი ნაწილის გამოკლებით, გამუდმებით იცვლიან შეხედულებებს, მიმართულებებს, იდეებს. ისინი პოლიტიკოსებს კი არა ტიპიურ მედროვეებს და კარიერისტებს ჰგვანან, რომლებიც სინდისის ქენჯნის გარეშე, დაუნანებლად ჰყიდიან ძველ პატრონებს და ამით შოულობენ ახალ პატრონებს და ახალ მფარველებს.

ქართულ პოლიტიკაში ძნელია გაარკვიო, ვინ არის მემარჯვენე, ვინ არის მემარცხენე. ვინ არის ცენტრისტი და ა.შ.

აქ ყველაფერი ერთმანეთშია ალუფხული და აზელილი...

ქართულ პოლიტიკაში პარტიების სახელები კი არის სხვადასხვა, თუმცა ამ სხვადასხვა სახელებშიც, თითქმის ყველაში, ერთი და იგივე სიტყვა, დემოკრატია, სავალდებულო სამკაულივითაა ჩაკვეხებული, რითაც მიგვანიშნებენ, რომ ესენი, უკლებლივ ყველანი, დემოკრატიას აშენებენ, თუმცა მათ მიერ აშენებული დემოკრატია ჯერ არავის უნახავს.

* * *

საქართველოს პარლამენტში ვიღაც-ვიღაცები მორიგი ღალატისთვის ემზადებიან.

მორიგიო, იმიტომ ვამბობთ, რომ ამათ იმდენისთვის და იმდენჯერ ულალატიათ, რომ ღალატი მათი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ერთმა პარტიამ უკვე დატოვა კოალიცია, ახლა იგივეს გაკეთებას მეორე პარტია აპირებს, თუმცა სანამ გადწაყვეტილებას მიიღებდნენ, ჯერ ვაჭრობენ, ფასს იდებენ, მაზანდას მაღლა სწევენ — ჩვენს გარეშე, უჩვენოდ, კოალიცია დაიშლება და შეიძლება ამას ქვეყანაც შეეწიროსო — „გვინამიოკებენ“ ფარისევლობასა და თვალთმაქცობაში გაწაფულები, ის კი ავიწყდებათ, საერთოდ როგორ და ვისი დახმარებით მოხვდნენ პარლამენტში.

**თქვენ, თქვე მართლა უნამუსოებო, სხვის ხარჯზე, სხვისი დახმარებით, სხვისი ავტორიტეტით, სხვისი ფინანსებით, ყველა თქვენი ოცნება აისრულეთ, პარლამენტში შებრძანდით, მთავრობაში პოსტები მიიღეთ, თქვენი პარტიული სტრუქტურები გააძლიერეთ, მომძლავრდით, მოღონიერდით და ახლა არ გინდათ კოალიციაში ყოფნა?**

**აჰ, არ გჭირდებათ უკვე კოალიცია და ის ადამიანიც არ გჭირდებათ, რომელმაც ეს კოალიცია შექმნა და თქვენ, ურეიტინგონი და უავტორიტეტონი, ზურგზე წამოგიკიდათ და პარლამენტში „შეგიტანათ“.**

ვფიქრობ, ამ უზნეობის სათავე და მისი მაპროვოცირებელი და წამახალისებელი ფაქტორი იმ კანონებშია, რომელთა მიხედვითაც პოლიტიკურ პარტიებს პარლამენტში შესვლის შემდეგ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს ნებისმიერი საბაბით დატოვონ იმ კოალიციისა თუ პოლიტიკური გაერთიანების რიგები, რომელთა პარტიული სიითაც მოხვდნენ ისინი საკანონმდებლო ორგანოში.



„თავისუფალმა დემოკრატებმა“ კოალიცია დატოვეს, მაგრამ მერე რა, ისინი პარლამენტში რჩებიან და ჩვეულებრივად აგრძელებენ მუშაობას აწ უკვე ოპოზიციური პარტიის სტატუსით.

განა უფრო სამართლიანი არ იქნებოდა, რომ არსებობდეს ისეთი კანონი, რომელიც „თავისუფალ დემოკრატებს“ (სხვა შემთხვევაში სხვას) დაავალდებულებდა, კოალიციის დატოვების შემთხვევაში პარლამენტიც დაეტოვებინათ.



**საქმე ის არის, რომ ქართველ ამომრჩეველს „თავისუფალი დემოკრატები“, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტი, არ აურჩევია. მან ხმა მისცა კოალიციას, მის პროგრამას, მის პოლიტიკურ პლატფორმას და როდესაც „თავისუფალმა დემოკრატებმა“ კოალიცია დატოვეს, განა ამით ავტომატურად არ მოეხსნათ ის ნდობა, რომელიც მათ ამომრჩევლმა გამოუცხადა?**

კოალიციიდან გამოსვლა ხომ კოალიციის პოლიტიკურ პლატფორმასთან პოლიტიკურ შეუთავსებლობას და რაღაც ახალი და განსხვავებული პოზიციის დაფიქსირებას ნიშნავს, ეს კი ის პოზიციაა, რომელიც ქართველი ამომრჩევლის წინაშე სადისკუსიოდ და სადებატოდ ანუ საარჩევნო შეთავაზებად არავის გამოუტანია და არავის მიუწოდებია.

გამოდის, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ სახით დღეს ჩვენ პარლამენტში გვყავს პარტია, რომელიც სინამდვილეში არავის არ აურჩევია.

თუ, ვთქვათ და, „რესპუბლიკელებიც“ იგივეს გააკეთებენ, მაშინ პარლამენტში ერთის ნაცვლად უკვე ორი პარტია გვეყოლება, რომლებსაც ამომრჩეველთა ნდობის მანდატი არ აქვს.

ასეთ შემთხვევაში განა უფრო კანონიერი და სამართლიანი არ იქნება, ის გამოთავისუფლებული ადგილები, რომლებიც კოალიციიდან ამა თუ იმ სუბიექტის გასვლის შემდეგ რჩება, კოალიციის საპარლამენტო სიიდან შეივსოს.

მე იურისტი არ ვარ და შეიძლება იურიდიული ნორმების ზუსტი დაცვით ვერ ვაყალიბებ სათქმელს, მაგრამ ამ იდეაში რომ რაღაც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, ეს ფაქტია.

ისიც ფაქტია, რომ არ შეიძლება მუდმივი დაძაბულობის, პოლიტიკური არასტაბილურობის თუ პოლიტიკური ვაჭრობისთვის ხელსაყრელი ატმოსფეროს და სასათბურე პირობების მაპროვოცირებელ ფაქტორად კანონი გვევლინებოდეს.

ასეთი კანონი, უბრალოდ, უვარგისია და ღალატისკენ, ვერცხლისმოყვარეობისკენ, პოლიტიკური აღებ-მიცემობისკენ ისედაც ავადმყოფურად მიდრეკილ პოლიტიკურ პარტიებს კიდევ უფრო ულვივებს მადას.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთი კანონი დიდ საფრთხეს უქმნის სტაბილურობას, რომლის გარეშეც ქვეყნის წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.

* * *

**როგორც ვთქვით, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ პარლამენტში ვიღაც-ვიღაცები მორიგი ღალატისთვის ემზადებიან, რომელმაც შეიძლება უკიდურესად არივ-დარიოს პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში.**

**და ეს ყველაფერი უსასრულოდ გაგრძელდება მანამ, სანამ იარსებებს მავნებლური კანონი, რომელიც პოლიტიკურ პროსტიტუციას ლეგალურობას ანიჭებს...**



# გევორქ პეტროსიანი — თბილისელი ლუჩანო პავაროტი, ტაქსის მძღოლი თუ 21-ე საუკუნის აბო თბილელი?!

„რუსთავი-2“-ის პროექტ „ნიჭიერში“ გასულ კვირას ერთმა მონაწილემ პუჩინის ოპერა „ტურანდოტიდან“ არია შეასრულა.

საქართველომ იმ დღეს გაიცნო ჩვენი უნიჭიერესი თანამემამულე, შესანიშნავი ტენორი, ტაქსის მძღოლი გევორქ პეტროსიანი. თუმცა მთავარი სიურპრიზი „რუსთავი-2“-ის მაყურებელს და მართლმადიდებელ ქრისტიანებს წინ ელოდათ. გევორქ პეტროსიანი იეჰოვას მოწმეთა სექტის ყოფილი წევრი აღმოჩნდა.

„მეუღლეს დავცილდი მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტ სარწმუნოებას ვეზიარე, მან არ ისურვა ჩემთან ცხოვრება. ქრისტიანული სწავლებით ხარ მოწამლულიო, მითხრა“, — თქვა ჩემთან საუბარში გევორქმა.

დღეს ტაქსის მძღოლს, სანამ იეჰოვას სექტის უხუცესები სასიმღერო კარიერას აუკრძალავდნენ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში უსწავლია გარკვეულ ხანს და რამდენიმე საოპერო სპექტაკლშიც მიუღია მონაწილეობა.

წინა კვირას გევორქ პეტროსიანი რედაქციაში გვესტუმრა.

ინტერვიუ საოპერო არიების ფონზე მხიარულად ჩავიწერე და საუბარიც თვითონ გევორქის გულღია ხასიათიდან გამომდინარე, ძალიან გულწრფელი გამოვიდა, თუმცა მის ტელეფონზე ზარები არ წყდებოდა.

„სხვადასხვა კუთხიდან მირეკავენ, ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდა ქალბატონები. მილოცავენ გაქრისტიანებას, გვერდით დგომას და მეგობრობას მთავაზობენ. ზოგი რესტორანში მეპატიჟება“, — ამბობს ის და გახარებულია, რომ მთელმა საქრისტიანო საქართველომ გულით მიიღო.

მოსწონს, როცა გიორგის ეძახიან.

გუშინ გახარებულმა დამირეკა: საპატრიარქოს ტელევიზიაში სასაუბრო დრო დამითმესო.

ნაქირავებ ბინაში მარტო ცხოვრობს. „ასკეტივით ვარ, ვლოცულობ, ვმუშაობ“, — ამბობს ის. ტაქსზე მუშაობით ბინის გადასახადსაც იხდის და შვილსაც ალიმენტის თანხას ურიცხავს, თან „ნიჭიერის“ ფინალისთვის ემზადება.

საქართველოს მოსახლეობამ გიორგი პეტროსიანისთვის სმს-ები არ უნდა დაიშუროს, მან გამარჯვებით მოპოვებული ჯილდოთი თავის შვიდი წლის გოგონასთან ერთად რომ იცხოვროს, საცხოვრებელი ბინა სჭირდება.

„მე ამ ქვეყნის შვილი ვარ. ან მღვდელი გავხდები, ან სარწმუნოებისთვის წამებული. ამით ყველა გაიგებს, რომ ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი და ჩვენი სულის უფალია“, — მითხრა მან.

„ნიჭიერის“ ფინალი 8 იანვარს უნდა შედგეს. გიორგი პეტროსიანთან საუბარს მას შემდეგაც შემოგთავაზებთ. ახლა კი იხილეთ ეს ინტერვიუ თბილისელ ლუჩანო პავაროტისთან — **გევორქ პეტროსიანთან**.

**— გიორგი, რა რეაქცია არის ხალხში, მას შემდეგ, რაც „რუსთავი-2“ზე შენი ტელეფონის ნომერი გამოაცხადე?**

— უამრავი ხალხი მირეკავს. მეფერებიან, მილოცავენ. რეკავენ მღვდლები, ბერები მონასტრებიდან და თანადგომას მპირდებიან.

ჩემს ტელეფონზე არის ნეგატიური შეტყობინებებიც. არ სჯერათ, ჩემი ნებით თუ წამოვედი ორგანიზაციიდან.

დადის ჭორები, თითქოსდა მე ვუღალატე ჩემს მეუღლეს, ამიტომაც გამრიცხეს ორგანიზაციიდან და ახლა შურისძიების მიზნით ვლაპარაკობ არასწორ რაღაცებს იეჰოვას სექტაზე.

ამ სექტის წესების მიხედვით, ცოლ-ქმარი შორდება მხოლოდ ღალატის საფუძველზე. ღალატი არც ჩემი მხრიდან ყოფილა, არც ჩემი მეუღლის მხრიდან, ამიტომ ეს გამორიცხულია.

როცა ჩემში ეჭვი შეეპარათ, დამირეკეს სექტის უხუცესებმა და მითხრეს: მივსულიყავი კრებაზე, რომ გადაეწყვიტათ, ვიყავი თუ არა საბოლოოდ დაღუპული, ანუ ბოლომდე „მოვიშხამე“ თუ არა მართლმადიდებლური სწავლებით.

**— იყავი კრებაზე?**

— ტელეფონშივე ვუთხარი: თქვენი ნახვა არ მსურს, რადგან ჩემთვის საფრთხეს წარმოადგენთ. თქვენს მოღიმარ სახეს რომ ვუყურებ, მლიქვნელური ღიმილი ჩანსმეთქი.

**— რა ხალხია ეს უხუცესები. ასაკით თუ რითი ისაზღვრება უხუცესობა სექტაში?**

— უხუცესთა საბჭო სექტის ინსტრუმენტია. უხუცესები, ძირითადად, მამაკაცები არიან, რომლებსაც აქვთ დოქტრინალური გამოცდილება და ვისაც კითხვები აქვთ, ისინი ისეთ პასუხს სცემენ, რომ შემდეგი კითხვის დასმის სურვილი აღარ ჰქონდეს შემკითხველს.

**— პირველად როდის მოხვდი იეჰოვას მოწმეთა გარემოცვაში?**

— 19 წლის ვიყავი, ბიცოლაჩემთან შევხვდი მათ. ბიცოლაჩემი იეჰოვას სექტის წევრია დღესაც.

**— მეუღლე სექტაში გაიცანი, არა?**

— დიახ, სწორად მიხვდით. ჩემი მეუღლე გავიცანი მას შემდეგ, რაც მშობლებმა იეჰოვას სექტაში გაწევრიანების გამო სახლიდან გამაგდეს.



საქმე ისაა, რომ სექტაში სწავლება მანიპულირების მიხედვით ხდება. იეჰოვას მოწმეები იშვიათად იშველიებენ „ახალ აღთქმას“, სადაც იესოს სახელი არის ნახსენები და პედალირებენ ახალ თარგმანზე. იქ 237-ჯერ არის იეჰოვას სახელი ნახსენები მაშინ, როცა ბერძნულ სეპტუაგინტაში ასეთ რამეს ვერ შეხვდები.

არის თარგმანი, სადაც იეჰოვა მოხსენიებულია, როგორც კირიოს.

ამასთან ერთად იეჰოვას სახელი სინაგოგაშიც აჟღერდა. დაქსაქსულ ებრაულ ტომებში იეჰოვას სახელი რომ გაჟღერებულიყო, რაბინები თორას კითხვისას თვითონ ადგენდნენ, როდის უნდა ეთქვათ ადონაი, რომელიც ელოაჰიმიდან ხმოვანი ასოების ამოღებით იყო მიღებული. იეჰოვა სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგვაირად ჟღერს. ამიტომაც დღეს არავინ იცის, რა არის ჩვენი უფლის ნამდვილი სახელი.

როცა მოსეს ქორების მთაზე კანონთა კრებული გადაეცა, მოსემ ჰკითხა: რა სახელი გავუხსნა შენს ერს? უფალი კონკრეტულ სახელს არ ამბობს და ძველი სლავური თარგმანის მიხედვით, პასუხობს: მე ვარ, ვინც ვარ.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



რადგან, როცა სახელს ანიჭებ, ბოჭავ, ერთ სუბსტანციაში აქცევ. უფალი უფრო მეტია, ვიდრე ერთი სახელი. ის არის ადონაი, არის ელოაჰიმი, საბაოთი და სხვა.

ცალკე იეჰოვა არაფერს არ ნიშნავს.

ამას იმიტომ აკეთებენ, რომ გააუფასურონ ჩვენი უფლის სახელი.

იაჰვე არის მამა, ძე და სულიწმინდა, განუყოფელი, ერთიანი, ჰარმონიული, ისე, როგორც ჩვენს უფალ იესო ქრისტეში გაერთიანდა ჰარმონიულად ორი ბუნება — ადამიანური და ღვთიური.

**— იმ სექტის წევრობა, ასე ვთქვათ, დაგეხმარა კიდევაც, ქრისტიანული სწავლება ღრმად შეგეთვისებინა. ასე არ არის?**

— ასეა. მაგრამ სულიწმინდის ძალა და მადლი რომ არა, მე ვერაფრის გაგებას ვერ შევძლებდი.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლება მაქვს და ვიცი, რა არის ჰერმენევტიკა, ეგზეგეზა, სეპტუაგინტა, თანახი.

**— იეჰოვას მოწმეთა სწავლების მთავარი მიზანი რა არის?**

— მიზანი ერთი აქვთ — ადამიანები დააშორონ ქრისტეს.



სექტა პირდაპირ ებრძვის ხატებს. თითქოსდა ეს იყოს კერპთაყვანისმცემლობის გადმონაშთი. როგორც ბაალი, ბელფეგორი და ა. შ.

სინამდვილეში კი ხატი ნიშნავს გამოსახულებას. უფლის პირველი ხატი იყო ადამი. რომელიც შექმნილი იყო უფლის სახების მსგავსად.

კი. ბატონო, იაჰვე არავის უნახავს, მაგრამ მეორე იპოსტასი ხომ იყო დედამიწაზე. იესო ხომ იყო განკაცებული?!

შეიძლება ჩვენც არ გვინახავს ჩვენი წინაპრები, მათ მხოლოდ ფოტოებით ვიცნობთ. ამიტომ ის ფოტოები უნდა გადავყაროთ და მათ პატივი არ უნდა ვცეთ? თუ მათ უნდა ვცეთ პატივი, უფალი ჩვენი პატრონი იყო, მას თავი აქვს დადებული ჩვენს გადასარჩენად და მისი ხატი რომ გვქონდეს, ეს დანაშაულია?!

იეჰოვას მოძღვრება ადამიანის მოდგმის წინააღმდეგ არის მიმართული და მთლიანად არის სატანისტური.

სინამდვილეში ისინი თვით ღმერთს ებრძვიან, როცა იესოს სახელს უგულებელყოფენ.

გავიხსენოთ იოანეს 18,6. როდესაც იუდეველები იესოს ატყვევებენ, ეკითხებიან: ვინ ხარ? უფალი მიუგებს: მე ვარ.

ბრუკლინის იეჰოვას სწავლება ამას იგნორირებას უკეთებს და ეს არის დიდი ცოდვა და დანაშაული.




**— როგორ და როდის მოიქეცი მართლმადიდებლად, გახსოვს?**

— მე არასდროს ვჯერდებოდი მხოლოს ბრუკლინის სწავლებებს.

მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, ტაქსისტობამაც მიშველა. ერთი ზურაა, ტაქსისტი, ჩემი მეგობარი, ხშირად მეუბნებოდა: გიორგი, რაღაც წესრიგში არაა შენს გულში, ვატყობ, იელოველი ხარო. მელაპარაკებოდა ამაზე. მე ვმუშაობდი ღამე და ძალიან გვიან ვბრუნდებოდი სახლში. მეუღლეს და შვილს ეძინათ. მე ჩუმად, ამბავი რომ არ მიეტანა ორგანიზაციაში ჩემს მეუღლეს, ღამის ოთხი საათიდან 7 საათამდე, წმინდა წიგნებს ვკითხულობდი სამი წლის განმავლობაში. ვკითხულობდი მამა სერაფიმე საროველს, ანდრია ბრინჩანინოვს, ნეტარ ავგუსტინეს, ისააკ ლიონელს, იოანე კრონშტადტელს და სხვებს. მაშინ ყველა ეჭვით მიყურებდა, რადგან, მას შემდეგ, რაც შევიმეცნე — მართლმადიდებლობა, მამა გაბრიელივით დავდიოდი და ყველგან ვქადაგებდი. რატომ, იცით? სავსე ვიყავი უფლის წყალობით, რადგან მე მივაღწიე ჭეშმარიტებას.

**— გიორგი, შენს სიცოცხლეს შეიძლება, საფრთხე დაემუქროს. გიფიქრია ამაზე?**

— წამებულები ცოტანი არიან საქართველოში და მართლმადიდებლებში? მამა გაბრიელი ამბობდა, ბოლო ჟამს ქრისტესთვის წამებულები იქნებიანო.

მაგრამ მე ახლა უფრო იმას ვფიქრობ, იელოველების ხაფანგში არ გავება და სამართალდამცავებმა არ დამაკავონ, ამიტომ დღე და ღამე ვშრომობ, ალიმენტი რომ გადავიხადო.

მინდა იცოდეთ, თუნდაც ქრისტესთვის წამებული ვიყო, ეს არ მაღელვებს, პირიქით, მე ეს მახარებს.

როგორ უნდა მეშინოდეს, როცა უფალი ჩემთანაა?!

გაიხსენეთ, რას წერს მათე: ნუ გეშინიათ მათი, რომლებსაც თქვენი სხეულის მოკვდინება შეუძლიათ, გეშინოდეთ მათი, ვისაც თქვენი სულის მოსპობა აქვს განზრახულიო.

ესაა მართლმადიდებლური სწავლება.

იეჰოვას მოწმეები კი სულს ღუპავენ ადამიანში.

**— შვილი გყავს. გოგონა.**

— ჩემი პაულინა 7 წლის ხდება და ახლა, როცა მე და ჩემი მეუღლე ერთად აღარ ვცხოვრობთ, ხშირად ვერ ვნახულობ შვილს. ჩემმა მეუღლემ ჩემი გაქრისტიანების შესახებ რომ გაიგო, ბავშვს არ მანახებდა — შენში ეშმაკი ჩასახლდაო. ბავშვს მალავდნენ. ვიცოდი, ვისთანაც ტოვებდა და ერთ დღეს მივედი წამოსაყვანად. ეკლესიაში მინდოდა მიმეყვანა და ხატის წინაშე დამეჩოქებინა. ჯიბეში 150 ლარიც მედო. ვფიქრობდი, მათხოვრებს მივცემ-მეთქი, მაგრამ მათხოვარი არსად შემხვდა, მაშინ ავიღე და ეს ფული ნაგვის ბუნკერში ჩავაგდე.

ბავშვი მხარზე მყავდა შესმული, მიმყავდა, მაგრამ არ მემორჩილებოდა. სად მიგყავარო, ტიროდა, თუმცა, როგორც კი გამოჩნდა ტაძარი, დამშვიდდა, თვინიერი გახდა და თავისი ნებით დაიჩოქა ხატის წინაშე.

დიდი ბრძოლები რომ ჰქონდა, ჯვარი დავანახე და 10 წამით გაშეშდა ბავშვი, თითქოსდა გონება დაკარგა.

**— როდის მოინათლე?**

— უკვე მეოთხე თვეა. ჩემი ნათლია ზურაა, ზემოთ რომ გითხარით — ჩემი მეგობარი. მოძღვარი მამა გურამ გურამიშვიული გახლავთ. თვითონ მამა თომა ცეცხლაძის სულიერი შვილი ვარ.

**— ნათესავებმა როგორ მიიღეს შენი გაქრისტიანების ამბავი?**

— ძალიან გაუხარდათ. სუფრები იშლებოდა ჩვენს ოჯახში კარგა ხანს.

**— გრიგორიანელები რომ არიან?**

— მთავარი იყო, რომ სექტიდან წამოვედი. რომელ ტაძარში ვილოცებდი, ეს აღარ იყო მნიშვნელოვანი.

**— ზიარება მიიღე?**

— ოოო, ეს საოცრება იყო. რადგან იესო ქრისტე თვითონ ამბობს: ვინც არ ეზიარება ჩემს სისხლსა და ხორცს, მას არა აქვს წილი ჩემთანო.

**— ახლა რას აპირებ?**

— „ნიჭიერში“ უნდა გავიმარჯვო.

მერე რა მოხდება, უფლის ნებაა.

**— გიორგი, ხომ არ გსურს შენი ტელეფონის ნომერი ჩვენს მკითხველსაც გავუმხილოთ?**

— კი, ბატონო, ჩემი ნომერია: 558 35 40 25.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# მზადდება თუ არა საპარლამენტო გადატრიალება და რა გეგმა შეიმუშავეს საიდუმლო შეხვედრაზე, რომელიც ნიუ-იორკში გაიმართა?!



2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დაახლოებით ერთ წელიწადში, კოალიცია „ქართული ოცნების" ოპონენტების მხრიდან აქტიურად დაიწყო საუბრები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ.

ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ ძალებში ეს საკითხი კვლავაც აქტუალურია.

ორიოდე დღის წინ ჩემმა კონფიდენციალურმა წყარომ მიამბო, რომ, დაახლოებით ერთი კვირის წინ ნიუ-იორკში, მანჰეტენზე მდებარე ერთ რესტორანში ერთმანეთს თამარ კორძაია, თინა ხიდაშელი, ახალაიებთან დაახლოებული პოლიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი და „ქართული ოცნების" ერთი საკმაოდ გავლენიანი წარმომადგენელი შეხვედრიან. საუბარი გამართულა იმაზე, თუ როგორ გამოეწვიათ საპარლამენტო კრიზისი, რომელიც შემდეგ, ალბათ, სახელისუფლებო კრიზისში უნდა გადაზრდილიყო.

ამ გეგმის განხორციელებისთვის სქემის ერთ-ერთი და, შეიძლება ითქვას, მთავარი ნაწილი უნდა იყოს ის, რომ პარლამენტმა ვერ შეძლოს ვერც ერთი მნიშვნელოვანი კანონ-პროექტი გაიტანოს, ან ამ კანონ-პროექტებზე კენჭისყრის პროცესი ძალიან გაჭიანურდეს, რათა შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ პარლამენტი უუნაროა და არ შეუძლია გადაწყვეტილებების სწორად და ოპერატიულად მიღებაო.

ჩემი წყაროს ინფორმაციის უტყუარობაში ისედაც არ მეპარებოდა ეჭვი, მაგრამ მას შემდეგ, რაც „თავისუფალმა თაობამ" გაავრცელა ზუსტად მსგავსი ინფორმაცია, ვარაუდები და ეჭვები უფრო მყარი და, რამდენადმე არგუმენტირებული გახდა.

გასულ კვირას ამერიკაში მიხეილ სააკაშვილი ხათუნა გოგორიშვილს შეხვედრია და გადაუცია გეგმა, რომლის მიხედვით, პარლამენტში კრიზისი უნდა გამოიწვიოს ნაცებმა, ალასანიას გუნდმა და რესპუბლიკელებმა, რომლებიც შეეცდებიან ჩააგდონ ყველა ის მნიშვნელოვანი კანონ-პროექტი, რომლის ინიციატორიც საქართველოს დღევანდელი მთავრობა და თვით „ქართული ოცნება" იქნება. საკითხი დასმულია ბიუჯეტის დამტკიცების ხელის შეშლაზეც.

**თავისუფალი თაობის საგანგებო განცხადებაში, რომელიც „ოცნებაში" ჩანერგილებისა და ნაციონალების გეგმას შეეხება, აღნიშნულია:**

...„დიდი ხნის განმავლობაში ვაფრთხილებდით ხელისუფლებას და მთელს პოლიტიკურ სპექტრს, რომ ნაცები აწარმოებდნენ მუდმივ კონსულტაციებს ქართულ ოცნებაში ჩანერგილ პირებთან, რათა საჭირო მომენტში მომხდარიყო მათი ამოქმედება. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ 22 ნოემბერს შემდგარი შეხვედრა, სადაც „თავისუფალი დემოკრატების", რესპუბლიკელების, „ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა და დათა ახალაიას დროინდელმა კუდის მაღალჩინოსნებმა ისაუბრეს ე.წ. შესაძლო საპარლამენტო გადატრიალებაზე.

როგორც ჩვენთვის სარწმუნო წყაროდან გახდა ცნობილი, ხათუნა გოგორიშვილის მეშვეობით მოხდა შეხვედრა უშუალოდ ამერიკაში მყოფ მიხეილ სააკაშვილთან, სადაც იყო პირდაპირ საუბარი პარლამენტში საპარლამენტო კრიზისის გამოწვევაზე. ნაცების, ალასანიას გუნდის და რესპუბლიკელების მიერ ჩაგდებულ უნდა იქნას ყველა მნიშვნელოვანი კანონპროექტი რომელსაც მთავრობა და „ქართული ოცნება" შეიტანს, აგრეთვე ბიუჯეტის კანონის შესაძლო ჩაგდებაზეც იყო საუბარი. ფაქტია, რომ „ქართული ოცნების" კოალიციაში მყოფი ქალბატონი კორძაია აშკარად თამაშობს ნაცების თამაშს და მათ ფარულ აგენტად გვევლინება, აგრეთვე ქალბატონი გოგუაძე, რომელიც პირდაპირი ხაზია ალასანია-სააკაშვილს შორის, მნიშვნელოვანია დათა ახალაიას კუდის მაღალჩინოსნის ახლო კავშირებიც მათთან.

ჩვენ ვაფრთხილებთ ქართულ საზოგადოებას, ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ ამ შეხვედრაზე და სხვა შეხვედრებზეც მომზადდა საპარლამენტო გადატრიალების გეგმა, რომლის რეალიზაციაც უკვე დაწყებულია და რომელიც უნდა გახდეს სააკაშვილის ბანდის რევანშის საფუძველი, ამის ნათელი დადასტურებაა ნაცების დავალებით და მათთან შეთანხმებით ხელისუფლების მიერ შეტანილი კანონპროექტების ბლოკირება.

მოვუწოდებთ ყველა პროგრესულ ძალას, წინ აღვუდგეთ სააკაშვილის რევანშის შესაძლებლობას!!!"

როგორც ჩანს, ქალბატონ გოგორიშვილზე პირდაპირ წამალივით იმოქმედა გასულ კვირას ბელადთან ამერიკაში შეხვედრამ და ის მიცემული დავალებების მიხედვით მოქმედებს.

რაც შეეხება თვით კანონპროექტს ე. წ. გასაღების ფლობასთან დაკავშირებით. ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოს სურს სპეცსამსახურების მოქმედება და მუშაობის სტილი თანამედროვე პირობებში ცხოვრების ჩვეულებრივ წესზე იყოს მორგებული. კარგია, როცა სახელმწიფო ცდილობს, ქვეყნის სპეცსამსახური რაც შეიძლება მეტი კონტროლის ქვეშ იყოლიოს. მრავალი კუთხით მნიშვნელოვანი და დადებითი სტრატეგიაა ეს, თუმცა, ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზედმეტ დემოკრატიასა და გამჭვირვალობას ქვეყნის ინტერესები არ უნდა გადავაყოლოთ.

9 წლის განმავლობაში, როგორც კრიმინალური პოლიცია, ისე სპეცსამსახურები, მთლიანად იყვნენ აწყობილი მოსმენებზე, დღეს, როცა ამ სამსახურებისთვის ახალი მეთოდი ან რაიმე სქემა სახელმწიფოს არ შეუთავაზებია, ასე ხელაღებით გაუქმება, ფაქტობრივად, გამოიწვევს ამ სამსახურების პარალიზებას, რაც ქვეყანაში კრიმინალის მასშტაბების არნახულ ზრდას განაპირობებს. არადა, ამ კანონ-პროექტის მიღება და განხორციელება კრიმინალთან ბრძოლისკენ იყო მიმართული.

თუ შექმნილ გარემოებებს გავითვალისწინებთ და ამ და სხვა საკითხების შესახებ პარლამენტში მსჯელობასა და აზრთა რადიკალურ სხვადასხვაობასაც მივაქცევთ ყურადღებას, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი მაინც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ არის მიმართული. თუნდაც კანონ-პროექტთან დაკავშირებული საკითხები,. როგორც ზემოთაც ვთქვი, პოლიტიკისა და სპეცსამსახურების პარალიზებასთან იყო პირდაპირ მიბმული.

საბედნიეროდ, ამჯერად, პრეზიდენტმა ვეტოს მოხსნით სიტუაცია განმუხტა. სხვა საქმეა, ეს მარგველაშვილმა საკუთარი ნებით გააკეთა თუ ვინმემ ურჩია, რომ ვეტოს მოხსნა უკეთესი იქნებოდა, თუმცა საშიშროება პარლამენტში კვლავ არსებობს. ნაცმოძრაობასთან ერთად ალასანიაც არის ამჯერად განაწყენებული.

თუკი პარლამენტში კოალიციას უმრავლესობა არ ექნება, რაზეც პირდაპირ ოცნებობენ ნაციონალები, კოალიციის ლიდერს და ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ძალაუფლება გამოეცლება და მხოლოდ „ქართული ოცნების" ფრაქციის ამარა დარჩება პარლამენტში, რადგან ნაცებთან და „თავისუფალ დემოკრატებთან" ერთად რესპუბლიკური პარტიის დეპუტატებიც არ არიან მთლად საიმედო ძალა.

რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, რაც, როგორც ზემოთაც ვთქვი, ნაცმოძრაობასთან ერთად სხვა საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფების ოცნების საგანია, არა მგონია, მომგებიანი იყოს რომელიმე მათგანისთვის, რადგან ვერც ერთი ვერ შეძლებს გადამწყვეტი უმრავლესობის მოპოვებას პარლამენტში და ეს, მოსალოდნელია, პროცესების ქუჩაში გადატანის წინაპირობაც გახდეს.









**ანა ვადაჭკორია**
**568 97 61 60**

# „აქეთ გორასა ნიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ“, ანუ რატომ არ ეშინია გულად საქართველოს რუსეთისა, რომელთანაც დაპირისპირებას მთელი მსოფლიო უფრთხის

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, თავდაცვის საჰაერო სისტემების დაყენებას ვაპირებო, რომ მოილია, ახლა სასწავლო ცენტრი გამოაცხადა NATO-ს ბაზად...

საუბარი იმ ალასანიაზეა, ყველას რომ გადაუსწრო ტელეეთერში გამოჩენით და ბრტყელ-ბრტყელი დემაგოგიური, შეურაცხმყოფელი და ამბიციური საუბრებით, რომელიც რაღაც კავშირში რომ იყო რუსეთთან. თუ სიტყვა „კავშირი“ არ ესადაგება, მაშინ რა ჰქვია იმას, რომ ირაკლი ალასანია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სამშვიდობო გეგმას სწორედ იმ მიმართულებით ემხრობოდა, რომელიც კრემლის ინტერესებში იყო? რატომ ითხოვს ახალი ხელისუფლების პირველ პოლიტპატიმრად სახელდებული კოდორის დამცველი ემზარ კვიციანი ალასანიასგან პასუხს შეკითხვა-მოთხოვნაზე: მიპასუხოს ალასანიამ, რატომ ჩააბარა კოდორიო და რატომ ითხოვენ სამხედრო და სახელმწიფო უშიშროების საქმეებში ჩახედული საზოგადოებისთვის ცნობილი, მაგრამ ამჟამად სახელმწიფო სამსახურებიდან განზე მდგარი პირები კოდორის საქმის გამოძიებას?

აშშ-ს რა ენაღვლება, მისი კონტინენტი მართლაც ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქითაა, მაგრამ ომი არ უნდა ევროპას და რომ ხედავენ რუსეთის საომარ განწყობას, დიპლომატიურ ხერხებს მიმართავენ სიტუაციის დასაშოშმინებლად, ალასანია კი აშშ-იდან საქართველოსკენ საომრად ეპატიჟებოდა. ვის დაკვეთას ასრულებდა ალასანია? ამბობენ, ირაკლი ალასანია აშშ-ში ყოფნის დროს კონსულტაციებს გადიოდა თემურ ალასანიასთან. შეხვედრებს ესწრებოდა გენერალ კალუგინთან დაახლოებული ორი პირი და ბელორუსის უშიშროების კომიტეტის სამი მაღალჩინოსანი, ამის შემდეგ მოითხოვა NATO-ს რაკეტების საქართველოში განლაგება ალასანიამო.

რას ნიშნავს რუსეთთან ძალისმიერი დაპირისპირება, ან სულაც მისი პროვოცირება, ეს რომ ნებისმიერი ქვეყნის თავდაცვის მინისტრს არ ესმის, ის კაცი თავდაცვის მინისტრი არ უნდა ყოფილიყო, საუკეთესო შემთხვევაში იმპიჩმენტის დაუყოვნებლივ მოთხოვნა იყო საჭირო, ხოლო ნორმალური ქვეყანა რომ ვყოფილიყავით, სასამართლოს წინაშე უნდა წამდგარიყო, მაგრამ აქ „რაღაც კაბელების“ დევნა უფრო საინტერესო აღმოჩნდა...

ახლა ისე, რომ ერთი ძარღვი არ უთრთის შუბლზე, გამოალაყუნებენ რომელიმე ქვეყანაზე მიტმასნილ სისხლის სამართლის დამნაშავე ექსპრეზიდენტ სააკაშვილს ტელევიზიით და აქაქანებენ: „რუსი მოდის, რუსი მოდის, ყვარლიდანაც მოდისო!“ და ბანს აძლევენ არა ერთ მავნე საქმეში თანამოაზრეები, კი, ნამდვილად მოდის და ასე და ამგვარად გვიზამსო.

საქართველომ ერთადერთი გზა აირჩია, იძახოს NATO და იყვიროს დასავლეთი. სამწუხარო — ერთია და გასაოცარია, რომ ადამიანები, რომლებიც რაღაც მანქანებით პოლიტიკოსებად იწოდებიან, დიპლომატიის ინჩიბინჩში არ არიან, ხოლო ვინც არის, ახლოს არ აკარებენ საქმეს — თუმცა, რა გასაკვირია, ე.წ პოლიტიკოსები ხომ სწორედ „რაღაც მანქანებით“ არიან დანიშნულები პოლიტიკოსებად, რომელთა ფასი, როგორც პოლიტიკოსებისა, ნულია...

ნუთუ აღარავის ახსოვს ამა წლის გაზაფხულზე, აპრილში, აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის სესიის ფარგლებში გამოსვლისას რა კითხვა დასვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა?

„ჩვენ გვესმის, რომ თუ საქართველო NATO-სკენ ნაბიჯს გადადგამს, ეს მოსკოვის მხრიდან მორიგ აგრესიას გამოიწვევს. ჩვენ ვრისკავთ და ამიტომ გვჭირდება პასუხი კითხვაზე: — რას მოიმოქმედებთ თუ საქართველო რუსეთის მორიგი სამიზნე გახდება?“ — იკითხა ბატონმა უსუფაშვილმა და




კითხვა უპასუხოდ დარჩა. რას ნიშნავს ეს?

ქალბატონმა თინათინ ხიდაშელმა განაცხადა: — „თუ ევროპა და ამერიკა მიიღებენ თამამ გადაწყვეტილებას და იტყვიან, რომ რუსეთის შესაჩერებლად მზად არიან შუაგულ ევროპაში ომისთვის, ეს პუტინს შეაჩერებს, რადგან დასავლეთთან ომისა შეეშინდება — ეს არის მთავარი ტესტი.“

კი, როგორ არა, შიშით გული წაუვა ამ სიტყვების ავტორს: — „Ì åí ÿ ñï ðî ñèëè _ Åâðî ï à î áúåäèí ÿåòñÿ ï ðî òèâ Ðî ññèè... Âàì í å ñòðàø í î? ß î òâåòèë _ Ì û óæå ñòàëêèâàëèñü ñ î áúåäèí åí í î é Åâðî ï î é â 1812 è 1941 ãã. Ýòî ì è äî ëæí î áû òü ñòðàø í î ...“

თავის მხრივ, სტავროპოლში გამართულ საეკლესიო ფორუმზე მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე, დეკანოზმა ვსევოლოდ ჩაპლინმა განაცხადა: — „იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ისა და მისი მოკავშირების მხრიდან პირდაპირი გამოწვევა იქნება, რუსეთს აქვს ყველა შესაძლებლობა უზრუნველყოს უსაფრთხოება და სტაბილურობა მსოფლიოში ჩინეთთან, ისლამურ სამყაროსთან და ლათინურ ამერიკასთან ერთად. ჩვენ მოვიგერიეთ ის მოდელები, რომელსაც ძალადობით გვახვევდნენ, მაგრამ ერმა არ მიიღო; ჩვენ გავიმარჯვეთ იმათზეც, ვინც დღეს ცდილობს ჩვენი ცხოვრება მოაწყოს ჩვენი წესებისა და ჩვენი პრინციპების გარეშე; ჩვენ გავიმარჯვებთ ამერიკაზეც და მათზეც, ვინც მას უმღერის — აუცილებელი არ არის ეს საომარ ველზე მოხდეს, თუმცა თუ ასეთი გამოწვევა იქნება, ჩვენ არ გვაქვს უფლება გამოწვევაზე უარი ვთქვათ.“

(ცალკე საკითხია გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის, საგარეო საქმეთა მინიტრ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერისა და თავდაცვის მინისტრ ურსულა ფონ დერ ლაინის გამოხატული დამოკიდებულებები რუსეთთან მიმართებაში)

მით უმეტეს, რომ ღიად გეუბნება გერმანიის ელჩი ორთვინ ჰენიგი: — „საქართველომ უნდა გააცნობიეროს ორი რამ: პირველი — II მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთთან ჩამოყალიბებული სტატუს-ქვო და პოლიტიკური ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ გერმანიისთვის, არამედ მთელი დასავლეთი ევროპისთვის. ეს ურთიერთობა მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიაა დასავლეთ ევროპაში და მას ევროპის პოლიტიკური ელიტა თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიიჩნევს. ამიტომ ჩვენ არ ვაპირებთ, ეს ყველაფერი ქარს გავატანოთ. შეხედეთ რუკას დასავლეთ ევროპის გადმოსახედიდან და გაიხსენეთ, რად დაუჯდა დასავლეთ ევროპას



ორი მსოფლიო ომი და რუსეთის როლი ამ ომებში. ახლა, როცა ეს ყველაფერი მოგვარდა და ევროპაში სტაბილურობამ დაისადგურა, ბუნებრივია, ამას საქართველოს გამოც კი ვერ შეველევით.“

ექსპერტი იუჯინ კოგანი: — „შენელებული ინტერესისა და ორაზროვანი შეხედულებების გათვალისწინებით, საქართველო არ უნდა ელოდოს ევროპისგან რაიმე მნიშვნელოვან მხარდაჭერას რუსეთთან მისი ურთიერთობების გრძელვადიანი ნორმალიზაციის საკითხში. არც იმის პერსპექტივა ჩანს, რომ ახლო მომავალში ევროპა ინიციატივას გამოიჩენს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის მოგვარებაში — საქართველომ ეს გზა თვითონ უნდა გაიაროს და მან ეს უნდა გაიგოს. კერძოდ, უნდა გაკეთდეს არჩევანი — დაბრუნება განახლებულ „საბჭოთა კავშირში“, სვლა ნელთბილი ევროკავშირისკენ თუ რაღაც უნდა დაუჯდეს, საკუთარი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღიარება — რეალობა გვიჩვენებს, რომ სამხედრო თვალსაზრისით უძლურმა ევროკავშირმა ბედის ანაბარად მიატოვა საქართველო.

ამათანავე, ევროკავშირს არ სურს რუსეთთან დაპირისპირება საქართველოს მიზეზით და ამის გამო საქართველოს მძიმე მდგომარეობაში ტოვებს. ამას თითქოს აცნობიერებენ საქართველოს ოფიციალური პირები, მაგრამ არ სურთ ამის აღიარება. აშკარაა, რომ საქართველოს პოლიტიკური წრეები შეცდნენ, როცა ივარაუდეს, ან შესაძლოა, წარმოიდგინეს, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების ორმაგი პოლიტიკის განხორციელება შეიძლებოდა. ევროკავშირის წარმომადგენლებმა დატოვეს საქართველო ბედის ანაბარად და ფაქტობრივად, თქვეს: „ჩვენ გეხმარებით თქვენ საქართველოში, რომ გააუმჯობესოთ ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ თვით პროცესთან დაკავშირებით. ასე განაგრძეთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!“

ამრიგად, საქართველომ კარგად უნდა აწონ-დაწონოს და სამიდან ერთ-ერთი არჩევანი გააკეთოს: 1) გაყვეს ჩრდილო-ატლანტიკური ინტეგრაციის კურსს ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, რადგან „ევროპული ოცნება“, შესაძლოა, ვერ ასრულდეს და NATO-ში გაწევრიანების მიზანი თანდათანობით მინავლულ მოგონებად იქცეს, 2) შეინარჩუნოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა მარტომ, ყველა ფასად, რადგან მეზობელი თურქეთი არ აპირებს საქართველოს მიმართ შეიარაღებული მხარდაჭერა გამოხატოს რუსეთის წინააღმდეგ 3) დანებდეს პუტინს და გახდეს საბაჟო კავშირისა და შესაბამისად ევრაზიის კავშირის წევრი.

პუტინმა მკაფიოდ განაცხადა: მცოცავი ოკუპაციის პოლიტიკა გაგრძელდება სრული სვლით და თქვენ, საქართველოში, შეგიძლიათ დაიჩივლოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც მოგინდებათ. თქვენი მხარდამჭერები ევროკავშირიდან კვლავაც მოკრძალებით მოიქცევიან და ფრთხილადაც ილაპარაკებენო.

თუ თქვენ აირჩევთ მართებულ გზას, ეს თქვენთვის იქნება სასიკეთო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგზე პასუხისმგებლობა თქვენვე დაგეკისრებათ!“

„დღეს მხოლოდ სულელი არ გააკეთებს დასკვნებს იმ მოვლენებიდან, რომლებიც ჩვენ გარშემო მიმდინარეობს“ — განაცხადა უკრაინის მოვლენების კვალდაკვალ პრეზიდენტმა ლუკაშენკომ.

რა ღვთის რისხვა გვჭირს ასეთი, რომ გათვალულები სულელებივით დავბორიალობთ არარსებული და რაც მთავარია, ყოვლად უსარგებლო მიზნის მისაღწევად მბრუნავ ბორბალში გამომწყვდეული ციყვივით?

წლებია, პოლიტიკოსებად სახელდებული ქართველები ვიღაცის წაქეზებით ბავშვებივით იქცევიან, ერთს ებუტებიან, რაც მაქვს, იმაზე დიდი „ბონბონერი“ მინდა და რადგან არ გაქვს, სხვას ჩავეხუტები — „კაკას“ მომცემსო და „კაკას“ ქაღალდს ჯერდებიან...

ქართულ-რუსული ურთიერთობების მოგვარება, როგორც ჩანს, არავის უნდა, რასაც საქართველო პირდაპირ მიჰყავს გაქრობისკენ, რადგან კარგად ვხედავთ, რომ არავინ არაა მხოლოდ საქართველოს კი არა, არავის გამო რუსეთთან შემსკდომი. მთელი ქართული საგარეო პოლიტიკური კურსი გაშეშებულია იმ მდგომარეობაში, რომელიც „დააკანონა“ საქართველოს პრეზიდენტყოფილმა, „რუსეთი ოკუპანტია, დასავლეთი — მეგობარი!“ ნუთუ ასე ძნელია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, აწ მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილი მიხეილ სააკაშვილის ავადმყოფური აკვიატებების ჩრდილიდან გამოსვლა და გაცხადება, რომ საქართველო ყველას მეგობარია? ეროდესაც ყველა ქვეყანა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს, საქართველო რატომ უნდა ატარებდეს სხვის ინტერესებს საკუთარი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ?

ერთი რამ ნათელია, სანამ საქართველოს პირში ცარელ ნემსკავად „პოპლავოკი — NATO და კამპანია“ ედება, მანამ გაგრძელდება მისი დაქუცმაცება, რაც საბოლოოდ გააქრობს კიდეც, უკეთეს შემთხვევაში კი სწორედ იმ ფარგლებში დარჩება, რომელიც წლების წინ მოხაზა ჟირინოვსკიმ: საქართველო. მასშტაბი — თბილისიდან ქუთაისამდე...

დაბოლოს, გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადებით, ევროკავშირი მოლაპარაკებებს დაიწყებს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან, სადაც მნიშვნელოვანი წარმმართველი რუსეთია. გერმანიის მთავრობა თვლის, რომ მერკელის ამ წინადადებით დაძაბულობის განმუხტვაა შესაძლებელი.

საქართველოს რომ რუსეთთან დაძაბულობა აქვს, ისაა დაძაბულობა თუ არის და საქართველოს მთავრობა რატომ აფართხუნებს ყურების ნაცვლად თვალებს, ვერ ხვდება, რა ხდება გარშემო?

**გიორგი ჩხეიძე**

# ვალერი კვარაცხელია:
# მინდა დავარწმუნო პატივცემული მკითხველი, რომ რუსეთის ინტერესებში ტერიტორიების გაფართოება არ შედის

*გვესაუბრება პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი, ბატონი ვალერი კვარაცხელია.*

**— ბატონო ვალერი, რუსეთსა და აფხაზურ მხარეს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება დაიდო. რას იტყვით მისი მოსალოდნელი შედეგების შესახებ?**

— ხელშეკრულების თავდაპირველ პროექტში მითითებული იყო, რომ ეს იქნებოდა ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება. შემდეგ შეიცვალა და გახდა ხელშეკრულება პარტნიორობის შესახებ. ტერმინი ინტეგრაცია შეარბილეს, რადგან ამან ერთგვარი ვნებათაღელვა გამოიწვია არა მხოლოდ ქართველებში, არამედ აფხაზებშიც.

რაც შეგვეხება ჩვენ. აქ ისეა მოწოდებული ინფორმაცია, რომ რუსეთი არის აბსოლუტური ბოროტება, ხოლო დასავლეთი აბსოლუტური სიკეთე და ჩვენ, ქართველები, „აბსოლუტურ სიკეთესთან“ უნდა ვინტეგრირდეთ.

არაერთხელ მითქვამს და კვლავ გავიმეორებ: საქმე გვაქვს მსოფლიოს ახალ გადანაწილებასთან. ამ პროცესში ჩართულია მთელი პროპაგანდისტული მანქანა და ეს მანქანა, ჯერჯერობით, აშშ-ის ხელშია. მუშაობს ერთი მედიასაშუალება, რომელიც, მაგალითად, საქართველოში მაუწყებლობს ქართულ ენაზე, როგორც ამერიკული მედიის ფილიალი, ისინი ამბობენ, რუსეთი არის ბოროტება და დასავლეთი არის სიკეთე.

**— ამ პროპაგანდით ჩნდება კითხვა: იმ გარემოებებს სად წაუვალთ, რომ რუსეთი გვართმევს აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს?**

— ლეგიტიმური კითხვაა, სხვათა შორის.

ფაქტობრივად, ასეც არის, მაგრამ მიზეზებს არ ვეძებთ და არ ვკითხულობთ, რატომ მოხდა ასე?

მინდა დავარწმუნო პატივცემული მკითხველი, რომ რუსეთის ინტერესებში ტერიტორიების გაფართოება არ შედის. ამისთვის არ მიუტაცებია არც აფხაზეთი, არც ცხინვალი და არც რომელიმე სხვა, ბოლო დროს მიერთებული ტერიტორიები. დღეს მნიშვნელოვანი ტერიტორიული გაფართოება კი არ არის, ის ისედაც უზარმაზარი სახელმწიფოა, არამედ გეოსტრატეგიული ინტერესების დაცვაა მისთვის მნიშვნელოვანი. თუ რუსეთმა არ დაიცვა საკუთარი



ქვეყნის უსაფრთხოება, მართლა ემუქრება ის საშიშროება, რასაც უწინასწარმეტყველებენ რუსეთმოძულე დასავლეთელი პოლიტიკოსები და თვით მიხეილ სააკაშვილიც.

თუ რუსეთს მოაქცევენ ნატოს ალყაში, მისი პოტენციალი ნულის ტოლი გახდება, რადგან მის საზღვრებთან ახლოს ნატოს რაკეტების განლაგებით რუსეთის ბირთვული რაკეტების სრული პარალიზება ხდება. ამით აშშ-ი მოიპოვებს ერთპიროვნულ ბატონობას მსოფლიოში და დაეპატრონება რუსეთის უზარმაზარ სიმდიდრეს.

**— არადა, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ თავის დროზე, თითქოს ჯიბრზეო, განაცხადა საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს რადარების განთავსების თაობაზე.**

— ეს იყო მოღალატური განცხადება და მე მაშინ ალასანიასთვის ჩივილსაც კი ვაპირებდი სამშობლოს ღალატისთვის. მხოლოდ მოღალატეს შეუძლია ასეთი რამ თავის ქვეყანას გაუკეთოს.

რა განცხადებებიც მან აშშ-ში გააკეთა, არ ვიცი, იცოდა თუ არა, რა მოჰყვებოდა ამას, მაგრამ, მე ვფიქრობ, ეს იყო დავალება, რომელიც მან შეასრულა.



საქართველოში ყალიბდება ნატოს საწვრთნელი ცენტრი. ეს სხვა არაფერია, გარდა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. რუსეთი კი დგამს შემხვედრ ნაბიჯებს.

აფხაზეთში (და ცხინვალშიც) ის ბუფერულ ზონებს იკეთებს.

აქედან გამომდინარე, აფხაზეთიც და ცხინვალიც უაღრესად მილიტარიზებული გახდება.

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას სოჭში პუტინმა ძალიან სერიოზული საკითხიც დააყენა — ამიერკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნის აუცილებლობა.

მე გულისყურით მოვისმინე საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის წარმომადგენლების განცხადებები და უნდა ვთქვა, შემძრა გამოხატულმა ინფანტილიზმმა.

პრემიერმაც განაცხადა: რუსეთთან ყველაფერი ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდაო.

ჩემთან დიალოგში არ შემოვა, ალბათ, ბატონი პრემიერი, არც სტუდიაში, არც მიკროფონთან, არც სუფრაზე, სავარაუდოდ, თორემ ვკითხავდი, რას ნიშნავს ყველაფერი ვცადეთ?! აბაშიძეს არ ჰქონდა პოლიტიკურ თემაზე საუბრის მანდატი, თქვენ ვერ შეძელით რუსეთის ხელისუფლებას შეხვედროდით ორი წლის განმავლობაში. მაგრამ რომ შეხვედროდით, თუ პუტინი გეტყოდათ, რომ მას სურს საქართველოს ტერიტორიების მითვისება, თქვენ გექნებოდათ პასუხი, რომ ქართველი ხალხი არ გაძლევთ ამის ნებას, თუ შემოგთავაზებდათ საქართველოს გუბერნიის ან სხვა სახით შეერთებას, იგივეს უპასუხებდით. ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი რა უნდა შემოეთავაზებინა პუტინს? ნატოსკენ სწრაფვა? პასუხი ერთია — ვკითხავ ხალხს, კვლავ ჩავატარებ რეფერენდუმს, რომელიც ათეული წლის წინ ჩატარდა...

რა ჯობს, ნატოს წევრობის

10 gv.



## სოციალურად დაუცველები დახმარებას ახალი მეთოდით მიიღებენ

იცვლება სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების ფორმაც.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი, გაიოზ თალაკვაძე პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში სოციალურად დაუცველთათვის დახმარების დიფერენცირებული სქემით გაცემის მოდელის პრეზენტაციას მართავს.

სოციალურად დაუცველთათვის სტატუსის მინიჭება ახალი მეთოდით მოხდება. სტატუსის განსაზღვრისას ქულების რაოდენობაზე გავლენას ვერ მოახდენს საყოფაცხოვრებო ნივთების არსებობა, ასევე არ იქნება გათვალისწინებული სოცილაური აგენტის სუბიექტური შეფასება.

აღსანიშნავია, რომ მოხდება ქულების რამდენიმე კატეგორიად დაყოფა, მაგალითად თუ ოჯახს აქვს 30 ათასიდან 57 ათასამდე ქულა ის მიიღებს 60 ლარს, თუ აქვს 57 ათასიდან 60 ათასამდე ქულა მიიღებს 50 ლარს, ხოლო 60 ათასიდან 65 ათასამდე ქულის მფლობელები მიიღებენ 30 ლარიან დახმარებას. აგრეთვე სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ბავშვი მიიღებენ დამატებით 10 ლარიან დახმარებას.

აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით უმცირესობის წარმომადგენლები შიშობენ, რომ კატეგორიებად დაყოფის შემთხვევაში შესაძლოა ბევრი სოციალურად დაუცველი დახმარების გარეშე დარჩეს.

# აფხაზებს და ქართველებს მხოლოდ ერთი სახელმწიფო უნდა გვქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივენი განწირულნი ვართ...



გვესაუბრება ანალიტიკოსი **დემურ გიორხელიძე**:

**— ბატონო დემურ, რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ შეთანხმების შესახებ დოკუმენტს მოეწერა ხელი. რა იცვლება რეალურად ჩვენთვის ამ ხელშეკრულებით?**

— როცა პრობლემას ვერ ჭრი, უკეთესი დროის მოლოდინში, იგი, გონივრულად უნდა დააკონსერვო. დააკვირდით აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურ ელიტებს, არცერთი მათგანი კომპრომისისთვის მზად არაა, ორმხრივი ურთიერთობები არ გამოდის, ამიტომ კონფლიქტი დაკონსერვებულია. დიდი სახელმწიფოები ამ საკითხს თავს არიდებენ, როდესაც ორი ქვეყანა დიალოგისთვის მზად არაა, ზედმეტი ჩარევა სიტუაციას უფრო დაძაბავს. ერთადერთი უპასუხისმგებლობით გამორჩეული ქართული პოლიტიკური ელიტა აღმოჩნდა, რომელმაც ქვეყნის მომავალი და საფრთხეები ფეხებზე დაიკიდა და ქვეყანა 2008 წლის აგვისტოს კრიზისში შეიყვანა. შედეგად, სულ სხვა რეალობა მივიღეთ — რამდენიმე ქვეყნის და, მათ შორის, რუსეთის მიერ აღიარებული ორი სახელმწიფო. ამის მერე, თითქმის ექვსი წელი არაფერი და ჩვენი პოლიტიკის გამო, ეს ხელშეკრულებაც მივიღეთ, რომელსაც ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკის გარდა ვერაფერს დაარქმევ, რადგან იგი ქვეყნის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს. ახლა, შეიძლება იკითხონ — დასავლურ კურსს არ ემხრობითო? დიახ, ბატონო, დასავლურ კურსს ვემხრობი, მაგრამ ჩემთვის დასავლური ორიენტაცია დასავლური ტიპის სახელმწიფო მოდელზე სახელმწიფოს მშენებლობა, საბაზრო ეკონომიკა, კანონის უზენაესობა, ხელისუფლების პასუხისმგებლობა, ხელისუფლების კონტროლის საზოგადოებრივი და სახელმწიფო მექანიზმები, ანგარიშვალდებულება, დემოკრატიული არჩევნებია და არა ის, რაც ჩვენ რეალურად გვაქვს. ამის ნაცვლად, უპასუხისმგებლო ადამიანები ცხვირში ნატოს და ევროკავშირის გაუთავებელ ძახილს მტენიან, სინამდვილეში კი ქვეყანაში აღმოსავლური დესპოტია მოაწყვეს — საკუთარ ხალხს აუპატიურებდნენ, ძარცვავდნენ და ხელოვნურად სიღარიბეში ერეკებოდნენ. ასეთი ხალხის დასავლური ორიენტაციის, არ მჯერა. ეს არაა გზა დასავლეთისკენ, არამედ კლასიკური არშემდგარი ქვეყანა, რომელმაც თავისი სასიცოცხლო პრობლემა — ტერიტორიული მთლიანობა და აფხაზ ეთნოსთან ურთიერთობის გაფუჭება, ამ ხელშეკრულებამდე მიიყვანა. ახლა, ფაქტის წინაშე ვართ. რუსეთი იმას აკეთებს, რაც მოესურვება. ეს იმის შედეგია, რომ ჩვენს მეგობარ ქვეყნებსა და სტრატეგიულ პარტნიორებს არ ვაიძულებთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაში მოგვეხმაროს. ამის ნაცვლად, რუსებს ყველაფერს ვაკეთებინებთ, რაც სჭირდებათ. ისინი განაგებენ ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორებს, განლაგებულნი არიან საქართველოს ტერიტორიაზე და მნიშვნელოვან სამხედრო ბაზას ქმნიან, როგორც ცხინვალის რეგიონში, ისე აფხაზეთში. ჩვენ უნდა ველოდოთ სამომავლოდ, მსოფლიო მასშტაბით რა კატაკლიზმები მოხდება, როგორც იყო ვთქვათ, საბჭოთა კავშირის დაშლა, სოციალისტური სისტემის ნგრევა, რათა რაღაც გადმოგვიგდონ ისევე, როგორც თავის დროზე დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩაგვივარდა ხელში. ისიც ვერ გაგვიგია, რომ დამოუკიდებლობა ხელში ჩაგვივარდა და 24 წელია ამ სახელმწიფოს ვანგრევთ. ასე, შეიძლება, სამომავლოდპრობლემები შეგვექმნას. მეორე მხრივ თუ შევხედავთ, აფხაზეთი თურქული გავლენისგან დაცული იქნება. თუ მომავალში სერიოზული საერთაშორისო ძალთა გადალაგება მოხდა, ეს რაღაც იმედებს გაგვიჩენს.

**— რისი იმედი შეიძლება გაჩნდეს ამ მიმართულებით?**

— დღეის მდგომარეობით ყველა იმედი განულებულია, რადგან ქართველები აფხაზებს არ ვესაუბრებით. სოხუმის ტრაგედიიდან 21 წელი გავიდა და ჩვენ აფხაზებთან სერიოზული დიალოგი ამ დრომდე არ გვქონია.

დიახ, დღემდე არ გვიკითხავს საკუთარი თავისთვის — რა მოხდა აფხაზეთში? ბოლო შეთავაზება ავტონომიის მიცემაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას წარმოდგენა არ აქვს იმ კონფლიქტის გენეზისზე, რომელიც 1993 წელს ტრაგედიით დასრულდა. ათწლეულების მანძილზე, თუნდაც დამოუკიდებლობის პერიოდში, ქართველებმა უამრავი შეცდომა დაუშვით, როცა უფროს ძმასავით ვიქცეოდით და ე.წ. მდგომარეობას ცეცხლით და მახვილით ვალაგებდით. ჩვენ დაგვავიწყდა, რომ აფხაზური ეთნოსი ქართულის ორგანული ნაწილი იყო და პირიქით, ქართული ეთნოსიც აფხაზური ეთნოსის ორგანული ნაწილი იყო. მათი თანაცხოვრება მენტალურად, ფასეულობებით აბსოლუტურად თავსებადი იყო. მაგრამ, ქართველებმა მოვახერხეთ აფხაზებისთვის მტრის ხატი გავმხდარიყავით. მათ გავუჩინეთ აზრი, რომ აფხაზეთის მომავალი საქართველოს ერთიან სახელმწიფოში არაა. 90-იან წლებში ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე გაჩნდა კონტურები დამოუკიდებელი სახელმწიფო გავმხდარიყავით. მაგრამ აფხაზებს არ გავესაუბრეთ და საერთო სახელმწიფოში მათი ადგილი არ ვაჩვენეთ, ისინი ქართული პროექტის მონაწილე არ გავხადეთ, ისევე ვიქცეოდით, როგორც რუსები გვექცეოდნენ. ამისთვის დავისაჯეთ. არ გვინდა ვაღიაროთ, რომ ეს ტრაგედია ეროვნული შუღლის შედეგი იყო. როცა კონფლიქტის მიზეზი არ გესმის, სწორ გადაწყვეტილებას ვერასდროს მიიღებ. აფხაზებს ისე ველაპარაკებოდით, თითქოს, მათი მამა და მარჩენალი ვყოფილიყავით. მათ ეს ყველაფერი ცუდად მიიღეს. ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე, პოლიტიკური თვალსაზრისით, აბსოლუტურად მცდარი ლოზუნგები, პოლიტიკურად მოუმწიფებელი ხალხის ემოციური განცხადებები ისმოდა, რამაც კატასტროფა კიდევ უფრო დააჩქარა და 1993 წლით დააგვირგვინა. ერთმანეთის წინაშე ორივე ეთნოსმა დავაშავეთ. თუ შეცდომებს ორივე მხარე არ იაზრებს, ვისამე იმედად ყოფნა, პოლიტიკური თვალსაზრისით, სიბეცეა, ხოლო პოლიტიკური პასუხისმგებლობის კუთხით, დანაშაული. დღეს, ამ დანაშაულის შედეგებს ვიმკით. წელიწადნახევრის წინ ჩრდილო-კავკასიაში გახლდით. ყველაზე ავტორიტეტულ ყაბარდოელებთან შეხვედრაზე, საოცარი რამ მითხრეს — ჩვენი სამოცდაოთხი ვაჟკაცი სასაფლაოზე წევს, რომლებიც აფხაზების მხარეს იბრძოდნენ. მაშინ სუსტებს დავუჭირეთ მხარი. გავიდა 20 წელი და მივხვდით, რომ კავკასიაში ეს მტრობა კარგის მომტანი არ არის. მზად ვართ, როგორც ძლიერ მხარეს ქართველებს გვერდით დავუდგეთ და აფხაზებთან შუამავლობა გავწიოთ. ამ პროცესში მთელი ჩრდილოეთ-კავკასია ჩაერთვება და დიდი შერიგება უნდა მოხდესო. ჩრდილო-კავკასია და სამხრეთ-კავკასია ერთიანი სივრცეა, სადაც ქართულ კულტურას დღესაც აღმერთებენ. სამწუხაროდ, იმ უზარმაზარ სიმდიდრეს ვკარგავთ, რაც წინაპარმა დაგვიტოვა — კავკასიაში ქართველების გავლენას. ჩვენ, კავკასია დავივიწყეთ. საქართველო ჯორჯიად ვაქციეთ, რომელსაც სადღაც ფლორიდის მახლობლად აქვს ადგილი დაკავებული. დაგვავიწყდა, რომ საქართველო არის სამხრეთ-კავკასიური სახელმწიფო. მისი დასავლური ორიენტაცია, რომელიც დღეს არასწორად ესმით და სინამდვილეში დღევანდელი გადასახედიდან უალტერნატივოა, არ ნიშნავს რომ კავკასიაზე, მეზობელ ქვეყნებზე უარი თქვა და დასავლური ორიენტაციის ნიმუშად ის პროვოკაციული ფორმა გახადო, რომელიც დღეს უკვე სასაცილო ხდება და ქართველი ხალხის უმეტეს ნაწილში აგრესიას იწვევს. ის ადამიანები, რომლებიც დასავლურ ორიენტაციაზე საუბრობენ, პოლიტიკურად უმწიფარნი არიან და პოლიტიკური პასუხისმგებლობა საერთოდ არ გააჩნიათ. ამიტომ, აფხაზეთის პრობლემა უკვე წლებია გადავადებულია და კიდევ მრავალი წელი ასე იქნება.



**— როგორ ფიქრობთ, რა არის ის მთავარი, რაზეც რუსეთს პირველ რიგში უნდა ვესაუბროთ?**

— ჩვენს ხელისუფლებას ეს თემა კარგად არ ესმის. წინა, საერთოდ, პროვოკატორი იყო. არადა, რუსებთან ნომერ პირველი სასაუბრო თემა უსაფრთხოების საკითხებია. ჩვენ, დაცულნი არ ვართ. ვერანაირი ნატო, ევროკავშირი საქართველოს როგორც სამხრეთ-კავკასიური სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ცალმხრივად, ვერ უზრუნველყოფს. პოლიტიკური შტერები ვართ, როცა არ გვესმის რა გეოსტრატეგიულ სივრცეში ვართ, რომელიც 30-40 წელი მსოფლიო პოლიტიკის ეპიცენტრი იქნება. თუ ჩვენ რუსეთიდან უსაფრთხოების გარანტიებს არ მივიღებთ და ჩვენც არ მივცემთ გარანტიებს, რომ საქართველოდან რუსეთს არავითარი საფრთხე არ ემუქრება, მანამ დაშლის პირას მყოფი ქვეყანა ვიქნებით, ასევე, დაუცველი, სიღარიბესა და სოციალურ ჭაობში ჩაფლული, რადგან ასეთი დიდი რისკების მქონე ქვეყანაში ავანტურისტის მეტი ფულს არავინ შემოიტანს. ავანტურისტის ფულზე გათვლილი სახელმწიფო კი განწირულია. არცერთი მსოფლიოში ცნობილი საინვესტიციო ჯგუფი ჩვენთან არ შემოდის. არცერთი მსოფლიო ბრენდი აქ არაფერს აწარმოებს. საკუთარი საშინაო პოლიტიკა ისეთი გვაქვს, რომ განვითარების პერსპექტივებს სპობს. ამიტომ, აფხაზეთთან იმ დემაგოგიის გაგრძელება კი არ გვჭირდება რაც პრესით და ტელევიზიით გვესმის, არამედ დიალოგი.

**— წლებია ამ პოლიტიკას ვაწარმოებთ. ეს შეგნებულად ხომ არ ხდება, რათა კონფლიქტი არ მოგვარდეს და მუდმივად პროვოკატორის როლში ვიყოთ. ვის შეიძლება ეს აწყობდეს?**

— წინა ხელისუფლების პირობებში, ცხადია, ეს წმინდა პოლიტიკური პროვოკაცია იყო. ამას ერთადერთი მიზანი ჰქონდა — რეალური პოლიტიკა გარეგნულად შეენიღბა და ფაქტობრივად, დასავლეთისთვის რუსეთზე ზეწოლის მექანიზმი ყოფილიყო — საქართველოს ნატოში შევიყვანთ და ა.შ. ბუნებრივია, რუსები ამაზე ძალიან ცუდად რეაგირებენ. ამიტომ, როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში უსაფრთხოების გარანტიებზე ვსაუბრობ, ეს ორმხრივი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის გარკვეული პოლიტიკური მიზნებისთვის ვიქნებით გამოყენებული. როგორც კი ეს მიზანი ამოიწურება, მსოფლიოში პოლიტიკური კონიუნქტურა შეიცვლება და რუსეთთან ურთიერთობა დათბება, ჩვენ, კვლავ, სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მიუხედავად იმისა, რომ დღეს რუსეთი დასავლეთთან კონფრონტაციულ რეჟიმშია, არ ნიშ-

10 gv.

8 gv.

სურვილით დაინგრეს საქართველო თუ ხელი ავიღოთ ამ სწრაფვაზე და გადავარჩინოთ საქართველო?!

ჩვენ ვიბუტებით და ეს არის არა მხოლოდ უმეცრება, არამედ დანაშაულის ტოლფასი ქმედება, რაც არ ეპატიება არც ერთ ხელისუფალს.

ვაცხადებ: საქართველოს დაშლის პროცესი უმაღლეს ფაზაშია და ეს ჩვენ, რატომღაც, არ გვესმის.

მერე, როცა უკვე გვიანი იქნება, ამას ვერც ღვინის ჭიქაში სადღეგრძელოს დროს ჩაღვრილი ცრემლი უშველის და ვერც ქართულ ტელეარხებზე და ბეჭდურ მედიაში გამოთქმული არაფრისმთქმელი აზრები.

— არ შეუძლია ჩვენი მიღება. რადგან ნატოს წევრი ქვეყნის ინტერესები იკვეთება რუსეთის ინტერესებთან.

**— შესაძლოა, პოლიტიკურად ძალიან მკრეხელურ კითხვას ვსვამ, მაგრამ უნდა ვთქვა: ხომ შეიძლება შევარდნაძის, სააკაშვილის, „ოცნების“ მთავრობებიც ისევე ფიქრობდნენ და ფიქრობენ, როგორც თქვენ, მაგრამ, იქნებ, დასავლურ წრეებს უფრო დიდი ზიანის მოყენება შეუძლია, ვიდრე რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების მიტაცებაა გადაწვა-გაჩანაგების გარეშე. მათ მეტი ინფორმაცია და შეტყობინებები აქვთ და ვინ იცის, ნატო-ნატოს ძახილით სიცოცხლეს გვინარჩუნებენ. ასეც ხომ არ შეიძლება იყოს?**

— რთული შეკითხვაა.



# მინდა დავარწმუნო პატივცემული მკითხველი, რომ რუსეთის ინტერესებში ტერიტორიების გაფართოება არ შედის

**— ბოლო 20-25 წლის განმავლობაში მართლაც უკან-უკან მივდივართ...**

— უკან მივდივართ და საოცარი ისაა, რომ არაფერი იცვლება. შევარდნაძე ვერ იტანდა გამსახურდიას, გამსახურდია ვერ იტანდა შევარდნაძეს, თუმცა საგარეო პოლიტიკური კურსი ერთი და იგივე ჰქონდათ, სააკაშვილი და შევარდნაძეც ვერ იტანდნენ ერთმანეთს, არც ახალ ხელისუფლებას და სააკაშვილს ეხატება ერთმანეთი გულზე, მაგრამ პოლიტიკური კურსი იგივეა — რუსეთისადმი მტრობა და დასავლეთის და აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის გზა.

**— რა გზაა ეს, ბატონო ვალერი?**

— ევროპეიზაციის გზა. ჩვენ ხომ ევროპელებად „გავჩნდით“.

**— თქვენ ხუმრობთ და ამ გზას ჯერჯერობით არსად არ მივყავართ. აქამდე ერთ ადგილს ვტკეპნით.**

— დიახ, ჩვენ მივდივართ არსაითკენ. როგორც გაჯიქებულ ვირს ჩამოჰკიდებენ ცხვირწინ თივას და იგი მიჰყვება ამ თივას, ასე გვართობენ ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივით. ტყუილია, მირაჟია, თივაა ნატოს პერსპექტივა საქართველოსთვის.

**— ასე კატეგორიული რატომაა ნატო ჩვენს მიმართ, რატომ არ გვიღებს თავის რიგებში?**

სხვადასხვა ხელისუფლებების დროს სხვადასხვა სიტუაცია იყო ჩვენს გარშემო. როდესაც რუსეთში კრიზისი დაიწყო, აშშ-მა კარგად გათვალა, რომ შეიძლებოდა შევარდნაძეს მათთვის ეღალატა და მისი ხასიათიდან გამომდინარე, ეს არც უნდა გაჰკვირვებოდათ, ამიტომ შევარდნაძე ვადაზე ადრე ჩამოაშორეს ხელისუფლებას. იმ მომენტში საჭირო იყო აბსოლუტური რობოტი და ასეთი რობოტი იყო სააკაშვილი.

ახლა თქვენ მეკითხებით, რომელი ბატონისგან უფრო მეტ საშიშროებას შეიძლება მოველოდეთ.

საქართველოს უნდა განეცხადებინა ნეიტრალიტეტის შესახებ. მას უნდა ეთქვა, რომ ის სამხედრო თვალსაზრისით არის სუსტი და არის კულტურისკენ ორიენტირებული ქვეყანა. ბევრ პრობლემას და თავსატეხს ავიცილებდით თავიდან, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებებმა ეს, რატომღაც, არ გააკეთეს.

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ხელფეხი აქვს შეკრული. საქართველოში ისეა გაბატონებული ამერიკული გავლენა, რამდენიმე წუთში შეუძლიათ ნაცარტუტად აქციონ მთელი ჩვენი ქვეყანა. დიდია ამის საშიშროება, ამიტომაც სიტუაცია უფრო რთულია, ვიდრე ზედაპირზე ჩანს.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# აფხაზებს და ქართველებს მხოლოდ ერთი სახელმწიფო უნდა გვქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივენი განწირულნი ვართ

9 gv.

ნავს, რომ დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობა სულ ასე გაგრძელდება. ამ სანქციების, კონფრონტაციის მიზანი პუტინის რეჟიმის შეცვლაა და არა რუსეთის განადგურება. რუსეთის განადგურება დასავლეთს უზარმაზარ პრობლემებს გაუჩენს და მაშინ ამერიკელებს ისეთი პოლიტიკის გატარება მოუწევთ, რომელსაც ისინი უბრალოდ, ფიზიკურად და თავიანთი რესურსებით ვერ გაწვდებიან. ამიტომ, ამ რთულ სიტუაციაში კარგად უნდა გავერკვეთ. თუ პოლიტიკური ჯგუფი ამ ჩარჩოში იმოქმედებს, მაშინ შესანიშნავად გააცნობიერებს, რომ დასავლეთთან და აშშ-სთან მეგობრული, ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. მაშინ, ამ ხელისუფლებას ზუსტად ეცოდინება, რომ რუსებს არ უნდა ეომოს, რადგან ამას აზრი არ აქვს. ჩვენ ბევრნაირი საფრთხეები გვაქვს — ისლამური ფუნდამენტალიზმის, თურქეთის ამბიციები, რომელიც ძალიან დიდ მასშტაბებს აღწევს და საქართველოს ინტერესებს შელახავს. სახელმწიფო შეიძლება ვითარდებოდეს გახსნილობის, ცივილიზებულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის რეჟიმში და არა დემაგოგიის და პროვოკაციული იდეა-ფიქსების საფუძველზე.

ხუთივე მთავარ პოლიტიკურ აქტორს დღეს სხვადასხვა მიზნები აქვს, მათ შორის, კავკასიაში, ამერიკისა და ევროკავშირის ინტერესებიც სხვადასხვაა. ამ ვითარებაში, საუბარი გაუმართლებელ ავანტურისტულ, ცალმხრივ პოლიტიკაზე, ძალიან საშიშია. ჩვენ არ ვითვალისწინებთ იმას, რომ აშშ ვერ იქნება სამხრეთ-კავკასიაში ერთადერთი დომინირებული ძალა, ეს ილუზიაა. სამხრეთ-კავკასიაში ვერც ევროკავშირი იქნება რაიმე დომინირებული ძალა, მისი პოლიტიკური სისუსტის გამო. სწორედ ხუთი მთავარი მოთამაშის ინტერესების თანხვედრა, თუ სწორი, გონიერი და პრაგმატული პოლიტიკით ვიმოქმედებთ, სხვა პერსპექტივის საშუალებას გვაძლევს. კიდევ ერთი დიდი რამ გვავიწყდება, რომ არამხოლოდ სამხრეთ-კავკასიის ნაწილი ვართ, არამედ ის, რაც გეოპოლიტიკაში დიდი კავკასიის სახელითაა ცნობილი, ანუ, ეს რვა ქვეყანას მოიცავს — სამი სამხრეთ-კავკასიური, სამი ისტორიული მოთამაშე და ყაზახეთი და თურქმენეთი. ეს ერთიანი სივრცეა. აქ კონცენტრირებულია მსოფლიოში ყველაზე დიდი იარაღი, ამ ზონაშია ყველაზე დიდი ენერგომატარებლები და მათი ტრასები, რაც პრობლემად რჩება. ასე, რომ აფხაზებს და ქართველებს მხოლოდ ერთი



სახელმწიფო შეიძლება გვქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთიც და მეორეც განწირულნი ვართ. არსებობს გარანტია, რათა ამ რთული პრობლემებიდან გამოვიდეთ. რას შევთავაზებთ აფხაზებს, ჩვენს პოლიტიკურ სიმწიფესა და შორსმჭვრეტელობაზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით, ძალიან დიდი საშიშროების განცდა მაქვს, რომ არაფრისთვის მზად არ ვართ. ეს კონფლიქტი ისტორიულად შევისწავლე და შემიძლია ვთქვა — აფხაზებს და ქართველებს შეიძლება ჰქონდეთ ერთი სრულუფლებიანი სახელმწიფო, სადაც ყველაფერი კონსტიტუციურ დონეზე იქნება მოწესრიგებული. მათ ექნებათ სახელმწიფო მმართველობაში კონსტიტუციურად გამოყოფილი ადგილები. როცა ერთმანეთთან კონსტრუქციული დიალოგისათვის მზად ვიქნებით, სახელმწიფოებრიობის ფორმას ერთად მოვიფიქრებთ. ასე ორივე გადავრჩებით ან არადა აფხაზებიც და ქართველებიც სერიოზული საფრთხეების წინაშე ვდგავართ.

ჩვენ დღეს საქმით არ გვაქვს გამოხატული, რომ დასავლური ორიენტაციის ქვეყანა ვართ. ჩვენ არაფერს ვაკეთებთ დასავლური სახელმწიფოს აშენებისთვის. ასე არშემდგარ სახელმწიფოდ დავრჩებით. ვხედავთ, ვიწრო პოლიტიკურ ჯგუფებს, რომელბიც ფინანსდებიან და სულ ფეხებზე ჰკიდიათ აიგება თუ არა საქართველოში დასავლეთის ტიპის სახელმწიფო. ისინი შესანიშნავად გრძნობენ თავს და ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე განაგრძობენ იმ პოლიტიკას, რამაც ქვეყანა ჩიხში შეიყვანა.

**— ძირითადი აქცენტი ანექსიაზე კეთდება. საქმე ისაა, რომ რუსეთმა დასავლეთისგან განსხვავებით მშვენივრად იცის რასაც აკეთებს. რა არის მთავარი — ანექსია თუ რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოს დამოკიდებულება?**

— უდიდესი პრობლემებია. მოვლენები ძალიან რთულად განვითარდება. სამხრეთკავკასიას სამი ისტორიული მოთამაშე ჰყავს, რომლებიც ერთმანეთს კარგად ადევნებს თვალყურს — რუსეთი, ირანი და თურქეთი. გაჩნდა აშშ და ევროკავშირი.

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

## თემურ მირიანაშვილი:

# მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი კაპიტალიზმის დასასრულის მაჩვენებელია

**მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 2007 წელს დაიწყო, დღემდე გრძელდება.**

**საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ბატონ თემურ მირიანაშვილს.**

— საერთოდ, კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის კრიზისები ბევრი იყო ისტორიაში. თითქმის 200 წელია, ეს ხდება მას შემდეგ, რაც ეს სისტემა არსებობს,თუმცა არც ერთი არ ყოფილა ისეთი საშინელი, როგორც დღეს არის. აქამდე ყველაზე მძიმედ ითვლებოდა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დიდი ეკონომიკური დეპრესია, რომელიც სამნახევარი წელიწადი გაგრძელდა. დღეს ნიშნები კრიზისის დამთავრებისა არ ჩანს.

ჩემი აზრით, ეს არის კაპიტალიზმის საბოლოო კრიზისი, ამას დღეისთვის ყველანაირად მალავენ. თუ რატომ მალავენ, ამას თავისი ახსნა აქვს.

ისტორიულად პირველი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მოხდა 1825 წელს. თვითონ ცნება კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკური კრიზისი პირველად ახენა კარლ მარქსმა 1855 წელს, როდესაც სწორედ ეს პირველი კრიზისი ახსენა, შემდეგი კრიზისი იყო 1837 წელს, ამის მერე ის მეორდებოდა ყოველ 10-12 წელიწადში ერთხელ. ახლაც ასეა. აქვე მინდა **ვთქვა, რომ ორივე მსოფლიო ომი ამ კრიზისებმა გამოიწვია, რადგანაც კრიზისისგან გამოსვლის ყველაზე კარგი საშუალება არის მსოფლიო ომის გაჩაღება.**

დღეს ვხედავთ, რომ ეკონომიკური კრიზისი არ ჩერდება იმიტომ, რომ მსოფლიო ომი არ დაიწყო, არ გამოდის.

**კარლ მარქსი იმასაც ამბობდა, რომ საბოლოო მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს კაპიტალიზმი ვერ გაუძლებს და ის დამთავრდება ამ კრიზისთან ერთადო.** სწორედ ამ ეტაპზეა ახლა კაცობრიობა. სახეზეა ყველა ნიშანი საბოლოო კრიზისისა.

**— თუ კაპიტალიზმი დამთავრდება ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, მის ადგილს რა დაიკავებს?**

— მარქსის მიხედვით, სოციალიზმი განვითარდება, თუმცა, ამაზე ფიქრიც არ არსებობს საამისოდ, ტრილიონები ჩაიდო ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად, თუმცა ამაოდ, გამოსავალი ვერ მოიძებნა.

**— ომი რომ წამოიწყონ, ამისი ნიშნები ხომ არის გარკვეულწილად...**

— ომის წამოწყება ატომურ ეპოქაში გამორიცხულია, თუმცა რეგიონალური ომის წამოწყება ამერიკამ სცადა, შეიჭრა ერაყში, „არაბული გაზაფხულიც" გააჩაღეს, დაემუქრნენ ირანს, ეს ყველაფერი აქეთკენ იყო მიმართული. უკრაინის ამბებიც ამ კრიზისით იყო გამოწვეული. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ყველა რეგიონალური ომი წააგეს. უფრო მეტიც, **თავად ამერიკა და დასავლეთი იმდენად დალპა, რომ ერაყს, ავღანეთს და ლიბანსაც ვერ მოუგო ომი.** შეიჭრნენ ამ ქვეყნებში, გამოიწვიეს ქაოსი და მორჩა, ამის მეტი ვერაფერი შეძლეს. **ბოლოს რუსეთისაკენ გადაინაცვლეს, მაგრამ იქ ომი კი არ სურთ, არამედ უნდათ, რომ მეხუთე კოლონების საშუალებით დაშალონ იგი. ჰგონიათ, რომ პუტინის წინაალმდეგ წარმართავენ ხალხს და დაამხობენ მას და სააკაშვილისნაირ ნაძირალას დასვამენ.** რაც უფრო მეტად შეეცდება დასავლეთი რუსეთზე ზეწოლას, მით უფრო **დაუჭერენ პუტინს მხარს. მისი რეიტინგი დღეს ქვეყანაში 86 პროცენტია,** ამიტომ მის წინაალმდეგ ფერადი რევოლუციის მოწყობა სრულიად უაზრობაა. ფაქტობრივად, უკრაინაც ეკონომიკურ კრიზისს შეეწირა. ბიძინა ივანიშვილს სააკააშვილი დროულად რომ არ მოეშორებინა, აქაც უკრაინის ამბები დატრიალდებოდა, ამიტომ ქართველი ერი მადლიერი უნდა იყოს ამ კაცის.

**— მიუხედავად ყველაფრისა, ჯერჯერობით არც კაპიტალიზმი, როგორც სისტემა არ დანგრეულა, როგორ აღწევენ ამას?**

— ჯერ ერთი, დავიწყოთ იქიდან, რომ კაპიტალისტები შეგნებულად მალავენ იმას, რომ ეს ყველაზე ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისია მსოფლიოში, ამაზე მასმედია არ საუბრობს. უბრალოდ, ამბობენ, რომ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ბანკებს, ჩაერიოს სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკაში და ა.შ. **მაგრამ რა არის ეს მიდგომა? ეს გახლავთ მარქსიზმი! კაპიტალიზმში მარქსიზმის შეპარებით ასე თუ ისე ჯერჯერობით ეკონომიკის ნგრევა აირიდეს თავიდან!** თუმცა, იმასაც ხედავენ, რომ მარქსიზმის ჩანერგვა **კაპიტალიზმში საბოლოო ჯამში გამოიწვევს მარქსისტულ კაპიტრალიზმს.**



ტალიზმის კრახს. რუსეთი დღესაც სოციალიზმზე ორიენტირებულია. **ამიტომ არის, რომ ამერიკის მსტოვრები, საქართველოში არსებული მეხუთე კოლონა, გაафთრებით იბრძვიან დღეს რუსეთის წინაალმდეგ,** ეს არასამთავრობოები, აბსოლუტურად ყველანი ხომ დასავლეთიდან იღებენ ფულს? მათ ხომ საშობლო არ აინტერესებთ? მთავრობაზე ზეწოლას ახდენენ ყველა კუთხით.

**— ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების პოზიცია როგორია ამ მხრივ? მოექცევიან ისინი დასავლეთის გავლენაში?**

— ჯერჯერობით საქართველოზე ზეგავლენას დასავლეთი ვერ ახდენს, ახალი ხელისუფლება სააკაშვილისეულ რუსოფობიაში არ გადავარდნილა, ეს ძალიან კარგია.

დღეს ძალიან **ცდილობენ ჩაახშონ მემარცხენეთა ხმები თუმცა, ამას ვერ ახერხებენ, პრაქტიკულად დაწყებულია მემარცხენე რენესანსი. სამწუხარო ის გახლავთ, რომ კაპიტალიზმის ხელშია დღეს მთლიანად მსოფლიო მასმედია,** ამიტომ ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მათ წინაალმდეგ ნებისმიერი გამოვლინება ჩააახშონ. ეს საშინელი ძალაა არასამთავრობოებთან ერთად, ისინი ამახინჯებენ საზოგადოებრივ აზრს, ბინძური მეთოდებით იბრძვიან — აი, ასე ახანგრძლივებს კაპიტალიზმი დღეს თავის არსებობას.

**— ჩინეთი, როგორც ერთ-ერთი ზესახელმწიფო დღეს, სოციალისტური სისტემით ცხოვრობს, ხომ არ გახდება მაგალითი ახლო მომავალში იმის, თუ როგორ უნდა იცხოვროს მომავალმა მსოფლიომ?**



**— ანუ ფიქრობთ, რომ სოციალიზმში გადადიან?**

— ცხადია, ასეა, სარკოზი ღიად ამბობდა ბოლო წლებში, რომ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე ხდება საბანკო სექტორშიც, ბანკს პროცენტებს სახელმწიფო უწესებს — რა არის ეს? ეს გახლავთ ის, რომ კაპიტალიზმი სრულიად დასახიჩრდა, ეს მისი აგონიაა.

**— რომ არ აღიარებენ?**

— ადამიანს უკურნებელი სენი რომ აქვს და მალავს, ეს მას შველის? ასევეა აქაც, დამალვა ამათ არ უშველის, ეს ფაქტია!

რაც უფრო დიდხანს გაწელავენ ამ ყველაფრის დამალვას, მით უფრო კატასტროფულად დაინგრევიან.

**— ასეთ მძიმე სიტუაციაში საქართველოს რა გადაარჩენს?**

— საქართველოს გადაარჩენს მართლმადიდებელ რუსეთთან ურთიერთობა. პუტინი ძალიან კარგად ხედავს კაპი-

— ჩინეთის სახელმწიფო რეფორმა, რომელიც ჯერ კიდევ **დენ სიაო პინმა** შეიმუშავა, მთლიანად არის დაყრდნობილი სტალინის წიგნზე **„სოციალიზმის ეკონომიკური საკითხები საბჭოთა კავშირში".** ეს წიგნი აკრძალული იყო. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაც სტალინის სერიოზული მოსაზრება იყო. ის პოლიტიკური ლიბერალიზაციის მოთხოვნასაც აყენებდა. სწორედ მისმა ამ იდეებმა ჩინეთის საოცარი აღორძინება გამოიწვია, ეს ფაქტია. გეთანხმებით, მსოფლიოს მომავლის სურათი იხატება ჩინეთში, ის გახდება მაგალითი ბევრი ქვეყნისთვის.

ისტორიის ბუნებრივ მსვლელობას, ყოფიერების ბორბლის ტრიალს ვერავინ ვერ გააჩერებს. ამერიკას შეუძლია სულ უფრო მეტი და მეტი ტრაგედიები გამოიწვიოს, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს მისთვისვე დამთავრდება ტირანიით.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200



# ადამიანის ორგანოებით მოვაჭრენი

## იყენებდნენ თუ არა თურქეთში დაკარგულ საქართველოს მოქალაქეებს ორგანოების დონორებად?



დავით გაგნიძე

***ვაგრძელებთ ინტერვიუების ციკლს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან. ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობა იქნება. რესპოდენტის განცხადებით, ამ საკითხზე 90-იანი წლების დასაწყისში თავად მუშაობდა, გარკვეული ინფორმაციაც მოიპოვა, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო, ამ საქმეს გაგრძელება აღარ მოყოლია.***

**დავით გაგნიძე**: „ტრანსპლანტაციის, როგორც დარგის განვითარების დარგის დასაწყისად 1954 წელი ითვლება, როდესაც ამერიკელმა ქირურგებმა თირკმლის პირველი გადანერგვა განახორციელეს (ტრანსპლანტაციის მიზანი ავადმყოფი ორგანოს ჯანმრთელით ჩანაცვლებაა). 90-იანი წლების დასაწყისისთვის ტრანსპლანტაცია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ოპერაციების დაახლოებით 80% წარმატებით ტარდებოდა. მარტო აშშ-ში 40.000 ადამიანი იდგა ე.წ. რიგში, რომლებსაც ადამიანის სხვადასხვა ორგანოები ჭირდებოდათ. შეიქმნა ჯანმრთელი ორგანოების მწვავე დეფიციტი. ასე რომ, ჯერ კიდევ ტრანსპლანტაციის მასიურად დაწყების წინა პერიოდიდან ფართოდ მოიცვა ეს სფერო კრიმინალიზაციამ, არაფრად დაგიდევდნენ და დაგიდევენ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს. ღარიბ, განვითარებად ქვეყნებში ხდებოდა „სასურველი" ორგანოების „მოპოვება" და მდიდარი, განვითარებული დასავლეთისთვის „მიწოდება". ამ კუთხით ყველაზე სკანდალური ვითარება ინდოეთში იყო, რადგან ამ ქვეყანაში საერთოდ არ არსებობდა კანონმდებლობა ხსენებული მოვლენის წინააღმდეგ. ამერიკელი ექიმი ბერი იაკობსი იყო პირველი, რომელმაც ჯერ კიდევ 1983 წელს დააარსა „თირკმელების საერთაშორისო ბირჟა", მან 1990 წლამდე პერიოდში, დაახლოებით 2.000 თირკმლის გაყიდვის ფაქტს გაუკეთა ორგანიზება, თითოეული ამ ორგანოს ფასი 2.000-3.000 აშშ დოლარი იყო. ამ ყველაფერს ცნობილმა მედიასაშუალება „ბი-ბი-სი" სპეციალური გადაცემაც მიუძღვნა, რის შემდეგაც ინდოეთს ორგანოთა „ბაზარი" დაარქვეს. ინდოეთმა 1995 წელს კი მიიღო ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის საწინააღმდეგო კანონი, თუმცა იქ მაინც უამრავია ადამიანის ორგანოების შეძენის მსურველი.

1984 წელს ძალზე რთული ვითარება იყო ტაივანშიც, სადაც უამრავი ადამიანი მიემგზავრებოდა არალეგალური, უფრო ზუსტად კრიმინალური გზით მოპოვებული ორგანოების შესაძენად. ამ ქვეყანაში პატიმრები სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდნენ და მათ სიკვდილით დასჯის მაგივრად, ჯანმრთელ ორგანოებს აცლიდნენ. მერე ეს კარი დაიხურა, თუმცა შემდგომ სოციალისტურმა ჩინეთმა დაიკავა მისი ადგილი. 1984 წელს ხსენებული ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო სპეციალური კანონი, გვამების და სიკვდილით დასჯილი პირების ორგანოების გამოყენების შესახებ. ჩინეთი ამ ორგანოებს ჰონკონგის, სინგაპურის და ტაივანის მოქალაქეებზე ყიდდნენ, ასევე სხვა აზიურ ქვეყნებშიც და ორგანოთა ფასი დაახლოებით 30.000 აშშ დოლარს შეადგენდა. სხვათა შორის, ამ ე.წ. ბიზნესში საბჭოთა კავშირიც იყო ჩართული. ოპერატიული ინფორმაციების მიხედვით, 80-იანი წლების მეორე ნახევარში (გორბაჩოვისეული „პერესტროიკის" დროს ცოცხალი ორგანოების მიმწოდებელი ბავშვთა სახლები იყო, ბავშვებს თითქოსდა სამკურნალოდ აგზავნიდნენ საზღვარგარეთ, საიდანაც ისინი თირკმლისა და ძვლის ტვინის გარეშე ბრუნდებოდნენ. ანალოგიური ქმედებების გამო 1994 წელს უკრაინაში მთელი რიგი ჩინოვნიკები გაასამართლეს. 90-იან წლებში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა მთელს პოსტკომუნისტურ სივრცეში ხდებოდა, მაგრამ ყველაზე ხშირად მოლდავეთში, იქ, რომ იტყვიან, ბუმი იყო. 1992 წელს ციმბირის ერთ-ერთ მსხვილ ქალაქშიც აღკვეთეს სამართალდამცავებმა უკანონო დონორობის ფაქტები. ერთ-ერთი სამედიცინო ფირმა 8-10 წლის ბავშვებს არასწორ დიაგნოზს უსვამდნენ და საზღვარგარეთ ოპერაციისთვის აგზავნიდნენ. ეს ბავშვები ალკოჰოლიკებისა და მათხოვრების შვილები იყვნენ.

**- გამოდის ამ „შავ ბიზნესში" მთელი მსოფლიოა ჩართული?**



- რა თქმა უნდა. 1995 წელს როკფელერის ცენტრ „ბელაჯიოში" (აშშ) სხვადასხვა ქვეყნის 14 წარმომადგენელი, რათა განეხილათ ორი საკითხი, განევითარებინათ ადამიანის ორგანოების ყიდვა-გაყიდვის ქსელი მთელს მსოფლიოში და ზოგიერთ ქვეყანაში დონორობისთვის პატიმრები გამოეყენებინათ. ადამიანის ორგანოებით დონორობის საერთაშორისო პრაქტიკამ არამარტო ამ 14 ადამიანის ძალისხმევა, არამედ კოლუმბიის უნივერსიტეტის, „ღია საზოგადოების ინსტიტუტის" (ჯორჯ სოროსი) და საერთაშორისო „წითელი ჯვრის" მხარდაჭერა. დასკვნები თავად გამოიტანეთ. ბრაზილიის, ჩილის, არგენტინის პრესაში ადრე მრავლად იყო განცხადებები იმის თაობაზე, რომ კონკრეტული ადამიანები გაყიდდნენ ამა თუ იმ ორგანოს. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიამ 1997 წელს მიიღო კანონი ადამიანის ორგანოებიღ ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, დღემდე გრძელდება სასამართლო პროცესები ბავშვებისა და სხვადასხვა ორგანოების დაკარგვის შესახებ. ასეთ ვითარებას ძალზე ინტენსიური ხასიათი ჰქონდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაშიც, სადაც 1968 წელს გაკეთდა გულის გადანერგვის პირველი ოპერაცია. 90-იან წლებში ისრაელის სამედიცინო კლინიკები ადამიანის ორგანოებს აღმოსავლეთის ქვეყნებში იძენდნენ. ამ წლებში დონორობისთვის საჭირო ორგანოების „ბაზარზე" ჩვენი მეზობელი თურქეთიც გამოჩნდა, თავიდან, როგორც მიმწოდებელი, ხოლო შემდეგ უკვე შემძენიც. უამრავი საქართველოს მოქალაქე იკარგებოდა თურქეთში და არა მარტო იქ, რომლებიც იქ სამუშაოდ იყვნენ ჩასული, რა გარანტია გვაქვს, რომ ისინი დონორებად არ გამოიყენეს? 2007 წლის ზაფხულში, ისრაელის სპეცსამსახურებმა კიევში საერთაშორისო ბანდიტური დაჯგუფების წევრები დააკავეს, რომელთა „სპეციალიზაცია" ადამიანის ორგანოების კონტრაბანდა იყო. ხარკოვი და ზაპოროჟიე იყო ცოცხალი ორგანოების „და-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



მამზადებელი კანტორები", იგივე ხდებოდა ყაზახეთშიც.

ორგანოებით ვაჭრობა მიღებული პრაქტიკაა დღევანდელ მსოფლიოში. კოსოვოს პრემიერ-მინისტრ ხაშიმ ტაჩის ბრალს სდებენ 300 სერბი ტყვის მკვლელობაში, რათა მათი ორგანოები გადანერგვის საჭიროებისთვის გაეყიდა. ხაშიმ ტაჩის ბრალი დასდო ჰააგის ტრიბუნალის ყოფილმა პროკურორმა დელ პონტემ თვის წიგნში „ნადირობა". ევროსაპჭოს კომისიამაც შეისწავლა ეს ფაქტი დაადასტურა. 1999 წელს ხაშიმ ტაჩი კოსოვოს ხსნის არმიას ხელმძღვანელობდა. მათ ხსენებული ტყვეები ალბანეთში გადაჰყავდათ, სადაც ჩაუტარდათ სათანადო სამედიცინო გამოკვლევები და დაენიშნათ კარგი კვება. შემდეგ კი წყნარ, შეუმჩნეველ კლინიკებში ოპერაციები ჩაუტარდათ. ამ ყველაფერს ალბანური მაფია აკეთებდა. კოსოვოში ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით მეორე სკანდალიც აგორდა. 2013 წლის აპრილში კოსოვოში გასამართლებული იქნა ხუთი პირი, ამ საქმის გამოძიებაში მონაწილეობა მიიღეს ევროკომისიის პოლიციის მისიის წარმომადგენლებმა, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში. უროლოგ ლუტფი დერვიშს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მის შვილს არბანს 7 წლითა და 3 თვით, ხოლო დანარჩენ სამს ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. საქმეში გადიოდნენ კოსოვოს მთავრობის ორი ყოფილი წარმომადგენელი, მათ შორის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ილირ რაცაი, რომლებიც გაამართლეს. ამ საქმეში ასევე ფიგურირებდნენ ისრაელის მოქალაქე მოშე ხარელი და თურქი ქირურგი იუსუფ სონმეზი. დანაშაულებრივი დაჯგუფების შემქმნელად ხარელი ითვლებოდა, იგი პოულობდა კლიენტებს, რომლებიც მზად იყვნენ ორგანოები შეეძინათ, სონმეზი ქირურგიულ კლინიკაში და ოპერაციებს აკეთებდა, ორივეზე გამოცხადდა ძებნა. რამდენადაც ვიცი თურქი ქირურგი გაექცათ და დღესაც ძებნილია. სასამართლოზე დადგინდა, რომ ე.წ. დონორები აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნების, მათ შორის მოლდავეთის, რუსეთის, თურქეთისა და ყაზახეთის მოქალაქეები იყვნენ, რომლებსაც ფული ჭირდებოდათ. ისინი მაგალითად, თირკმელს 15.000 ევროდ ყიდდნენ, ხოლო მიმღებები, რომელთა შორის უმეტესობა ისრაელის მოქალაქეები იყვნენ, თითოეული ორგანოს გადანერგვაში 100.000 ევროს იხდიდნენ, მარტო 2008 წელს 30-მდე არალეგალური ოპერაცია იყო გაკეთებული.

**- ბატონო დავით, ამ კუთხით საქართველოში რა ვითარება იყო?**

- 90-იანი წლების დასაწყისში ანალოგიური ფაქტები საქართველოშიც ხდებოდა. შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, 1992 წლის 1 მარტს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა თბილისში მცხოვრები 12 წლის გოგონა. იგი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს, მას პროფესიონალის მიერ ჰქონდა ამოკვეთილი თვალი და თირკმელი. თბილისში ანალოგიური ფაქტი იმავე წელს და თვეს მოხდა, ოღონდ ამჯერად მსხვერპლი 14 წლის ბიჭი იყო. 1995 წლის აპრილში თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა დაახლოებით 20 წლის ახალგაზრდის გვამი თვალების გარეშე. თვალები მასაც პროფესიონალის მიერ ჰქონდა ამოკვეთილი. იმავე დღეს გლდანის ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი ახალგაზრდის გვამი, მასაც პროფესიონალის მიერ ჰქონდა ამოკვეთილი თვალები და თირკმელები. იმავე პერიოდში პრესით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლისის თუ კუს ტბის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა დაახლოებით 20 წლის ახალგაზრდის გვამი ასევე თვალებისა და თირკმელების გარეშე. ამოკვეთილი ორგანოები აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაჰქონდათ, იქიდან კი ვერტმფრენებს პირდაპირ გერმანიაში მიჰქონდათ. მარტო ერთი წლის განმავლობაში (1995-96 წწ) გერმანიის კლინიკებში გადანერგილი იქნა 2128 თირკმელი, 595 ღვიძლი, 498 გული. 1997 წელს თირკმლის გადანერგვა 80.000 აშშ დოლარი ღირდა, გულის 250.000 დოლარი, ხოლო ღვიძლის 450.000 დოლარი.

დავინტერესდი იმ ფაქტებით, რაც 90-იანი წლების დასაწყისში და შუა პერიოდში ხდებოდა და მოვახსენე ჩვენი სამმართველოს (ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური) უფროსის მოადგილეს, ოპერატიული საქმიანობის დიდ პროფესიონალს, აწ განსვენებულ ბონდო ბოლქვაძეს. მასალების გაცნობამ იგი ძალზე ააღელვა, მიბრძანა ყველა საქმისთვის თავი დამენებებინა და ამ საქმეზე დიდი გულისყურით მემუშავა, თან გამაფრთხილა, რომ ამ თემაზე კრინტი არავისთან დამეძრა. მუშაობა გავაგრძელე და ოპერატიულად თითქმის დავადგინე კიდეც ქალაქის ცენტრიდან მოცილებული ის მყუდრო სამედიცინო დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იყო ამგვარი ოპერაციების ჩატარება. სამწუხაროდ გავიშიფრე, თანაც ბატონი ბონდო უცებ სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს, ახალ ხელმძღვანელობას კი სხვა სასწრაფო საქმეები გამოუჩნდა, იმ პერიოდში ედუარდ შევარდნაძეზე ტერაქტი განხორციელდა (1995 წელი). რადგან ხსენებული ფაქტებიც აღარ ხდებოდა, შევწყვიტე ამ საკითხზე მუშაობა. დღესაც მგონია, რომ ვიღაცამ შეიტყო ჩვენი ამ თემით დაინტერესების შესახებ და შეწყვიტა საქმიანობა, თუმცა მოგვიანებით ოპერატიული ინფორმაცია მივიღეთ, რომ ორგანოებით ვაჭრობის მიზნით უკვე ცოცხალი ადამიანები გაჰყავდათ საზღვარგარეთ და იქიდან დაბრუნებულებს რომელი ორგანო აღარ ჰქონდათ, ამას ვეღარ ვიგებდი. უფრო მოგვიანებით მიღებული ოპერატიული ინფორმაციების თანახმად, პატარა ინვალიდი ბავშვების გაყვანა დაიწყეს. სულ მიკვირდა რატომ უნდოდათ უცხოეთის მოქალაქეებს ინვალიდი ბავშვების შვილად აყვანა და მათი უცხოეთში წაყვანა. კი გვქონდა ოპერატიული ინფორმაციები, რომ იმ ქვეყნებში მათ შემდეგ ორგანოების ამოცლის ოპერაციებს უტარებდნენ, რისგანაც თითქოს გასაახალგაზრდავებელ პრეპარატებს აკეთებდნენ, რომლის ერთი ამპულაც მინიმუმ 100.000 აშშ დოლარი ღირდა, მაგრამ საქართველოდან ამის გაკონტროლების შესაძლებლობა ნამდვილად არ მქონდა. მით უმეტეს, რომ ბონდო ბოლქვაძის გარდა, არცერთმა ხელმძღვანელმა ყურადღება არ მომაქცია, პასუხად ყველა გართულებულ ოპერატიული სიტუაციას იმიზეზებდა. საქართველოში სულ ასეთი სიტუაცია იყო და როგორ შეიძლებოდა ასეთი მტკივნეული საკითხის უგულებელყოფა. ჩვენი სამსახურიდან ერთადერთი ოპერატიული თანამშრომელი, რომელიც მთელი არსებით ებრძოდა პატარა ბავშვების უცხოეთის მოქალაქეებზე გაშვილებას, გია სამყურაშვილი იყო. მან გამოავლინა კიდეც ამ კუთხით საკმაოდ დიდი დანაშაულებრივი დაჯგუფება რამდენიმე ფაქტით, ანუ პატარა ბავშვით, მაგრამ, რადგან მავანთ არ აწყობდათ, ამ საქმეს სათანადო ყურადღებით არ მოეკიდნენ.



- საზოგადოება ნაცრეჟიმსაც ადანაშაულებდა, რომ ჩართულნი იყვნენ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ?

- სადაც ფულია, შეუძლებელია იქ ნაციონალები გარეულები არ იყვნენ. სწორედ ამიტომ ჰქონდა საზოგადოებას ეჭვი, რომ მათი ხელისუფლებაში ყოფნისას ადგილი ჰქონდა პატიმრებისთვის ორგანოების ამოკვეთას და მის შემდგომ რეალიზაციას. ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ახალ ხელისუფლებას სიტყვა არ დასცდენია ამ თემაზე, გამორიცხულია ხსენებული „შავი ბიზნესი" ჩვენს ქვეყანას არ შეხებოდა. ამ ეტაპზე ორგანოებით ვაჭრობა, მოიცავს ადამიანების საზღვარგარეთ გაყვანას და იქ მათ მონურ ექსპლოატაციას, ანუ ადამიანებით ვაჭრობა. გამორიცხავთ, რომ იქ მათ არ აიძულებენ ამა თუ იმ ორგანოს დონორი, მით უმეტეს, რომ, როგორც გითხარით ჩვენი მეზობელი თურქეთი 90-იანი წლებიდან აქტიურად ჩაერთო ამ სფეროში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აზიიდან ევროპაში ტრეფიკინგის მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა საქართველოს გავლით გადიოდა და გადის. 90-იანი წლების ბოლოს თბილისში, პუშკინის ქუჩის დასაწყისში რესტორანი „ინდური სამზარეულო" იყო განთავსებული, ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, სწორედ იქ მიდიოდნენ ინდოეთიდან და პაკისტანიდან ჩამოსული ადამიანები, რომლებიც შემდგომ არალეგალურად გადაჰყავდათ ევროპაში. როგორც ყოველთვის, ამ ინფორმაციამ შსს-დან „გაჟონა" და როგორც კი „ოპერატივნიკებმა" მუშაობა დავიწყეთ, ერთ კვირაში ეს რეატორანი დაიკეტა. უამრავი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ მოდით, ამ თემაზე ჯერჯერობით ყველაფერს ნუ ვიტყვით, ამის დროც დადგება. ცნობისთვის, როგორც ინტერნეტსაიტები წერენ გასულ წელს აშშ-ში ადამიანის ორგანიზმი 551.473 დოლარი ღირდა, საიდანაც ყველაზე ძვირი თირკმელი 262.00 დოლარი და ღვიძლი 157.000 დოლარი ღირდა. ორგანოებით ვაჭრობის 75% თირკმელებით ვაჭრობაზე მოდის.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

# „ქვირფასი“ პატიმრები





ფარვეზ მუშარაფი



ალბერტო ფუხიმორი



სლობოდან მილოშევიჩი



მოშე კაცავი

საქართველოს ნაპრეზიდენტალ მიხეილ სააკაშვილს გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ბრალი დაუმძიმდა, მაგრამ კიდევ რამდენი დანაშაული აქვს ჩადენილი და რა სახის, რომელიც უვადო პატიმრობამდე მივა? და მაინც, ეს კაცი, რომელსაც წესით, უკვე ჰააგის სასამართლო უნდა ასამართლებდეს, დღეგამოშვებით ტელეეთერიდან იმუქრება, ილანძღება, რჩევა-დარიგებებს იძლევა.

მსოფლიოს არც პრემიერ-მინისტრებისა და მერების დაკავება უკვირს და არც მინისტრებისა, თუმცა საქართველოს გარდა ვერსად და ვერავის ვერც ვერავინ უბედავს სიტყვის თქმას, ამა თუ იმ მაღალი რანგის ფიგურას პოლიტიკური ნიშნით სდევნითო, როცა სახეზეა მათ მიერ ჩადენილი დანაშაული – რატომ არ მოქმედებთ?

მხოლოდ ახალი საუკუნის 14 წელს გადავხედოთ:

ყაზახეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს **სერიკ ახმეტოვს** პროკურატურა კორუფციაში ადანაშაულებს. იგი ვიცე-პრემიერის პოსტს 2011 წელს იკავებდა, 2012 წელს კი მინისტრთა კაბინეტს ჩაუდგა სათავეში, თუმცა 2014 წელს ჩამოაქვეითეს და თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშნეს საიდანაც საკუთარი განცხადებით გადადგა 22 ოქტომბერს. „კაბელების“ ხსენება არ ყოფილა, უბრალოდ, ფაქტია, რომ თავდაცვის მინისტრი კორუფციაშია ეჭვმიტანილი და მსოფლიოს კი არ სერავს მეგობრებთან ერთად, პირველი, რაც იყო, შინაპატიმრობა მიესაჯა, დანარჩენი, რადგან „კვამლი გაჩენილია“, მალევე გაირკვევა...

თურქეთის ექს-პრეზიდენტ **ქენან ევრენს** და ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს 1980 წელს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების გამო სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. „ეს განაჩენი უნდა გახდეს მაგალითი მათთვის, ვისაც არადემოკრატიული ზრახვები აქვს“, მოკლედ აცხადებს თურქეთის რესპუბლიკის სახალხო პარტია. უფლებადამცველების თქმით, საქმე იმაში გახლავთ, რომ ევრენმა და მისმა თანამოაზრეებმა „წესრიგი“ ათასობით ადამიანის დაპატიმრებით, ასობით ნაწამები და ათობით მოკლულის ზურგზე დაამყარეს...

მონღოლეთის პირველი პრეზიდენტი (2005-2009 წწ) მაღალი კულტურის მქონე ადამიანად ცნობილი (საერთაშორისო შეხვედრებზე თარჯიმნის გარეშე საუბრობდა, ლიტერატორი, თარგმნიდა წიგნებს) **ნამბარინ ენხბაიარი** 2012 წელს წარსდგა სასამართლოს წინაშე. იგი დამნაშავედ ცნეს კორუფციაში და ექსპრეზიდენტს თავდაპირველად შვიდი, საბოლოოდ კი 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და სასამართლომ მისი ქონების კონფისკაციის გადაწყვეტილებაც მიიღო.

ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი (2000-2007 წწ) **მოშე კაცავი** კორუფციისგან აბსოლუტურად განსხვავებული მიზეზით მოხვდა საპატიმროში, მან თავისუფლება ქალებთან გადამეტებული მამაკაცური გამოვლინებების გამო დაკარგა, თელ-ავივის სასამართლომ 2010 წელს გაუპატიურების ორ შემთხვევასა და გარყვნილი ქმედების შემთხვევებში დამნაშავედ ცნო და 7-წლიანი მუხლი შეუფარდა.

2006 წელს ჰააგის სასამართლოში გარდაიცვალა იუგოსლავიის პრეზიდენტი 1997-2000 წლებში **სლობოდან მილოშევიჩი**. დღემდე სადავოა მისი დანაშაული (ჟენევის კონვენციის დარღვევა, გენოციდი, სამხედრო დანაშაული, მით უმეტეს, რომ NATO-ს ავიაციამ განახორციელა საჰაერო დაბომბვები და მათ ჩამოგდეს მილოშევიჩი) და საეჭვოდ მიიჩნევა მისი გარდაცვალების დიაგნოზიც – მიოკარდიუმის ინფარქტი. მისჯა არ დასცალდა, თორემ დაკავებით, 1999 წელსვე დააკავეს, ე.წ „რევოლუციიდან“ ექვს თვეში...

პაკისტანის პრეზიდენტი 2001-2008 წლებში, **ფერვეზ მუშარაფი**, სამხედრო პირი, წარმატებით თანამშრომლობდა დასავლეთთან, რის გამოც მისი რეიტინგი მისივე ქვეყანაში დაცემული იყო. 2008 წელს მუშარაფმა იმპიჩმენტის საშიშროება იგრძნო სამთავრობო კოალიციის მხრიდან და გადადგა, მაგრამ 2009 წლიდან მასზე საქმე იყო აღძრული სამშობლოს ღალატისა (დასავლეთთან) და ოპოზიციონერი ლიდერის, ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობის გამო. იგი ლონდონში ცხოვრობდა, თუმცა 2013 წელს რატომღაც სამშობლოში დაბრუნდა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად და დააპატიმრეს კიდეც მძიმე ბრალდებებით.

აგერ ახლახან დააკავა პორტუგალიის პოლიციამ პორტუგალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, სოციალისტური ფრთის წარმომადგენელი **ჟოზე სოკრატესი**, რომელსაც სამ თანამოაზრესთან ერთად ბრალი ედება საგადასახადო თაღლითობაში, კორუფციასა და ფულის გათეთრებაში. სხვათა შორის, პოლიციამ სოკრატესი ლისაბონის აეროპორტშივე აიყვანა...

2012 წლის მაისში სასამართლომ ლიბერიის პრეზიდენტი **ჩარლზ ტეილორი** დამნაშავედ ცნო 11 ბრალდებაში და 50-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

2006 წლის გაზაფხულზე 25-წლიანი პატიმრობა შეეფარდა პერუს პრეზიდენტ (1990-2000 წწ) **ალბერტო ფუხიმორის**, რომელიც ჩილეში დააკავეს და შემდეგ პერუში ექსტრადირება განხორციელდა. ფუხიმორიმ 2000 წელს დატოვა ქვეყანა და იაპონიაში ჩასულმა განაცხადა გადადგომის შესახებ, მაგრამ სპეციალურმა კონგრესმა არ ცნო მისი განცხადება და თვითონ გადააყენეს.

უახლესი წარსულის ამ მოკლე ჩამონათვალში რა არის ისეთი დანაშაული, რომელიც საქართველოს ექს-პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილსა** და მის თანაპარტიელებს არ ჩაუდენიათ? პირიქით, ყველა ჩამოთვლილი პირის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ერთად შეკრებილს, აკლია იმ დანაშაულთა ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც ჩადენილი აქვს სააკაშვილის რეჟიმს საქართველოში და „წარმატებით“ შეავსებდა ამ გალერეას...

ჩვენ მხოლოდ ერთი კითხვა დავსვათ: თუ მავანთა მიერ ჩადენილი დანაშაული არ შეფასებულა პოლიტიკურ დევნად, საქართველოს შემთხვევაში რა ხდება, რატომ და როდემდე უნდა დაფაროს ე.წ დასავლეთმა თავიანთ „ძაღლისშვილს“ ხელი და გვაიძულოს, რომ მის „ცოფიან ლეკვებს“ ვეფეროთ? არის თუ არა საქართველო ქვეყანა, თუ რომელიღაც ქვეყნის (ქვეყნების) განაპირა კოლონია ვართ?

კი, საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ბრალი დაუმძიმდა (კიდევ დაუმძიმდება), მაგრამ აზრი? რატომ შეჩერდა დამნაშავე კრიმინალ მოქალაქე სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნის პროცედურები, ვინ ერევა ასე უხეშად საქართველოს საშინაო საქმეებში, ვინმეს ჰგონია, რომ ხალხმა არ იცის? ბოლოს და ბოლოს, გვაქვს თუ არა ქვეყანა და თუ გვაქვს, ამ ქვეყანას ჰყავს თუ არა ხელისუფლება, თუ ყველანი სხვა ქვეყნიდან დანიშნულები არიან?

**გიორგი ჩხეიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# „უსქესო“ ჟურნალისტის ტელეტრიუკები და ნიანგის ცრემლებში ამოვლებული სუროგაციის თემა

ბოიკოტი აკაკი გოგიჩაიშვილს! — ამ სამარცხვინო გადაცემას არავინ უნდა უყუროს! — ამგვარი მოწოდება გაისმა 2014 წლის 29 ნოემბრის „ბიზნესკურიერის“ ეთერში გასვლის შემდეგ. პირდაპირ ეთერში აკაკი გოგიჩაიშვილის საქციელს ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი განცხადებით გამოეხმაურა და სასწრაფო რეაგირებას ითხოვს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმძღვანელობისგან (თამარ რუხაძე, ნათია კუპრაშვილი), პარალელურად, ინტერნეტში შეიქმნა გვერდი, რომლითაც ბოიკოტს უცხადებენ მოქალაქეები „ბიზნესკურიერის“ წამყვანს და ყველა თავმოყვარე ადამიანს მოუწოდებენ არ უყურონ აკაკი გოგიჩაიშვილის გადაცემას.

ეს „უსქესო ჟურნალისტი“ (ჟურნალისტს სქესი არ აქვსო — „გოგიჩაიშვილების“ თეზაა) ის აკაკი გოგიჩაშვილია, რომელიც 2001 წლის 4 მარტს საღამოს 9 საათიდან 10 საათამდე ტელევიზია „რუსთავი-2“-ის ეთერით სამშობლოს, საქართველოს ყიდდა და „ვინმე ჩოგოვაძე“ რაღად უნდა ულირდეს? ეს ის მომენტი იყო, როდესაც საქართველოს ხელისუფლება მთელ მსოფლიოს და უპირველესად რუსეთს უმტკიცებდა, რომ პანკისის ხეობაში მხოლოდ მშვიდობიანი ლტოლვილი ჩეჩენი მოსახლეობა იყო თავშეფარებული; რომ იქ არანაირი შეიარაღებული რაზმები არ იმყოფებოდნენ და ამ დროს გამოვიდა „რუსთავი-2“-ით „60 წუთი“, ანუ აკაკი „ბეთჰოვენა“ და პირზე დაადგა საქართველოს, რას ჰქვია არ არიან, 800 კბილებამდე შეიარაღებული ჩეჩენი ბოევიკი დგას პანკისის ხეობაში გელაევის მეთაურობითო და ცდილობდა რამენაირად ფაქტებით გაემყარებინა ნათქვამი — დაბომბვას გადაურჩა აღმოსავლეთ საქართველო ეს მხარე...

მაყურებლისთვის იმდენად შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა ირაკლი ჩოგოვაძესთან დაკავშირებული საუბარი, რომ აბსოლუტურად გადაფარა იმავე გადაცემაში მანამდე გავრცელებული ინფორმაცია, რომ 2016 წლის 1 იავრიდან ასაკობრივი ცენზი წესდება იმ პირებისთვის, რომელთაც ბიოლოგიური შვილის ყოლის იმედი გადაეწურათ და ერთადერთ იმედად სუროგაციის მეთოდის გამოყენებაა დარჩენილი. როგორც აკაკი გოგიჩაიშვილმა და მისმა მეწყვილე წამყვანმა განაცხადეს, მთავრობა ამზადებს კანონს, რომელიც არათუ გაუთხოვარ ქალს, ღარიბ ოჯახსაც აუკრძალავს და მდიდარსაც, თუ ქალი 41 წლის, ხოლო მამაკაცი 47 წლის გახდება.

მათ ვისაც დღემდე არ გაუაზრებია როგორ „კეთდება“ კონკრეტული ტელეგადაცემები, როგორ კოწიწდება და შემდეგ იკვრება ერთ მთლიანობად ცალკეულ პირთა გამონათქვამებიდან ამოღებული ფრაზებით სასურველი თემის აჟიტირება (ან ე.წ „თეთრი“ თუ „შავი“ პიარი), ძნელია აუხსნა რას შეიძლება ემსახურებოდეს სუროგაციასთან დაკავშირებული გამაოგნებელი გადაწყვეტილების გახმოვანება კონკრეტულად სახელგატეხილი აკაკი გოგიჩაიშვილის „ბიზნესკურიერში“, ამიტომ, მოკლედ მივყვეთ ისედაც მოკლე „სასკანდალო“ ინფორმაციის მოწოდების მდინარებას.




მცირე შესავალს, მაგრამ უშვილო პირთათვის მეხის დაცემის ეფექტის მქონე ინფორმაციას პირდაპირ საწყალობელი ხმა დაედო, რა უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მიზეზთა გამო უშვილოდ დარჩენილი ადამიანები იუსტიციის სამინისტროს განზრახვით — რომ სხვისი შვილის მუცლით მატარებელი ქალების ასაკსაც დაედება ცენზი, მათი ასაკი 21-იდან 38 წლამდე განისაზღვრება და მინიმუმ, ერთ საკუთარ შვილს უნდა ზრდინენ.

ეკრანზე ჩნდება ბაია პატარაია, არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ ხელმძღვანელი, რომელიც ამბობს, რომ კა-




ნონპროექტი, რომელიც მის ხელთაა, საჭიროებს დახვეწას და იმედს გამოთქვამს, რომ იმ ფორმაში არ დარჩება, რა ფორმითაცაა წარმოდგენილი.

ამას მოსდევს ადგილობრივი ინვიტრო განაყოფიერების კლინიკის დარგის სპეციალისტების კომენტარები.

შემდეგ უკვე საპატრიარქოა ჩართული და ამონარიდია პატრიარქის 2014 წლის საშობაო ეპისტოლედან, რომ ოჯახი სადაც სუროგატი ბავშვი იზრდება, ბედნიერი ვერ იქნება.

ამას მოსდევს „რუსთავი-2“-ზე მიწვეული თეა წულუკიანისა და ნინო შუბლაძის საუბრიდან ამონარიდი, რომ იუსტიციის სამინისტრო კანონპროექტზე მუშაობს, რითიც სუროგაცია შეიზღუდება. ამოვიღოთ ჩანაწერი და ვნახოთ, სინამდვილეში რა თქვა თეა წულუკიანმა სწორედ იმ დღეს და იმ გადაცემაში: — „ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო ის მეტისმეტი ხმაური, რაც ეპისტოლეს მოჰყვა, იმიტომ, რომ სასულიერო ხელისუფლების ხელმძღვანელს აქვს უფლება, თავისი აზრი გამოთქვას და საკუთარ მრევლს აუხსნას ის, რაც რელიგიური მიდგომიდან გამომდინარე, სწორია. რა თქმა უნდა, მე მესმის და ვიზიარებ იმ ტკივილს, რომელიც ძალიან ბევრმა ოჯახმა გამოხატა — საუბარი მაქვს ხელოვნური განაყოფიერებით შეძენილ ბავშვებზე. ჩვენ ვართ მცირერიცხოვანი ერი და როდესაც ოჯახი იქმნება, რომლებსაც ჯანმრთელობასთან გარკვეული პრობლემები აქვთ, მათ აქვთ უფლება, რომ მომავალი თაობა ხელოვნური გზით მაინც იყოლიონ. მე ამ პრინციპს ვიზიარებ, ყველა ასეთ ოჯახს თანავუგრძნობ და მიხარია რომ მათ შვილები ჰყავთ.

რაც შეეხება სუროგაციას — ის ზოგ ქვეყანაში აკრძალულია, თუმცა ჩვენთან დაშვებულია. ძალიან ბევრი ოფიციალური ვიზიტის დროს, რომელიც იუსტიციის მინისტრის რანგში მქონია, ჩემს კოლეგებს დაუსვამთ კითხვა, თუ რატომ არ არის ჩვენს ქვეყანაში სუროგაცია რეგულირებული. ჩვენთან კანონპროექტი მზადდება, რომლის მიზანი სუროგაციის აკრძალვა არ არის, იმიტომ, რომ ისევ და ისევ ზოგიერთი უიმედოდ განწყობილი წყვილისთვის ეს ბოლო შველაა, თუმცა ჩვენ გვინდა, საბოლოოდ გამოვრიცხოთ სუროგაციის ბიზნესად გადაქცევა და „ფულის კეთების“ თემა. მინდა, ყველა იმ კლინიკას მივმართო, რომელიც ამ საქმით არის დაკავებული, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით კანონი არ არის წესრიგში, მოვუწოდებ, გამორიცხონ გაუგებარი და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა, ეს არის გამორიცხული, გაუგონარი და არაეთიკური საქციელი. ამგვარი კლიენტი-მომხმარებლის ლოგიკა, ამ თემაზე აუცილებლად აიკრძალება“. (საუბარია **SMS** შეტყობინებებზე, რომლის საშუალებითაც შემთხვევითი ამორჩევის პრინციპით მობილურის მფლობელს გარკვეული გასამრჯელოს საფასურად სთავაზობდნენ სუროგატ დედად გახდომას).

ხმამ გვამცნო, რომ „სუროგაციის ახალი კანონპროექტი“ ჯანდაცვის სამინისტროს და სპეციალისტებს გადაეგზავნათ განსახილველად, მაგრამ არავინ იძლევა კომენტარს, რადგან განხილვები ადრეულ ეტაპზეა, არადა, მთელ სიუჟეტს წარწერა გასდევს „სუროგაციის ახალი კანონპროექტი“ (ხელოვნური განაყოფიერება, სუროგაცია და დონაცია) და დაასრულა: „კანონპროექტზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა, ამიტომ კარგი იქნება, თუ იუსტიციის სამინისტროს სურვილი, შეზღუდოს სუროგაცია როგორც ბიზნესი, ოჯახების უშვილოდ დარჩენის განაჩენად არ იქცევა“ და ეთერში სუროგაციის „დედად“ ცნობილი მარიამ კუკუნაშვილი გამოჩნდა, უფრო ზუსტად, მისი გამოჩენა მისი საქმიანობის პიარი იყო. მნიშვნელოვანი მხოლოდ ის ითქვა, რომ თურმე თურმე ამ პროფილით მომუშავე პირებს ხმის მიწვდენა სდომებიათ პარლამენტისთვის, მაგრამ აღმოჩენილა, რომ აზრი არ აქვს, რადგან ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, თავის მხრივ კი დასძინა, რომ არ ესმის, თუნდაც ბიზნესის კეთების მხრივ რატომ არის მიუღებელი.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ინფორმაცია „ბიზნესკურიერში“ გადმოიცა, რომლის ავტორი აკაკი გოგიჩაიშვილი გახლავთ. ცრუს დამახილზე „მგელიო“ რომ არავინ იჯერებს, სწორედ ასეთი ამბავი ტრიალებს გოგიჩაიშვილის თავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ ერთი სიტყვით მაინც არ თქვა ვინმემ რამე — ერთის მხრივ, ხალხს ვგულისხმობ, მეორეს მხრივ — იგივე იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროს, სიმართლეა რაც ითქვა თუ ტელეხრიკებით ისეთი აწყობილი სიუჟეტი გავიდა, რომ ნაწილობრივ სიმართლე ითქვა, ახალი კანონპროექტი კი, მუშავდება, მაგრამ მსგავსი აკრძალვები არ არის? ერთადერთი, ბატონი სერგეენკოს სიტყვები „დაბორიალობს“ ეთერში: — ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ასე კატეგორიულად არ დგას საკითხი, რომ სუროგაცია უნდა აიკრძალოს, არავითარ შემთხვევაში ამაზე არ არის საუბარი.

ერთი რამის თქმა ნამდვილად შეიძლება წინსწრებით, საქართველოში, სადაც მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა, რაც დაახლოებით 50 წლის შემდეგ ქართველის, როგორც ერის გაქრობის რეალური საწინდარია, თუ მართლა მუშავდება სადმე, რომელიმე უწყებაში კანონის ჩანასახი, რომელიც რაიმე სახით წინააღმდეგობაში მოდის ერის გამრავლებასთან, ძირშივე უნდა მოისპოს! — ვერანაირი ე.წ დასავლეთის რეკომენდაცია ვერ გამოდგება მის გასამართლებლად.

დეივ ფორმანის (თანადამფუძნებელი საზოგადოება „დედამიწა უპირველეს ყოვლისა!“) სამი უმთავრესი მიზნიდან ერთ-ერთი იყო ადამიანების პოპულაციის შემცირება 100 მლნ-მდე (არა მხოლოდ ფორმანის მიზანია) — „დეივ ფორმანების“ მსგავსი ე.წ დასავლელი კოლეგების დაკრულზე თუ აპირებს ვინმე საქართველოში ფეხის აწყობას, ძალიანაც მიუქარავს!...

**გიორგი ჩხეიძე**

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

## ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში

## ქართული ეკლესიის მხარდაჭერით მოიწევს თუ არა ებრაულ-მასონური მოძრაობა საქართველოს სამეფოს ტახტის დასაპყრობად?



### ავტორის წინასიტყვა

მკითხველი მინდა წინასწარვე გავაფრთხილო, რომ ჩემი წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი მცდელობაა ჩემივე განცხადების განმარტებისა, რომელიც წარმოვთქვი ამ სამიოდე წლის წინ, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, ახალგაზრდობის სულიერი განვითარების ცენტრში, როდესაც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია მეორე ხვდებოდა ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლობას და პატივი დამდო ჩემი პოზიცია გამეხმამაღლავებინა: „საქართველოს ეკლესიურიცა და საერო ცხოვრებაც, მისი „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის“ პერსპექტივითა და მონარქისტული იდეით, შევიდა ძალზედ სახიფათო ფაზაში“. ასეთი გახლდათ ფორმულირება ჩემი განცხადებისა. ამ საკითხებზე ჩემი თვალსაზრისების დაწერისათვის ლოცვა-კურთხევა იქვე, საჯაროდ და ყველას გასაგონად მიბოძა მისმა უწმინდესობამ. ამდენად, ეს გამოკვლევა ერთგვარი პასუხიც გახლავთ საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევაზე იმის შესახებ, თუ რას ვგულისხმობდი „ჩვენი ეკლესიური და საერო ცხოვრების სახიფათო ფაზაში“. ღვთის წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძნობ, ჩემი ხედვა ავუხსნა ეკლესიასაც და ჩემს ხალხსაც და სანამ შესაძლებლობა არ ამოწურულა დიდი ეროვნული დანაშაულის აცილებისა, რაზედაც წინამდებარე გამოკვლევაში მექნება საუბარი, ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს, გადარჩენილ ქართულ საზოგადოებრიობას.

**დენიზა სუმბაძე,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### შესავალი, ანუ საკითხის დასმისათვის

დამეთანხმებით ალბათ, რომ ისევე, როგორც მთელი კაცობრიობის ისტორიაში, ცალკეული ერის ისტორიაშიც შეიძლება უამრავი რამ იყოს აუხსნელი და იდუმალებით მოცული. პრობლემა, რომელსაც უნდა შევეხო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეთა დღემდე აუხსნელსა და საიდუმლოებად დარჩენილ სამეფო ტიტულს -„დავითიანს“- შეეხება, იგი, ეს ტიტული, არ გახლავთ სამუზეუმო, თვალ-მარგალიტით მოჭედილი მამა-პაპეული სკივრიდან ამოღებული, არავისთვის საჭირო და გამოუყენებელი სამკაული. ეს გახლავთ სრულიად აქტუალური, შეიძლება ითქვას, ისტორიოსოფიურთან ერთად საკმაოდ პოლიტიკური, თანამედროვე მსოფლიოს მსოფლმხედველობრივად მამოძრავებელ ძალებთან დაკავშირებული, და, მართალია, ქართული საზოგადოებრიობისა და ქართველი ხალხის მიერ ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი, მაგრამ სადღეისოდ უჩვეულოდ მტკივნეული, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ეკლესიურ-სულიერი და ეროვნულ-სულიერი ცხოვრების ცხელ ხაზზე გამავალი პრობლემა: საკითხი ეხება საქართველოს მეფეთა წოდებას „დავითიანებად“, უფრო ზუსტად: საქართველოს მეფეთა ერთერთი დინასტიის, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელ მეფეთა სამეფო ტიტულატურის სახით არსებულ ისტორიულ განსაზღვრებას. და, როგორც ირკვევა, იმისათვის, რომ „დავითიანის“, საქართველოს მეფეთა ტიტულატურის ეს სიღრმისეული და ნამდვილი მნიშვნელობა ავხსნათ, ჯერ ქართველი ერის ეროვნული მეობის, მისი ისტორიული სულიერი მისიისა და ღვთით მონიჭებული, ეპოქალური საკაცობრიო დანიშნულების ამოხსნა უნდა შევძლოთ. ფაქტობრივად, საკითხი ეხება თავად ქართველი ერის ფენომენალური რაობისა და ვინაობის ისტორიულ ასახვას საქართველოს მეფეთა ტიტულში, რაც ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია; მნიშვნელოვანია, ერთი შეხედვით, ფარულად, ხოლო, თუ ჩავუკვირდებით, სრულიად აშკარად და ღიად, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე, დღევანდელი სახელმწიფოებრივი პროცესების კონტექსტში; თუ ჩავუკვირდებით, ძალზედ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ქართველი ერის ფენომენალური ვინაობის სადღეისო განსაზღვრებისა და შემეცნებისათვის, და , აქედან გამომდინარე, მისი საკაცობრიო მისიის აღსრულებისათვის, არამედ თავად საქართველოში მიმდინარე პროცესების რეალური მნიშვნელობის გადაუდებელი ამოკითხვისა და გაცნობიერების აუცილებლობისათვისაც. ჩემი დღევანდელი მოხსენება, მთავარი პრობლემა ჩემი მოხსენებისა, ცნობილი ტერმინი რომ გამოვიყენო, არ მინდა წარმოგიდგინოთ შეფუთული ბიზანტინოლოგიური მეცნიერების “ლურჯ ჩულქებში“. იგი აუცილებელი პასუხია იმ სადღეისო მსოფლმხედველობრივ გამოწვევებზე, რომლებზეც პასუხისმგებლობა ქართულ მეცნიერებას ეკუთვნის.

### გამოწვევა ბაგრატიონთა „დავითიანობის“ ახსნისათვის, ანუ რას ვგულისხმობ „ცხელ ხაზზე გამავალ პრობლემაში“?!

მკითხველი უნდა თავიდანვე გავაფრთხილო, რომ სანამ საკუთრივ ბაგრატიონთა დავითიანობას შევეხებოდეთ, საკმაოდ ვრცელი წიაღსვლები დაგვჭირდება იმ რეალობის საჩვენებლად, რომლის ჭრილშიაც უნდა გახდეს გასაგები „ დავითიანობის“ ნამდვილი შინაარსიც, სადღეისო გამოწვევის მიზანიც და აქედან გამომდინარე, მნიშვნელობაც პრობლემის ახსნისა.

სათქმელის წანამძღვრად მინდა ქართული მეცნიერების ისტორიაში მომხდარი ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გავიხსენო:

მე -20-ე საუკუნის 40-იან 50-იან წლებში, როდესაც მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, ქართველმა აკადემიკოსმა **შალვა ნუცუბიძემ** და ბელგიელმა აკადემიკოსმა **ერნესტ ჰონიგმანმა,** ეკლესიის მამათა აზროვნებაში ყველაზე მნიშვნელოვან თხზულებებად მიჩნეული არეოპაგიტული თეოლოგიური ტრაქტატების ავტორად საუკუნეთა განმავლობაში დაფარული და საიდუმლოებად აღიარებული პიროვნება გააცხადეს და ეს დაფარული და საიდუმლო პიროვნება აღმოჩნდა ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი უფლისწული, პეტრე იბერი, ევრო-ამერიკულ სამეცნიერო სივრცეში, დაისვა საკითხი, აღმოჩენილი ავტორის ეროვნული ვინაობის გარკვევისა: საკითხი „პეტრე იბერის“ ფენომენიდან გადატანილი იქნა „ იბერობის“ ფენომენზე: შეეძლო თუ არა იმ ერს, რომლის წარმომადგენელიც პეტრე იბერი იყო, თავისი სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალით, თავისი სულიერი განვითარების დონით, მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, მსოფლიოსთვის მიეცა იმხელა მოაზროვნე, რომელიც წინ წაუძღვებოდა ახალ ქრისტიანულ მსოფლიოს, წაუძღვებოდა არა მხოლოდ ამქვეყნიურ ეკლესიურ იერარქიულ ცხოვრებაში, არამედ ყველაზე იდუმალი ყოფიერების, ქვეყნიერების ყველაზე იდუ-

→

## დენიზა სუმბაძე: ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს

წაკითხულ იქნა მოხსენებად ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბათუმში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2013 წლის 26 სექტემბერს, საკონფერენციო მოხსენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი, მოკლე ვერსიით.

მალი, ყველაზე მიუწვდომელი მიღმეთების წვდომაში?! საკითხის ამგვარი დაყენება, ცხადია, ამზეურებს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყველაზე მაღალი შრეების დონესაც ქართველი ხალხის ვინაობის ცოდნაში.







მოგეხსენებათ, თანამედროვე მსოფლიო რეალობაში, საქართველო, საუკეთესო შემთხვევაში, ცნობილია, როგორც ერთერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანა. ქართველი ერის, თავისი უფალივით ჯვარცმული ერის ბრწყინვალე ორიათასწლეულმა ქრისტიანულმა ისტორიამ მართლაც გადაფარა მისი წინარექრისტიანული წარსული, რითაც ერთგვარად დააზარალა კიდეც მისი, ქართველი ერის ამ წინარექრისტიანული წარსულის მსოფლიო-ისტორიული რეიტინგი. შეიქმნა მომხიბლავი შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო იწყება ქრისტეს მოვლინებასთან ერთად, მაშინ როდესაც ქრისტიანულ საქართველოს წინ უძღვის ქართველი ერის, თითქმის კაცობრიობის ისტორიის ტოლი საკუთარი ბიოგრაფია, საკუთარი რელიგიური ცნობიერების უმდიდრესი ევულუცია და ისტორია. სრულიად განადგურებულია მისი წინარექრისტიანული ნივთიერი წერილობითი ძეგლები... არქეოლოგიამ ვერ შესძლო ამაღლება საქართველოს ტერიტორიების სათანადო სიღრმეებისათვის... თავის დროზე, **შლიმანმა**, მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგმა, რუსეთის იმპერიული ხელისუფლებისაგან ვერ მიიღო ნებართვა საქართველოს ტერიტორიაზე გათხრების საწარმოებლად... მეოცე საუკუნის დასასრულს კი, ევროპას, რუსეთისაგან გამოთავისუფლებული და დამოუკიდებელი საქართველოსაგან, ბაქო-ჯეიჰანის ნავთსადენებისა და გაზსადენების ჩაწყობა აინტერესებდა მხოლოდ საქართველოს მიწაში... ქართველი ერის უძველესი ისტორია ენათმეცნიერული „არქეოლოგიური გათხრების", მითებისა, ეთნოგრაფიული და ხალხურ-ზეპირსიტყვიერებითი საგანძურის ანაბარაა დარჩენილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი თავის კვლევაში შეეცადა აღედგინა კავშირი წინარექრისტიანულ ქართულ თეოლოგიურ აზროვნებასა და ქრისტიანულ აზროვნებას შორის. ჯერ კიდევ 1979 წელს გამართულ ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჩვენ შევეხეთ ნეოპლატონური „ერთის" გაგებას, როგორც ქალდეური თეოლოგიიდან მომდინარეს, რაც მხედველობიდან არ გამორჩენია ნეოპლატონური აზროვნების შემაჯამებელი თხზულების: **პროკლე დიადოხოსის** „თეოლოგიის პირველსაფუძვლების" ცნობილ ინგლისელ კომენტატორს, ბ-ნ **დოდდს**. აღნიშნულ სიმპოზიუმზე წარდგენილ მოხსენებაში: „დედაუფლისათვის, ანუ გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული", სრულიად დამოუკიდებლად მსოფლიო მეცნიერებისა, ჩვენ დავიწყეთ ძიება სათავისა, რომელიც ბიბლიურ თეოლოგიაში ახსნიდა ლოგიკურ შეუსაბამობას სამყაროს შემოქმედ მამა ღმერთსა და მის მიერ მამაკაცად და დედაკაცად შექმნილ ადამიანს შორის: „ხატად და მსგავსად ღვთისად". შეუსაბამობა მდგომარეობდა იმაში, რომ ბიბლიური შემოქმედი იყო ერთი, ერთსაწყისიერი და ამასთან მხოლოდ მამა, მისი ანარეკლი და მსგავსი კი, ანუ ხატი ღვთისა - დედაკაციცა და მამაკაციც, რაც უსათუოდ ნიშნავდა იმასაც, რომ ხატად ღვთისად განკუთვნილობის უფლებამოსილება და ღირსება თანაბრად ჰქონდათ მინიჭებული დედაკაცსაც და მამაკაცსაც. ეს თეოლოგიურ - ლოგიკური შეუსაბამობა შემოქმედსა და შექმნილს შორის ეთიკურ ლეიტმოტივად გასდევს ბიბლიის მთელ პირველ ნაწილს, ანუ მოსე წინასწარმეტყველის მიერ გადმოცემულ ცხოვრების წესებსა და ზნეობრივ კანონებს. უფრო ზუსტად: დედაკაცისა და მამაკაცის ეს თანაბარი უფლებამოსილება ხატად ღვთისად ყოფნისა, სამყაროს და ადამიანის შექმნის ბიბლიური გადმოცემის შემდეგ , ანუ „შესაქმის" პირველი თავის შემდეგ, მთლიანად ამოვარდნილია და სინას მთიდან ჩამოტანილი და გამოცხადებით მიღებული მოსეს სჯულით დაკანონებულია მამაკაცის უპირატესობა და დედაკაცის კნინი მიმართება უფალთან. მარტო ეს ფაქტიც საკმარისია იმისათვის, რომ დაკვირვებულმა მკითხველმა დაასკვნას ორი სხვადასხვა ცნობიერების არსებობა ბიბლიაში, რომელთაგან პირველი, ანუ დედაკაცისა და მამაკაცის თანაბარი უფლებამოსილების წარმომჩენი, არა მოსესეული, ანუ არაებრაულია. ჩვენ მივაგენით, რომ გელათის ფილოსოფიურ აკადემიაში, დავით აღმაშენებლის მიერ „სხუად ათინად და მეორე იერუსალიმად" დაფუძნებულ



ქართულ-შემეცნებით სავანეში, ბიზანტიის იმპერიიდან თავად საქართველოს დიდად მოაზროვნე მეფის მიერ მოწვეული მოძღვართ-მოძღვრის, ნეოპლატონურ-ქრისტიანულად მოაზროვნე ქართველი ფილოსოფოსის, იოანე პეტრიწისეული ხედვით, ბიბლიური თეოლოგიის ერთი ღმერთი ორსაწყისიერ ღვთაებრივ რეალობად განიმარტებოდა, ანუ დედურ-მამურ ღვთაებრივობად. სწორედ იმის გამო, რომ სამყაროს შემოქმედი ძალა არ შეიძლებოდა დაშვებულიყო, როგორც ერთსაწყისიერი ღმერთი,, ნეოპლატონიზმმა, „ერთი", როგორც უზენაესი ღვთაებრიობა, შემოქმედზე მაღლა აიყვანა, ხოლო ის, რაც სამყაროს შემქმნელ ღვთაებრივობად ცნობიერდებოდა, კანონიზირდებოდა ორსაწყისიერების გარდუვალ ერთიანობად, გამოსხივებულად და გამომდინარედ ერთისაგან. უნდა მიმეგნო, და ამეხსნა, როდის და როგორ მოხდა კაცობრიობის რელიგიურ - თეოლოგიური აზროვნების ისტორიაში დედური საწყისის ჩამოჭრა სამყაროს შემოქმედი ღვთაებრივი ძალისაგან, როდის დაკარგა ზეციურმა ევამ უფლებამოსილე-



ბა ზეციური ტახტის ფლობისა და სამყაროს შექმნაში მონაწილეობისა?! რომელმა ადამიანურმა ცნობიერებამ ალაგმა სამყაროს დიდი დედა, ანუ ქართველთა დიდი დედა ნანა, იგივ სამყაროს დიდი „ადგილის დედა" ზეციური ყოფიერებიდან? აი, რა მტანჯავდა და რა მაწუხებდა ასახსნელად. პრობლემას აშკარად მივყავდი ქალდეველებისაკენ, რადგან უნდა ამეხსნა, საიდან იწყებოდა ბიბლიური თეოლოგია?! სად იყო სათავე ებრაული ერთი ღმერთის. ხაზგასმით მინდა შევნიშნო, საკითხის თეოლოგიურმა ძიებამ მიმიყვანა ქალდეველებთან და არა ისტორიულმა პრობლემებმა, როგორც ეს ხდებოდა ჩემი წინამორბედი ქართველი მკვლევარების ხედვაში. მიმიყვანა ქალდეური და ბიბლიური რელიგიური ცნობიერების შეჯახების ისტორიულ მომენტთან. თუ თანამედროვე და გახმაურებულ პოლიტიკურ ტერმინოლოგიას გამოვიყენებ ცნობილი ამერიკელი ებრაელი პოლიტოლოგის **სამუელ ჰანტინგტონის** თეორიისას „ცივილიზაციათა შეჯახების" შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს დიდმა დედამ ზეციური უფლებამოსილება დაკარგა დიდი ქალდეური ცივილიზაციისა და პიროვნულ საწყისში მოცემული პოტენციური ებრაული ცივილიზაციის ისტორიული შეჯახების მომენტში. ებრაელთა პირველი მამამთავრის, აბრაამის ცნობიერებისა და ქალდეური ცნობიერების შეჯახების მომენტში. პირადად ჩემს ხედვაში თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგი სათავეს იღებს ამ ორი ცივილიზაციის შეჯახების საიდუმლოებაში. და შესაძლოა, ეს დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის სადავეთა პყრობის მომენტი კულმინაციაა აბრაამის სულისკვეთებისა, რომლის პერსპექტივაც მხოლოდ ფინანსურ ბერკეტებზეა დაშენებული და დამდგარი და არა ღვთაებრივი ჭეშმარიტების წვდომასა და წყურვილში (იხ. დანართი 1: „ქალდეველები და ქართველები").

ჩვენ დაგვჭირდა ქალდეური ცნობიერების, როგორც მეხუთე საუკუნის, ანუ **პეტრე იბერის** დროინდელი ქართული ცნობიერების წინამორბედი ცნობიერების ამოწევა და ჩვენება მისი რელიგიური სურათისა, როგორც უფრო არქაული და ძალზედ ნათესაური, ქართული, ანუ იბერიული ცნობიერების განგრძობის, იბერიულ-ქართული ცნობიერების, როგორც კაცობრიობის ისტორიის ტოლი რელიგიურ - შემეცნებითი წარსულისა, ქართველი ანუ იბერიელი ხალხის. ამრიგად არეოპაგიტულმა ცენტრმა პეტრე იბერის „იბერობის" ფენომენის განსაზღვრისათვის

20 gv.

## ფრაგმენტები რეცენზიიდან



**ქართველი ერი, როგორც უძველესი ცივილიზაცია, კულტურის კერა, რომელსაც აკისრია ღვთიური მისია, იხსნას კაცობრიობა უზნეობისა და ურწმუნოებისაგან, ერთ-ერთი პირველთაგანია გასანადგურებელ ობიექტთა შორის. ვგონებ, დღეს თვალხილულთათვის ნათელია, რომ მიმდინარეობს ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გენოციდი და მთელი სიმწვავით დგას მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი.**

**სწორედ ეს პროცესი აღელვებს ქალბატონ დენიზა სუმბაძეს და საოცარი სიღრმითა და შორსმჭვრეტელობით აანალიზებს იმ ფესვებს, საიდანაც სათავეს იღებს ეს სატანური თვალსაზრისი. ამის ანალიზი კი მოითხოვს რელიგიის, ფოლკლორისა და თანამედროვე პოლიტიკურ მიმდინარეობათა ღრმა ცოდნას.**

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ ავტორის განათლება და ანალიტიკური აზროვნების დონე შესაშური სრულყოფილებით გამოირჩევა. მან სიღრმისეულ შრეებში ათასგვარი ყალბი, ბრჭყვიალა მინერალებით დაფარულ ამ წარღვნის სათავეს მიაგნო, სააშკარაოზე გამოიტანა და მოგვცა ყოველმხრივი, სრული ანალიზი, რაც ერთობ საშურია, არა იმდენად წარსულის, რამდენადაც დღევანდელი რეალობის გაცნობიერების თვალსაზრისით. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ჩვენი მდიდარი და საოცარი ისტორიის — ქრისტეს შობამდე და ქრისტიანობის შემდგომი ხანის, რომელსაც შეგნებულად გვავიწყებენ კოლაბორაციონისტი პოლიტიკოსები, თუ ჩვენი „მეგობარი" ევროპელები და ამერიკელები, - გამოწვლილვით შესწავლითა და წარმოჩენით, ის ამძაფრებს ყოველ ნორმალურ ქართველში ერის ვინაობის მოსპობის და გადაგვარების მცდელობათა სადღეისო აღქმასა და განცდას. ვგონებ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს გახლავთ ამ ნარკვევის ერთ-ერთი ძირეული მიზანი.**

**და კიდევ ერთი, არ შემიძლია არ აღვნიშნო, ჩვენთვის დღემდე უცნობი ფაქტი, რომელმაც თავზარი დამცა. საქართველოს მართლმადიდებლურ წიაღში, ჩემი ღრმა რწმენით, უწმიდესის და უნეტარესის ილია მეორის გვერდის ავლით, დაფუძნდა „ქართველ ტამპლიერთა ორდენი, რომელიც მომავალში საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტებს" პატრონობას აღუთქვამს და რეგისტრირებულია, როგორც „ქრისტეს და ბაგრატიონ მეფეთა, ანუ ღირსეულ დავითიანთა ლაშქარი". ხაზგასმულია, რომ ისინი ისეთივე ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან, როგორც ჯვაროსნული ლაშქრობების ჟამს „ქრისტეს ღარიბი ჯარისკაცები".**

**რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით. ჯერ ერთი, ჯვაროსნული ლაშქრობანი ერთგვაროვანი არ იყო და მრავალი უარყოფითი, არაქრისტიანული „სიკეთის" მთესველი იყო. მეორეც, როგორც ცნობილია, ტამპლიერები უარყოფდნენ ქრისტეს ჯვარცმას, აფურთხებდნენ ჯვარს და აღმერთებდნენ ბაჰომეტს, რომელიც თხის თავით იყო გამოსახული. საერთოდ, ამ ტამპლიერთა მოღვაწეობა მრავალ კითხვას ბადებს. ეს ორდენი პოსტსაბჭოთა სივრცეში ფართოდ არის ფესვებგადგმული და ანტიქრისტიანული, ანტიმართლმადიდებლური პოზიციით გამოირჩევა. ამიტომაც ჩვენ მართლმადიდებელ წიაღში ამ ორდენის ჩანერგვის მიზანი არა გვგონია ეროვნული იდეებისა და მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცება იყოს. მეტიც შეიძლება ითქვას: მათი შორს მიმავალი ზრახვანი სწორედაც რომ ჩვენი რწმენის, როგორც ეროვნული ვინაობისა და თვითობის ბურჯის დანგრევა გახლდეთ. ყოველ შემთხვევაში, ამ ორდენის მოღვაწეობა სკრუპულოზურ შესწავლას და გაანალიზებას მოითხოვს. სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს მართლმადიდებლური რწმენის ჭეშმარიტი დამცველი, ქალბატონი დენიზა სუმბაძე და თუ ყური არ მივუგდეთ ქალბატონის მიერ შემოკრულ განგაშის ზარს, ეს, ვგონებ, ლოიალობა და ინდიფერენტულობა კი არა, არამედ ჩვენი ერისა და ქვეყნის მტრობა იქნება.**

**ელიზბარ ჯაველიძე,**
მწერალი, აკადემიკოსი

## ფრაგმენტები რეცენზიიდან



ქართველი ერის სულიერი დაცემის ამ საშინელ ჟამს, როცა ქონდრისკაცობამ წალეკა მეცნიერება, მოხდა სასწაული! აღსრულდა ილიას ოცნება და გველირსა კრიტიკა. არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების შეფასება, დასაბამიდან დღემდე, შეფასება სრულიად მიუკერძოებელი და ამიტომ მართალი. ღრმა მეცნირულ ცოდნას, დიდ ხალას ნიჭს და უშიშრობას დამყარებული შეფასება. ეს გახლავთ ცნობილი ფილოსოფოსისა და თეოლოგის, ქალბატონ დენიზა სუმბაძის ბრწყინვალე გამოკვლევა: „ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობის“ გაგებისათვის“. იგი ჭეშმარიტად ილიასეული თვითმსჯელობის, თვითმხედველობისა და თვითმოქმდების განსახიერებაა!

დავით აღმაშენებელზე, საქართველოს ამ უდიდეს მეფეზე, მდიდარი ლიტერატურა არის შექმნილი ქართულ საისტორიო მწერლობაში. და თითქოს სათქმელიც არაფერი დარჩა, მაგრამ, არა! ქალბატონ დენიზა სუმბაძის ნაშრომის გულდასმით წაკითხვა უთუოდ დაარწმუნებს მკითხველს, რომ თურმე უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები დღემდე არ შეგვისწავლია. ერთი შეხედვით დაუჯერებელია, როგორ მოხდა, რომ ეს საკითხები ასეულობით და ათასეული წლის მანძილზე ყურადღების მიღმა დარჩა!

კაცობრიობის უძველესი ცოდნა სარწმუნოებისა და ორი მსოფლიო რელიგიის - იუდაიზმისა და ქრისტიანობის, ჩვენი ავტორის ტერმინით, „შეჯახების“ მიზეზებისა და შედეგების გარკვევა დიდი საფუძვლიანობით, და სავსებით დამაჯერებლად და ყოველივე ამის თანამედროვე მსოფლიოს უმწვავეს პრობლემებთან დაკავშირება, ასეთია ძალზედ ზოგადად ქ-ნ დენიზა სუმბაძის კვლევის საგანი. გამოკვლევა ასიოდე გვერდს მოიცავს და გასაოცარია, როგორ ჩაატია მკვლევარმა ამ უზარმაზარი საკაცობრიო საკითხების განხილვა და ბრწყინვალედ დასაბუთება ასეთ მცირე მოცულობაში!

ისეთი შთამბეჭდავი და თავბრუდამხვევია ეს გამოკვლევა, როცა წავიკითხე, უნდა ვაღიარო, ორი დღე გაოგნებული დავდიოდი. და მერე სამეცნიერო რეცენზიის ნაცვლად ეს წერილი დავწერე, ფაქტიურად, ჩემი აღფრთოვანების ანარეკლი...

მაღალნიჭიერებასა და უდიდეს ცოდნასთან ერთად თვალში საცემია ქალბატონ დენიზა სუმბაძის უშიშარი ბუნება - თავგანწირული უშიშარობა, ნამდვილი ბარათაშვილისეული „განწირულის სულის კვეთება“, რომელიც აღსავსეა რწმენით და რომელშიც გამორიცხულია უშედეგობა:“...და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო, ჩემო, მაინც დარჩება!“. უმწვავესი საკაცობრიო პრობლემების განმსჯელი ავტორი ჭეშმარიტად არის უშიში, ვითარცა უხორცო და ეს გახლავთ მშვენიერი ქალბატონი!

თუ უკვე მთლად წყალწაღებულები არ ვართ, ნაშრომი დაუყოვნებლივ უნდა ითარგმნოს ინგლისურად და სხვა ენებზე, რათა ყველამ გაიგოს, რა არის ნამდვილი მიზეზი თანამედროვე კაცობრიობის გაბოროტებისა!

დასკვნა: “ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობის“ გაგებისათვის არის „გენიალური სამეცნიერო გამოკვლევა, რომელიც თავად მამაზეციერმა ჩააგონა ქალბატონ დენიზა სუმბაძეს, იმისათვის რომ ამ გამოკვლევაზე დაყრდნობით კაცობრიობამ მშვიდობიანი საშუალებებით მთელ მსოფლიოში დაამკვიდროს სამართლიანობა და კეთილდღეობა და საქართველო, კაცობრიობის ჯვარცმული ნაწილი, მაშინ გაიხარებს!

**ზურაბ რატიანი,**
მწერალი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი,
ცხუმ-აფხაზეთის აკადემიისა და „ფაზისის
აკადემიის“ აკადემიკოსი

19 gv.

მსოფლიო მეცნიერებას მოუმზადა იბერიული ცნობიერების განმარტება, როგორც ქალდეურისა და ქართული ცნობიერების ერთმთლიანი ფენომენის, რომლის წარმომადგენელიც მეხუთე საუკუნეში პეტრე იბერი იყო. ბუნებრივია, არეოპაგიტულმა ცენტრმა კვლევაში ქართველოლოგიური მიმართულება მიიღო, რასაც შედეგად მოჰყვა საერთოდ მთელი ქართული ქრისტიანობის, როგორც ერთიანი მოვლენის სრულიად ახალი, ქალდეური გაგება...შემდეგ კი მთელი ქართული ქრისტიანობის, როგორც მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მისტერიის წარმოჩენა... ეს უკვე სრულიად საგანგებო საკითხია. (იხ.: დენიზა სუმბაძე - “მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია“).



ჩვენდა სასიკეთოდ ისტორიკოსმა **ვახტანგ გოილაძემ** გამოაქვეყნა ინფორმაცია პეტრე იბერის მოხსენიებისა გარკვეულ კოპტურ წრეებში „პეტრე კარდუხად“, რაც ისტორიკოსისათვის მადასტურებელია ფაქტისა, რომ ქართველური ტომები მოიხსენიებოდნენ აგრეთვე ამგვარი სახელწოდებითაც. ჩვენის აზრით, **პეტრე იბერის** კარდუხობა უმნიშვნელოვანესია სხვა რაკურსითაც: იგი უსათუოდ მეტყველებს იმაზედ, რომ ქრისტიანულ საიდუმლო წრეებში ინახებოდა ცოდნა იბერობისა, ანუ ქართველობისა და კარდუხობის, ანუ ქალდეველობის იგივეობრივობისა, რაც კოპტური მაგალითით გამოვლინდა. ეს ცოდნა დროთა ვითარებაში დაიკარგა მიზანმიმართულ გარემოებათა გამო. უკვე **იოანნე პეტრიწის**(XI-XII ს.) მსჯელობაშიც კი, როდესაც იგი საუბრობს ქალდეურ, ელინურ და ებრაულ სიბრძნეებზე, ეს იდენტიფიკაცია ჩამქრალია. მე-19 საუკუნეში, ევროპელთა სენსაციური არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, რომლითაც აღმოჩნდება რომ ბიბლიური კოსმოგენეზისის თეორია გადმოსესხებაა ქალდეური სიბრძნისმეტყველებიდან, საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი **კირიონ მეორე**, ერისკაცობაში ისტორიკოს - არქეოლოგი **გიორგი საძაგლიშვილი**, მადლობის შეძახილით მიმართავს ევროპის მეცნიერებს, რომელთაც თავიანთი არქეოლოგიური შემეცნებით ქართველთა საქმე გააკეთეს. კირიონ კათალიკოსის ამ წერილს პირადად მივაგენით მის ისტორიულ არქივში და გამოვაქვეყნეთ. სამწუხარო აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველოს ეკლესიას არავითარი რეაგირება არ გამოუჩენია ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტზე. ეს ყველაფერი ცალკე და ძალიან დიდი, ამასთან ჩვენი შემდგომი მსჯელობების დროს გასათვალისწინებელი საკითხებია...

ქრისტიანული ორიათასწლეულის გასრულებით, საქართველო, მსოფლიო ისტორიულსა და მსოფლიო-პოლიტიკურ პროცესებში ჩართული, და ამ პროცესების შედეგად, ე. წ. საბჭოთა იმპერიისაგან გამოცალკევებული, თავისი ფორმალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობით, გადის მსოფლიო რეალობის ერთიან დიდ სივრცეში, რომელშიაც მისი ნამდვილი ისტორიული ვინაობა ჩამქრალია. მსოფლიოს აქტიურ ცნობიერებაში, იგი, საქართველო, ქართველთა ქვეყანა, როგორც ეროვნული სუბიექტი, თითქმის უცნობია. 90-იან წლებში, საქართველოში, თბილისში, იმ დროის საქართველოს პრეზიდენტის, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის რეზიდენციაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, ცნობილი ამერიკელი პროფესორი, რიჩარდ პაიპსი გულწრფელად აცხადებს, რომ ამერიკის კონგრესში, თავში არავის მოუვაო აზრად , თბილისი იგულისხმოს, როდესაც ჩვენ მივდივართო „ჯორჯიაში“. „ჯორჯია“, ინგლისური სახელწოდება „საქართველოსი“, ამერიკელისთვის არისო მხოლოდ აშშ-ის ერთ-ერთი შტატი.

**პროფესორ პაიპსის** ამ განცხადბის მომენტში, საქართველოს ხელისუფლება მსოფლიოს დაინტერესებას საქართველოთი და მსოფლიოს მხედველობით არეში მოქცევას, მისთვის, მსოფლიოსთვის საინტერესო ნავთსადენების გაყვანით ჰპირდება ქართველ ხალხს. - ყველასთვის ცნობილი ბაქო - ჯეიჰანის ნავთსადენებით. ასე რომ, თანამედროვე ერაყსა, ანუ ქალდეველთა ისტორიული ქვეყნის ტერიტორიასა და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას შორის, მსოფლიოს დილეტანტურ პოლიტიკურ ცნობიერებაში მაერთიანებელი ცნება ხდება „ნავთი“ და მიუხდავად იმისა, რომ პროფესორი პაიპსი ამ დილეტანტური ინფორმაციის წარმომადგენლია, რაღაც შინაგანი ძალის კარნახით, მაინც აცხადებს გულწრფელი გაფრთხილებით: საქართველო ჩაებაო მსოფლიოს ისეთ სახიფათო პოლიტიკურ თამაშებში, საიდანაც, შესაძლოა ის ყოველთვის ვერ გამოვიდესო გამარჯვებული... მადლობა მას ამ გულწრფელი გაფრთხილებისათვის! ასე რომ საქართველო და ქართველი ერი, ეს უზარმაზარი ისტორიისა და ცივილიზაციების გადამტანი ქვეყანა და ხალხი, თავისი საკაცობრიო მისიით, მსოფლიოს სახიფათო



პოლიტიკურ თამაშებში გაუცნობიერებლად ჩაბმული, ამასთან კაცობრიობისათვის ვინაობა - დაკარგული და მნიშვნელობა-დაკარგული ხალხის სახით, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე ღვთით დაწესებული, მსოფლიოსთვის უცნობი მგზავრივით და საკუთარი ისტორიის გადარჩენილი ნამსხვრევივით დგას კაცობრიობის კართან, და შესაძლოა, განგების ძალით, კაცობრიობის გადარჩენა ამ ნამსხვრევის თავად კაცობრიობისმიერ გადარჩენაში იყოს ჩადებული.

კაცობრიობის ისტორიაში ქართველი ერის ჩაკარგვის გოდება და საგალობელი, შექმნილი არა უგვიანეს მეათე საუკუნისა: **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“** - ქართული ენის ჩაკარგვის გოდებაში აცხადებს მისტერიას თავად ქართველი ერის ვინაობის ჩაკარგულობისას; აცხადებს „ერის ჩაკარგულობის“, როგორც „ენის დამარხულობის“ გრძლიობასაც ოთხი ათასეული წლით. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საგალობლის გზით, ქართველი ერის ცნობიერებაში, მის ეროვნულ თვითგამორკვევაში, ზუსტად არის განსაზღვრული და მონიშნული საზღვრები ქართული ენის გაყვანისა კაცობრიული ისტორიის ასპარეზიდან. „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“-ო, გვაუწყებს საგალობლის ავტორი და „ყოველი საიდუმლოთი“ მიგვანიშნებს არა ეროვნული ისტორიის იდუმალყოფაზე, არამედ უზოგადესად ყოველის, კაცობრიობის ისტორიის ყოველი საიდუმლოს დაკავშირებულობას ქართული ენის დამარხულობის საიდუმლოსთან ოთხი ათასეული წლით! უჩვეულოდ ერწყმის ერთმანეთს ქართული საგალობელი: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ და იოანეს სახარებაში გადმოცემული, ჯვარცმისწინარე აღთქმა იესო ქრისტესი: ჩემი წარმოგზავნილი სულიწმინდა ილაპარაკებსო ჩემგან და ის აგიხსნით და ის გაგიცხადებთო ყველა საიდუმლოს:“მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს გამოგიგზავნით“(იოანე 14,16). „ხოლო ნუგეშისმცემელი კი, სულიწმინდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს“(იოანე 14,26). „თუ არ წავედი, ნუგეშისმცმელი ვერ მოვა თქვენთან...( 16,7). „კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ველარ იტვირთავთ“ (იოანე 16,12). „როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძლვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს, და მომავალს გაუწყებთ თქვენ. იგი განმადიდებს მე, რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ. ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია. ამიტომ გითხარით: ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ-მეთქი.“(იოანე 16,7).

მაცხოვრის სიტყვები: „სულიწმინდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით“ - ნათელს ხდის იმ ჭეშმარიტებას, რომ წმინდა სამებაში ერთარსული და თანაარსული არსებობით, მაცხოვარი განუყოფელია სულიწმიდისაგან და განუყოფელია სულიწმიდის მოვლინების ჟამსაც.

იოანეს სახარების ეს ჩვენს მიერ ხმობილი ფრაგმენტები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა სულიწმიდის მოვლინების გზით ქრისტეს ახალი მოსვლის მისტერიის შემეცნებისათვის. აქ არ არის საუბარი ღვთიური სულის გადმოსვლაზე სულთმოფენობის ფორმით, როცა მოციქულები ალაპარაკდებიან მათთვის უცხო ენებზე. აქ არა მხოლოდ განპიროვნებული სახეა სულიწმიდისა მოცემული, არამედ გარკვეული ფორმით ქრისტეს ახალი მოსვლის სახეც არის გაცხადებული:- „ მამისაგან ჩემით წარმოგზავნილი სულიწმინდა თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ რასაც ჩემგან მოისმენს, იმას გაუწყებთო“. ფაქტიურად , იესო ქრისტე აქ, როგორც ვხედავთ, სულიწმიდის წარმოგზავნის ფორმით მოდის. სულიწმინდის სახით. შეიძლება ითქვას, რომ იესო ქრისტეს ალაპარაკება სულიწმიდის პიროვნულ მოვლინებაში იოანეს სახარებისეული განმარტებაა იესო ქრისტეს შემდგომი მოსვლისა. პირდაპირი განგრძობაა იოანეს სახარებისა იოანე ზოსიმეს სახელით ცნობილი ეზოთერული თხზულება-საგალობელი: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ქართული ენის ამ ქრისტიანულ-ეზოთერული საგალობლით, ნაწინასწარმტყვლებია სწორედ ალაპარაკება უფლისა მეორედ მოსვლის ჟამს იმ ენაზე, რომლის ქება- დიდებასაც ეს საგალობელი ეძღვნება საგალობლის ავტორისა და წინასწარმეტყველისაგან. ამ წინასწარმეტყველებით უფლის მეორედ მოსვლა და ყველა საიდუმლოს გაცხადება, ქართულ ენაზე უნდა მოხდეს. ცხადია, აქ არ არის მეორედ მოსვლის, როგორც ქვეყნის დასასრულის შინაარსი. პირიქით. აქ საუბარია ქვეყნიერების განსაცდელის ჟამს ნუგეშინისმცემლის მოვლინებაზე იესო ქრისტეს სახელით.

ქართული ქრისტიანულ - ეზოთერული საგალობელი: “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, ხელნაწერი ტექსტი ამ საგალობლისა, დიდმა ქართველმა მეცნიერებმა, **ივანე ჯავახიშვილმა და ნიკო მარმა,** 1902 წელს ჩამოიტანეს სინას მთიდან. ამ დროს, 1902 წელს, ქართველი ერის დიდი პატრონი და უდიდესი ავტორიტეტი, „ქვათა ღაღადის“ ავტორი ილია ჭავჭავაძე ცოცხალი იყო, მაგრამ ილიას აზრი ამ საგალობელზე ქართული ენის შესახებ, არ გაგვაჩნია. როგორც ჩანს, იმ დროისათვის, ქართველ მეცნიერთაგან, ინტერესი და ჩაღრმავება ამ საგალობლისად-

მი, მის ტექსტოლოგიურ მნიშვნელობას არ გასცდენია და რა დასანანია, რომ ეს თხზულება აზრის გამოსათქმელად ილიამდე არ მიუტანიათ არც **მარი ბროსესა** და **ალექსანდრე ცაგარელს**, რომელთაც ეს თხზულება უფრო ადრე, ივანე ჯავახიშვილზე და ნიკო მარზე უფრო ადრე ჩაუვარდათ ხელთ... მარი ბროსეს მიერ ფრანგულად გამოქვეყნებული ტექსტისათვის არც ევროპელებს მიუქცევიათ თავის დროზე რაიმე ყურადღება...

**ილია ჭავჭავაძე** პირველი იყო ქართული ეროვნული თვითშემეცნების ისტორიაში, რომელმაც დაიწყო ძიება იმისა, თუ რა იყო მიზეზი ქართველი ერის ვინაობის ასეთი ამოშლისა ცივილიზებული მსოფლიოს ცნობიერებიდან. ამ თვალსაზრისით იგი საქართველოს დაწერილი ისტორიითაც უკმაყოფილო იყო. ილია ჭავჭავაძემ ხმამაღლა გააცხადა თავისი კრიტიკული პოზიცია ქართველთა უძველესი მატიანის: "ქართლის ცხოვრების" მიმართაც. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ შესასწავლია თავად ილია ჭავჭავაძე, რადგან არ ვიცით და გასარკვევია, რას გულისხმობდა იგი იმ სიტყვებში, როდესაც წერდა:" ჩვენს ისტორიას გვითითხნიანო". ერთი კი ცხადია: ჩვენს ხედვაში, შეუმჩნევლად, თუ შესამჩნევად, საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ინტერპრეტაციას „ქართლის ცხოვრებაში", ებრაული ინტერესების კვალი ამჩნევია, რაც ქართულ მეცნიერებაში ჯერჯერობით მსჯელობის საგანი არ გამხდარა. რას ვგულისხმობთ ამ „ებრაული ინტერესების კვალში"?

## ებრაული ინტერესების კვალი „ქართლის ცხოვრება"-ში

ქართველი ერის ქრისტიანული ისტორიის „ქართლის ცხოვრებისეული", ანუ ქართველთა უძველესი მატიანისეული ასახვით, ქართველთა ქრისტიანობას ებრაელები იწყებენ, რამდენადაც ქრისტეს პირველ მაღიარებლებად საქართველოში, იქ ,სადაც ქრისტიანობა იწყება, კერძოდ საქართველოს ძველ დედაქალაქში, და უძველეს რელიგიურ ცენტრში, მცხეთაში, ებრაელები არიან წარმოდგენილნი, ამასთან ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იესო ქრისტე ცოცხალია და ისინი, ეს ახალგაზრდა მცხეთელი ებრაელები, ჯერ არც იერუსალიმში წასულან და არც კვართი ჩამოუტანიათ იქიდან ებრაელი დედის დავალებით. "ქართლის ცხოვრების"(!) მიხედვით მცხეთელმა ებრაელებმა უკვე წინასწარმეტყველურად იციან, რომ მოახლოებულია ჯვარცმა განკაცებული ღმერთისა - იესო ქრისტესი და მიდიან იერუსალიმში. და სწორედ მათ, ებრაელებს ჩამოაქვთ ქართველთა უდიდესი სიწმინდე იერუსალიმიდან: კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ე. ი. ჩვენი ჯვარცმული უფლის კვართი, იერუსალიმიდან მცხეთაში, ჩამოაქვთ მათ, მცხეთაში მცხოვრებ ებრაელებს, მოდგმასა და ნათესავს იმ ხალხისას, რომლის მწიგნობარნიც და ღვთისმსახურნიც ემზადებიან ქრისტეს ჯვარცმისათვის, ხალხისა, რომელთაც თავიანთ ქვეყანაში ჯვარს აცვეს მაცხოვარი. „ ქართლის ცხოვრებით" გამოდის , რომ თავიანთ ქვეყანაში ებრაელებმა ჯვარს აცვეს იესო ქრისტე, ხოლო საქართველოში, იმავე ებრაელებმა, ამბის გაგებითაც კი , რომ ჯვარს აცვეს მაცხოვარი, თავები დაიხოცეს. მხედველობაში გვყავს, რაღა თქმა უნდა, დედა და და ელიოზ მცხეთელისა. ღვთის შეწევნით, ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, გაგვერკვია, რომ, ეს იერუსალიმიდან მაცხოვრის კვართის ჩამომტანი „ებრაელები", სინამდვილეში მცხეთაში დამკვიდრებული ქალდეველი მოგვები არიან და არა ებრაელები, ამასთან ქალდეველ მოგვთა იმავე წრის წარმომადგენელნი, რომელნიც,



მათეს სახარების მიხედვით, ქრისტეს შობის საუწყებლად, იერუსალიმში ჩადიან „აღმოსავლეთიდან"(იხ.გაზეთი „ივერია", 2003, ნიუ იორკი, „მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია", ასევე, ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება"(რედაქტორი-ვაჟა ოთარაშვილი, 2005 წ.), დენიზა სუმბაძის მოხსენება: „ქართული ქრისტიანობის მისტერიალური მნიშვნელობის გაგებისათვის", 2011 წ. 27 ივლისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამავე თემაზე მოხსენება თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტში, სერგი დანელიასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე).

„ქართლის ცხოვრებისეული" გვიანი, ცხრა საუკუნის შემდგომი ჩანაწერი ამ ისტორიული მოვლენისა, საუფლო კვართის ჩამოტანისა იერუსალიმიდან მცხეთას, მემატიანემდე მოღწეული ზეპირი გადმოცემის გზით, მცხეთაში მცხოვრები ქალდეველი მოგვების ვინაობის აღრევას ვერ არკვევს მცხეთაში მცხოვრები ებრაელი ურიების ვინაობაში. ყოველივე ეს ინფორმაციულ დაწმენდას საჭიროებს. მაგრამ ეს კიდევ ცალკე საკითხია... საქმე იმაშია, რომ გარდა ამ კვართის ჩამომტანი „ებრაელებისა", „ქართლის ცხოვრებით" გადმოცემულ გარკვეულ ეტაპებზე, საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა მთელი წარმომადგენლობა, ფაქტობრივად, მთელი დინასტია , მეექვსე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, საკუთრივ ქართველი ერისეული, ქრისტესთვის ჯვარცმული ერისეული ისტორიის მთელი ხანგრძლივობა, განმარტებულია, როგორც ისრაელიანთა მეფის - დავით წინასწარმეტყველისაგან გენეტიკურ შთამომავლებად გაგებულ მეფეთა ისტორია. ასე განსაჯეთ, „ქართლის ცხოვრებით", თვით დავით აღმაშენებელი 78-ე თაობა ყოფილა დავითის, ისრაელიანთა მეფისა. აქედან გამომდინარე, ჩვენი დიდი თამარი, ძნელი დასაანგარიშებელი არ არის მერამდენე თაობა იქნება დიდი პაპისაგან. ქართველ ბაგრატიონთა ეს უხანგრძლივესი, უდიდესი და უდიადესი დინასტია, როგორც განსახიერება ქართველი ხალხის ღვთით მიმადლებული წარმომადგენლებისა: **დავით აღმაშენებელი**, მისი მამიდა, ბიზანტიის უბრწყინვალესი დედოფალი, მართა-მარიამ ბაგრატიონი , საქართველოს თორმეტი მეფე - გიორგის სახელით საქართველოს სამეფო ტახტზე, და ე. ი. თვით **გიორგი ბრწყინვალე**, რომელმაც მონღოლთაგან გაწმინდა საქართველო, თვით **თამარ მეფე**, რომელმაც უპრეცენდენტოდ კეთილშობილი პრინციპებით საქართველოს ისტორიის ოქროს ხანა შექმნა და ა. შ., ფაქტიურად მთელი ქრისტიანული საქართველოს ისტორია ებრაული წარმომავლობის მეფეთა ისტორია ყოფილა და სა-ქართველო სა-ებრაელო ყოფილა და არა სა-ქართველო. უკანასკნელ წლებში ისრაელიდან ჩამობრძანებულმა პროფესორებმა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებით, ისიც გვაუწყეს, რომ პირველი ქართული ბაზილიკური ეკლესიები არქიტექტურულად ებრაული სამლოცველოების მოდელიდან, სინაგოგადან არიანო მომდინარენი, ხოლო ქართველთა განმანათლებელი და ქრისტეს რწმენაზე საბოლოოდ მომაქცეველი, წმინდა ნინოც - კაბადოკიელი ებრაელი ყოფილა. უფრო მეტი: ჩემთვის ერთ-ერთი საპატივცემულო მოძღვარი ჩვენი ეკლესიისა, არც ისე დიდი ხნის წინ, მოულოდნელად აქვეყნებს პოეტურ ნოველას, რომელშიც ვახტანგ გორგასალის პირით გვიცხადებს:"ვართ სემის შთამომავალნი, ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს"-ო. ე.ი. ქართველები და ებრაელები , თურმე ორთავენი სემიტები ვყოფილვართ. თანაც ეს ვახტანგ გორგასალის ანდერძი ყოფილა, ვახტანგ გორგასალის, რომელიც „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, გარკვეულად გვიბარებს: „ეძიებდეთ სიკვდილსა ქრისტესთვის.... და ნუ მოიშლითო სიყვარულსა ბერძენთათვის" . როგორც ვხედავთ, პატივცემული ღვთისმსახურის მიერ შექმნილი ლიტერატურული გმირი - **ვახტანგ გორგასალი**, მცხეთელი ქალდეველი დედების სულისკვეთებით გამსჭვალული და მაძიებელი ქრისტესთვის სიკვდილისა, თურმე ებრაელობის მაძიებელიც ყოფილა! ცხადია, დღევანდელი ქართული ეკლესიის წარმომადგენელი ღვთისმსახურისეული წარმოსახვით შექმნილი ლიტერატურული სახე ვახტანგ გორგასალისა და „ქართლის ცხოვრებით" გადმოცემული ვახტანგ გორგასალი, თავიანთი ანდერძებით, არათუ სრულიად არ ესადაგებიან ერთმანეთს, არამედ ცა და მიწასავით განესხვავებიან.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, შევნიშნოთ, რომ ქართველი ხალხის უსაყვარლესი და სათაყვანებელი პოეტისა და მთარგმნელის, **ჯემალ აჯიაშვილის** ინფორმაციით, ისრაელში, საქართველოს საელჩოს დაჟინებული მოთხოვნით, თავად ჯემალ აჯიაშვილის ელჩობის დროს, ისრაელის ენის აკადემიას მიუღია ოფიციალური დადგენილება, რათა ისრაელის სახელმწიფო დოკუმენტაციაში, ჩვენი დღევანდელი ქვეყანა „საქართველო" მოხსენიებულ იქნას , როგორც „გეორგია" (ჟურნალი „ჩვენი მწერლობა", №? 2012). მართალია, „გეორგია" ჩვენი ქვეყნის ძველ - ევროპული სახელწოდება და მოსახსენებელი, და ჩვენი სისხლხორცეული ისტორიული წოდებაა, როგორც „მიწათმოქმედი" ქვეყნის, მაგრამ - რატომ უნდა აერჩიათ ჩვენი ქვეყნის ცოცხალი სახელწოდების სანაცვლოდ ჩვენს ძმებს, ებრაელებს, ჩვენს 26 საუკუნოვან მოყვრებს, ჩვენი ისტორიული სახელწოდება: „გეორგია" და არა ცოცხალი სახელწოდება დღევანდელი ჩვენი ქვეყნისა: „საქართველო"?! რას ერჩიან ჩვენს ეროვნულ სიცოცხლეს?! რატომ აწუხებს ისრაელს ჩვენი ქვეყნის ყველაზე არქაული სახელწოდება : „სა-ქართველო" , რომელიც ბიბლიური ხალხის „ქალდეველთა ქვეყნის"ფონეტიკურად თანხვედრილი სახელწოდებაა. ესეც ხომ ფაქტია, რომ დაახლოვებით იმავე პერიოდში, როდესაც ისრაელმა ამგვარი ისტორიული სახელწოდებით მოხსენიება დაგვიკანონა თავის ქვეყანაში, საქართველოს ხელისუფლებამ იკადრა და მწერალ დავით ტურიაშვილის პირით, საქართველოში დასვა საკითხი, „საქართველოს", როგორც ქვეყნის სახელწოდების გადარქმევისა და მეორე ისტორიული სახელწოდების: „იბერიის" (და ამ შემთხვევაში, არა „გეორგიის") აღდგენის. ვის აწუხებს საქართველოს სახელწოდება, როგორც „სა-ქართველო", ანუ როგორც „ ქართველთა ქვეყანა"?. ქვეყანაში, სადაც ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა თვითონ სახელმწიფომ ამოუშალა პირადობის აღმნიშვნელ ყველა დოკუმენტში ყველა ქართველს, ამჯერად დღის წესრიგში დაუყენა თავად ქვეყნის, როგორც ქართველთა ქვეყნის სახელწოდების ამოშლის საკითხი. ეს ბედნიერება არგუნა ქართველ ხალხს მსოფლიოს ახალმა წესრიგმა, საბჭოთა კავშირის დაშლით, „მოქალაქეთა კავშირითა" და „ვარდების რევოლუციით" შემოჭრილმა ქართველთა სამკვიდროში, ერთადერთ ქვეყანაში დედამიწის ზურგზე, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა -შევიწროვება, ერთი მისხალითაც კი. ასე დაგვიფასა სიონისტურ - მასონურმა მოძრაობამ ქართველ ხალხს ებრაელი ხალხის საუკუნოვანი სიყვარული და თანადგომა საქართველო-



22 gv.

## ფრაგმენტები რეცენზიიდან



პროფესორი დენიზა სუმბაძე განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ მეცნიერებაში. იგი, როგორც ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, ყველაფერში შეეჭვებით იწყებს და არაფერს არ ღებულობს სათანადო მტკიცებულებებისა და არგუმენტების გარეშე. ზოგჯერ იგი ისეთ რამეში ხედავს პრობლემას, რომელშიდაც საუკუნეების განმავლობაში ვერავინ ხედავდა. უფრო ზუსტად, ხედავს არა პრობლემას, არამედ პრობლემათა მწკრივს და მათი თანმიმდევრული ანალიზით, აოცებს მკითხველს და მკითხველიც, გაოგნებული ამდენი ფარული დინებებითა და ქვედინებებით, აქამდე დაფარული, შეუცნობელი სიღრმეებით, საოცარი ინტერესით ადევნებს თვალყურს ავტორის აზროვნებას, მის ლოგიკას.

მოცემულ შემთხვევაში ქალბატონი დენიზა ცდილობს, დაარწმუნოს თავისი მკითხველი, რომ ქართველ მეფეთა წოდება „დავითიანებად" ღრმა საიდუმლოების შემცველია და მისი გახსნა არა მარტო ქართველებს წაადგება, არამედ მთელ მსოფლიოს აუხელს თვალს მთელ რიგ ისეთ საკითხებზე, რაც აქამდე გაუცნობიერებელი იყო. კერძოდ, უფრო საცნაურს და ნათელს გახდის „მსოფლიო ახალი წესრიგის" ნამდვილ არსს, იმ წესრიგისა, რომელსაც, ავტორის თქმით, სათავეში ებრაულ-მასონური მოძრაობა უდგას და რომელიც ფარულად, მაგრამ მზაკვრულად საქართველოს სამეფო ტახტისაკენ მოიწევს.

დაუჯერებელია? გამაოგნებელია? დიახ, არის, მაგრამ წინააღმდეგობას რომ ვერ უწევ? შენი არგუმენტებით რომ ვერ ამარცხებ მის მიერ შემოთავაზებულ არგუმენტებს?

მის ასეთ „უცნაურ" აზრებს ტაშს რომ უკრავენ და აღტაცებით ხვდებიან ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებზე, სიამოვნებით ისმენენ სორბონის უნივერსიტეტსა და აშშ-ს სამეცნიერო წრეებში, ამაზე რაღა ვთქვათ?

ყოველივე ზემონათქვამის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ პროფ. დენიზა სუმბაძის წინამდებარე ნაშრომი არის ახალი ორიგინალური სიტყვა ქართულ ფილოსოფიასა და რელიგიათმცოდნეობაში. შესაბამისად, მინდა ეს დიდი გამარჯვება მივულოცო, პირველ რიგში, თავად ავტორს, შემდეგ კი მის მკითხველს, რომელსაც ასე მინდა მივმართო:

ძვირფასო მკითხველო, თუ აზრთან ჭიდილის არ გეშინია, თუ ინტელექტუალურ სიახლეებს აზარტით ხვდები, თუ რთული ლაბირინთებით სვლა შენში შიშს არ იწვევს, მაშინ გირჩევ წაიკითხო ამ გამორჩეული ნიჭის ადამიანის მიერ დაწერილი ეს წიგნი.

**რევაზ ბალანჩივაძე**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

21 gv.

ში. მაგრამ ესეც არ არის მთავარი: სახეზე გვაქვს დაუსრულებელი საინფორმაციო ომი ქართველი ერის ვინაობის ამოსაშლელად კაცობრიობის ცნობიერებაში. ხომ არ არის ნიშანდობლივი ბიბლიის ტექსტში ჩართული კურთხევა იაჰვესი -ებრაელთა ღმერთისა: ,,კურთხეულ იყოს იაფეთი, სემის კარვებში დაემკვიდროს"-? ხომ არა გვაქვს აქ საქმე ბიბლიური ისტორიის ქვეტექსტით მოცემულ სიმბოლურ ,,კარვებთან", რომლებიც სინამდვილეში ნიშნავენ ქვეყნებსა და მიწაწყალს ებრაელებისას და ქალდეველებისას, დღევანდელი ქართველებისას?! როგორც ცნობილია, ადამიანები არც წინასწარმეტყველური ჩანართების შექმნას ერიდებიან თავიანთი სურვილების გასამართლებლად. ეს ინფორმაციული ომების ცნობილი მეთოდია, როდესაც რეალურ მცდელობებს ერთი ხალხისას მეორის დასასუსტებლად ასეთი რამ სჭირდება...

ერთერთი ჩვენი თანამედროვე ქართველი ებრაელი, ავტორი წიგნისა ებრაელთა მონაწილეობის შესახებ საქართველოს ისტორიაში, ებრაელთა დამსახურებად გადმოგვცემს თამარ მეფის დაქორწინებას უწესო გიორგი რუსზე, რაც აშკარად მეტყველებს საქართველოს სამეფო კარის ცხოვრებაში ქართველ ებრაელთა გარკვეული გავლენების არსებობაზე და ქვეყანაში საკუთარი მიმართულების დანერგვის მცდელობაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ თამარის ქორწინებაში გიორგი რუსზე, ებრაული წარმომავლობის მოხელეებთან ერთად, ლომის წილი მიუძღვის ქართულ ეკლესიას, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ იმაზეც, რომ ებრაული ინტერესები გარკვეულ შემთხვევებში წარმატებით ახერხებდა ფესვის მოკიდებას სწორედ ქართულ ეკლესიურ ცნობიერებაში.

-დავით აღმაშენებელს ქართველი ებრაელები არ მიჰყავდაო ბრძოლებში- წერს ჩვენს მიერ ხმობილი ავტორი წიგნისა: ,,ებრაელები საქართველოში". გამოდის რომ დავით აღმაშენებელი, რომელიც ათასობით ყივჩაღს ენდობოდა საკუთარი ქვეყნის სამხედრო გაძლიერებაში, არ ენდობოდა ერთ ებრაელსაც კი. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ისტორიამ არ იცის მაგალითი ებრაელთა თავდადებისა საქართველოს ბრძოლებში, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან "თავდადებას" ნიშნავს საქართველოს ბრძოლებში, თამარის იძულებითი ქორწინების მოწყობა გიორგი რუსზე, საქართველოს ეკლესიასთან კავშირში. თამარმა შესძლო და ეს დაგებული მახე თავისი დიდი ზნეობით დაანგრია, გიორგი რუსი საქართველოდან ღირსეულად გაიყვანა, ქვეყანა თავისი კეთილშობილების გზით წარმართა და მთელი ქვეყნის ცხოვრება აზიარა თავის ოქროს ხანას ... მაგრამ ახლა ყოველივე ზემოთქმულის კონტექსტში ძირითად საკითხს დავუბრუნდეთ...

## ქართველ ბაგრატიონთ „ებრაელობის" აღზევება საქართველოს ეკლესიის გზით

ქართველ ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან გენეტიკურად წარმომავლობის აზრი, ქართველ მეცნიერთათვის, იმდენად აბსურდული იყო, მეფეთა განდიდების იმდენად ინფანტილურ და ზღაპრულ რომანტიკად იყო აღქმული, რომ ერთგვარად აკლდა კიდეც სერიოზული მიდგომა და სურვილი ამ აბსურდზე ფიქრისა და განმარტების; მაშინ როდესაც, ებრაული პრაგმატული გონი, რომელსაც შენი ისტორია, როგორც სავაჭრო ინფორმაციული კაპიტალი, შენზე უკეთა აქვს ათვისებული, და ებრაული მომთაბარული მიდრეკილება სხვათა ქვეყნებში დამკვიდრებისა, საუკუნეთა წიაღ ჩასაფრებული ელის მომენტს გულუბრყვილო ქართველთა სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად. და შედეგიც სახეზეა ჩვენს თვალწინ: მე-20-ე საუკუნის დასასრულს, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ხიბლში გახვეული და საბჭოთა კავშირის შე-



მადგენლობიდან გამოსული პატარა საქართველო, სრულიად დაუცველი შვლის ნუკრივით მიმზიდველი მსხვერპლი, მსოფლიო დაყაჩაღების პოლიტიკურ სივრცეში, სრულიად მოუმზადებლი და უმეცარი ხვდება ინფორმაციულ ომს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, მისგან გაუცნობიერებლად მიმდინარეობს მის წინააღმდეგ.

დღევანდელი, 21-ე საუკუნის ქართული ეკლესიის ერთერთი ძალზედ პატივსაცემი ღვთისმსახურის ინტერვიუდან ამონარიდი, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ, ამ ღვთისმსახურის პირადი, ან სუბიექტური თვალსაზრისი როდია. ეს მთელი ჩვენი ქართული ეკლესიის ოფიციალური მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკური პოზიცია გახლავთ, რომელიც გარკვეულმა ძალებმა თავს მოახვიეს საქართველოს ეკლესიას და ამ გზით ქართველი ერი და მისი ქვეყანა, ამ ძალებს უკვე უკანასკნელი ორი - სამი ათეული წლის განმავლობაში, საქართველოს საპატრიარქოში ჩანერგილი საგანგებო მექანიზმით, რომელსაც ჩვენ ბიბლიური ,,მარდუქაი-ესთერის" სახელწოდება მივუსადაგეთ, მსოფლიოს ახალი წესრიგის ებრაულ- სიონისტური მიმართულებით მიჰყავთ:

,,-როგორც ვიცით, ისრაელის, ღვთის რჩეული ერის პირველი მეფე იყო საული - გვესაუბრება ქართული ეკლესიის ერთერთი შესანიშნავი მლოცველი და ლოცვით მკურნალი მოძღვარი, მამა აკაკი მელიქიძე - საულის მერე ღმერთმა მეფედ გამოარჩია ღვთის მსახური დავითი, რომლის შთამომავლებიც, ახალი აღთქმის დამტკიცების შემდეგ, საქართველოში მოვიდნენ. დავით მეფე -წინასწარმეტყველისა და ჩვენი უფლის, ქრისტეს ნათესავების შთამომავლები ჩაუდგნენ საქართველოს სათავეში... ღვთისგან კურთხეული მეფის ხელისუფლების ვალია, რომ იყოს ეკლესიის გამაძლიერებელი.... მეფე ხდება ღვთის ნების შემსრულებელი და ღვთის კურთხევის მომტანი მთელ ერზე... რათქმაუნდა მეფისა და პატრიარქის ხელისუფლებათა სიმფონია ხელს უშლის ბოროტებას... პატრიარქისა და მეფის მმართველობის დროს მთელი ერი განსაკუთრებული წესებით ცხოვრობს. პირველ რიგში ეს არის მორწმუნეობა... მათზე გადმოვა დიდი მადლი ღვთისაგან... სახელმწიფოს მეთაური სიმბოლურად იქნება წინასწარმეტყველის ხარისხის, რომელიც უშუალოდ უფალს ემორჩილება... ბაგრატიონთა გვარი...კიდევ იტყვის თავის სიტყვას... სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, დიდი მეუფის, ილია მეორის კურთხევაა, რომ საქართველოში მომავალში აღდგეს მონარქია"(გაზეთი ,,ჯორჯიან თაიმსი", 13-20 სექტემბერი, 2007 წელი, მთავარი რედაქტორი - გიორგი კაპანაძე). ინტერვიუ ჟურნალისტის ხელმოწერის გარეშეა გამოქვეყნებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ინტერვიუ თითქმის გამეორებაა ამავე გაზეთის 2007 წლის 12-19 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული გაიოზ მამალაძის წერილისა: "დავითიანების (ბაგრატიონების) დაბრუნება სამშობლოში 70 თაობის მერე". აქ არ შევუდგებით იმ აბსურდული, ილია ჭავჭავაძის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, საქართველოს იმ ,,შეთითხნილი" ისტორიული დეტექტივების შესახებ მსჯელობას, რომელსაც მოხსენიებული წერილის ავტორი გვთავაზობს. მკითხველს განვუმარტავ მხოლოდ, რომ წერილის სათაურში: ,,ბაგრატიონების საქართველოში დაბრუნების" ფაქტში ,,70 თაობის მერე" ავტორი - ბ-ნი გაიოზ მამალაძე, გულისხმობს საქართველოს პირველ ბაგრატიონ მეფეს, გუარამ ბაგრატიონს, როგორც გენეტიკურ შთამომავალს ებრაელთა პირველი პატრიარქის, აბრაამისას. ამრიგად გაიოზ მამალაძის აზრით ქართველი ბაგრატიონები ჯერ ,,აბრაამიანები" არიან. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაიოზ მამალაძისავე განმარტებით, ზოგიერთი მეცნიერის აზრით აბრაამი არ იყო ებრაელი, ხოლო გუარამ ბაგრატიონის წარმომავლობა კამათის საგანია, ებრაელები, ბაგრატიონების სახით დაბრუნებულან ,,შინ", ,,სამშობლოში", ანუ საქართველოში, პირდაპირ საქართველოს სამეფო ტახტზე, აბრაამიდან 70 თაობის გასვლის მერე, ამასთან ისრაელის დედამთავრის, ანუ იაკობის ცოლის, რაქელის მოსახელე, მაგრამ არარსებული რაქელის მიერ ქრისტიანულად მოქცეულნი, და როგორც შემდგომში მამა აკაკი მელიქიძის პირით გვეტყვის ბ-ნი გაიოზ მამალაძე, ქართულ ქრისტიანობას ჩასდგომიან სათავეში!(დიდება შენდა, ღმერთო!).მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც სიონისტური მოძრაობის ლიდერებმა ებრაული სახელმწიფოებრიობის აღდგენა დააყენეს დღის წესრიგში, სიონიზმის ზოგიერთი ცნობილი ლიდერის(თ. ჰერცლის, ლ. პინსკერის და სხვ.) აზრით მიზაშეწონილად ყოფილა მიჩნეული, ებრაელ ხალხს გაეროსაგან ეთხოვა პლანეტის რომელიმე დაუსახლებელი ახალი ტერიტორია, სადაც ისრაელი შექმნიდა საკუთარ სახელმწიფოსაც და საკუთარ ქვეყანასაც. როგორც ცნობილია, ებრაელი ერი მომთაბარე თემისგან მომდინარე ერია, რომელმაც, როგორც ბიბლია გადმოგვცემს, ეგვიპტური ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, მასზე დიდი და ძლიერი შვიდი ხალხის ქვეყანა მიითვისა ებრაელი ხალხის მფარველი ღმერთის შეწევნით და ადგილობრივ მკვიდრთა განადგურებით დაიმკვიდრა მათი ტერიტორია სათავისოდ. ებრაელებმა ეს იციან.(იხ.: ქართველი ებრაელის, აბონ ციციაშვილისა და ოთარ გაბიძაშვილის საეტაპო საუნივერსიტეტო გამოკვლევა: ,,იუდაიზმი და სიონიზმი",1982წ.) ებრაელთა ერთერთი მომთაბარე თემი, რომლის წინამძღოლიც აბრაამია, მიჩნეული წამოსულად არაბეთის უდაბნოს სამხრეთი ნაწილიდან, თავის მიგრაციულ ცხოვრებაში ქალდეველთა ქვეყანაშიც აღმოჩნდა შეხიზნული, საიდანაც კვლავ განაგრძო ამ თემმა თავისი მომთაბარული ცხოვრება. მაგრამ რადგანაც დიდ ხალხად იქცა, ცხოვრების წესიც უნდა შეეცვალა და აქედან იწყება მისი შინაგანი მოთხოვნილებაც რჯულისაც და საკუთარი ქვეყნის აუცილებლობისაც. ბ-ნი გაიოზ მამალაძე აბრაამის შთამომავალთა დაბრუნებას ,,შინ", ,,სამშობლოში", 70 თაობის მერე, რატომღაც განგვიმარტავს ბაგრატიონთა საქართველოში დაბრუნებად, თანაც - ახალი რჩეული ერის საბრძანისში და პირდაპირ სამეფო ტახტზე! (თურმე შენი ქვეყნის ტერიტორია თავისი ისტორიითა და სამეფო ტახტით, შეთითხნილი ისტორიებითაც შეიძლება გაყიდო და მიჰყიდო ფულიან დამპყრობელს! ეს საინფორმაციო ომების რანგში ასული თაღლითობა სინდისზე ხელაღებულ ფსევდო -მეცნიერებს საჭიროებს და ასეთებს პოულობენ).გასათვალიწინებელია, რომ ბ-ნი გაიოზ მამალაძე გარდა იმისა, რომ საპატრიარქოს ოფიციალური კონსულტანტია მონარქიის საკითხებში, საპრეზიდენტო არჩევნების მონაწილეც არის, ანუ პოლიტიკური ფიგურაა, და წარმოიდგინეთ, რამხელა ცინიზმთან გვაქვს საქმე, როდესაც თავად ქართველ ხალხს ვთავაზობთ მის არჩევას, ანუ მისი იდეების არჩევას, საქართველოს პრეზიდენტად!

ზემოთ, ღრმად პატივცემული მამა აკაკი მელიქიძის დაუფარავ და ღია განაცხადში, ერთი რამ არის სრულიად ნათელი, რომ გაიოზ მამალაძის დამოძღვრილი საქართველოს ეკლესია , მონარქიისაკენ მიიმართება ხედვით, რომელიც თავისი შინაარსით ,,პატრიარქისა და მეფის მმართველობის სიმფონიად" არის ფორმულირებული. ხოლო თუ ამ დროს საქართველოს პრეზიდენტადაც( ან პრემიერად!) ვინმე ,,გაიოზ მამალაძე" იქნება, ამას რა სჯობს. პატრიარქისა და მეფის სიმფონიური მმართველობის ფორმულირებაც, როგორც უკვე დამკვიდრებულს საქართველოს ეკლესიაში, პირდაპირ იმეორებს ჩვენი ეკლესიის ცნობილი პატივცემული მოძღვარი, დეკანოზი




არჩილ მინდიაშვილი, სულ ახლახან, 2014 წლის 17(4) ვარდობისთვეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი მიწერილ წერილში: ,,...მირონცხებული მეფის გამოჩენა საქართველოს აღდგომის დასაწყისი იქნება, როცა მეფე და პატრიარქი სიმფონიურად დაჰმწყსიან ჩვენს მართლმადიდებლურ ერს... მანამდე კი მძიმე გზა გვაქვს გასავლელი" (ვსარგებლობთ ინტერნეტში გამოქვეყნებული ტექსტით). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პატრიარქისა და საქართველოს მეფის ამ მმართველობით სიმფონიაში, მამა აკაკი მელიქიძის მსჯელობიდან სრულიად ნათელია, რომ მას, საქართველოს ეკლესიას, მიაჩნია, რომ საქართველოს სამეფო დინასტიის, ბაგრატიონთა დინასტიის აღდგინების სახით, საქართველოს სამეფო ტახტზე აღადგენს ,,ღვთის რჩეული ერის", ებრაელთა დიდი მეფის - დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთა ძალაუფლებასა და უფლებამოსილებასაც, რომლებიც, როგორც მამაო ბრძანებს, ,,საქართველოში მოვიდნენ" და ქრისტიანულ ,,საქართველოს ჩაუდგნენ სათავეში". ჩვენს თვალწინ სახეზეა საქართველოს მეცნიერებისა და საქართველოს ეკლესიის გათიშვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტი! საქართველოს დღევანდელი ეკლესიის ხედვაში სრულიად არის იგნორირებული მთელი ქართული მეცნიერება, ქართველ მეცნიერთა ანალიტიკური ცოდნა ქართველ ბაგრატიონთა ქართული წარმომავლობის შესახებ. იგნორირებულია ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, სიმონ ჯანაშიას და სხვათა საფუძვლიანი განმარტებები იმის შესახებ, რომ ბაგრატიონები წმინდა ქართული წარმომავლობის მეფენი არიან, მაგრამ იმის გამო, რომ ქართულ ისტორიოგრაფიულ აზროვნებაში განუმარტავი დარჩა მიზეზი ბაგრატიონთა ,,დავითიანებად" გამოცხადებისა, ანუ იმისა, თუ რატომ, რამიზნით და როგორ მოხდა ბაგრატიონთა გაგება ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად და დავითის მოდგმისად, ძალაში დარჩა ორივე, ანუ ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია: ისიც, რომ ბაგრატიონები წმინდა ქართული გენეტიკის მეფენი არიან და ისიც, რომ შთამომავალნი არიან ებრაელთა დიდი მეფისა, დავითის. ერთი რამ არის აუცილებელი, რომ აღინიშნოს: ეს ორმაგი ინფორმაცია ოდნავადაც არ გაკარებია ქართველი ხალხის გონებაში მკვიდრად არსებულ საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ერთმნიშვნელოვან ქართველობას. ქართველი ხალხისთვის ეს ორმაგობა არ არსებობს და საზომი ჭეშმარიტებისა სწორედ ქართველი ხალხია. ბაგრატიონთა ეს დავით წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობის გაგება, უფრო მწიგნობრულ -ისტორიოგრაფიული, და ამასთან უფრო ეკლესიური ვერსიაა, რომელზეც არც არასოდეს გაუმახვილებია ქართველ ხალხს ყურადღება, და იგი, ეს ვერსია, ეკლესიური კუთვნილებისად დარჩენილი, მაინც აღმოჩნდა რაღაც ფორმით სახეზე მყოფი, რომელსაც უსათუოდ ესაჭიროებოდა აკადემიურ- მეცნიერული განმარტება. ამ განმარტების ესოდენ მძაფრი საჭიროება არც დამდგარა და არც მოუცლია ამისათვის ქართულ მეცნიერებას. ამასობაში, განუმარტავმა ინფორმაციამ ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობისამ, ეკლესიურად წმინდა გადმოცემის მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ არასოდეს იმხელა, რამხელაც დღევანდელ ეკლესიურ რეალობაში მოხდა. ეს მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კონტექსტში, ეს მოხდა იმ პოლიტიკური პროცესების კონტექსტში, რომელსაც ეწოდა ,,მსოფლიოს ახალი წესრიგი" და რომელსაც სათავეში ებრაულ-მასონური მოძრაობა უდგას. ცხადია, ეს არ მომხდარა ბუნებრივად და თავისით. ქართველი ხალხისთვის, ცხადია, სრულიად წარმოუდგენელი იყო, და წარმოუდგენელია დღესაც, რომ მსოფლიო, თავისი ახალი წესრიგით, შეიარაღებული მსოფლიოს უზარმაზარი ფინანსური კაპიტალით და ,,ანკესზე" წამოგების ტექნოლოგიით, საქართველოს სამეფო ტახტისაკენ მოიწევდა...

(გაგრძელება იქნება)

**შეკვეთილი მასალა. ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი**

**გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, იაკობ გოგებაშვილის მედლისა დაქ ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, ბატონი ანზორ ბაბუხადია.**

**— ბატონო ანზორ, კარგა ხანია წერთ იმაზე, რომ საქართველოს სწორედ საქართველო უნდა ეწოდოს მსოფლიოს ყველა ენაზე, რაც კონსტიტუციით არის დაკანონებული.**

— ოც წელზე მეტია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის, „საერთო გაზეთში", ვაქვეყნებდი ჩვენი ქვეყნისთვის ყველა



# საქართველოს მსოფლიოს ყველა ენაზე საქართველო უნდა ერქვას...

მტკივნეულ და აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს.

ჩვენს ქვეყანას საქართველო რომ უნდა ეწოდოს მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე, ეს საკითხიც კარგა ხანია დავაყენე საზოგადოების წინაშე. გავითვალისწინე თქვენი გაზეთის განსაკუთრებული ავტორიტეტი და მოუკერძოებლობა, გამართლებულად ჩავთვალე, თქვენთან მეთქვა შემაჯამებელი, ე. წ. სეფე-სიტყვა საქართველოსთვის ამ ერთ-ერთი უპირველესი პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით ჩატარებული საქმიანობის შესახებ.

**— თუ უჭერს მხარს ქართული საზოგადოება თქვენს ინიციატივას?**

— ამ საქმეში, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სამინისტროს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც ოფიციალურად პირისპირ შევხვდი, ჩვენი იდეის ხორცშესხმას კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ მოტივით, რომ თუ დღის წესრიგში დადგება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო დონეზე, ანუ გაეროს მიერ აღიარებული სახელწოდების შეცვლა, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტზე. აქედან გამომდინარე, მას ამის გაკეთება, ამ ეტაპზე, პოლიტიკურად ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნია. მისივე თქმით, ამ პრობლემის თაობაზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას. მადლობა მას ასეთი „ბრძნული" დარიგებისათვის.

ერთ-ერთი სერიოზული ქართველი მეცნიერი ჩვენი იდეის განხორციელებას მთლიანად უჭერს მხარს და თან დასძენს, რომ, პრაქტიკულად, ამის რეალიზაცია შეუძლებელია, რადგან ჩვენი ქვეყნის ცნობადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება და, რაც მთავარია, გაეროს მიერ დამტკიცებული 194 დამოუკიდებელი ქვეყნის ალფაბეტის თანმიმდევრობით დაწყობილ ჩამონათვალში, ჩვენი ქვეყანა 64-ე ადგილიდან გადაინაცვლებს არაპრესტიჟულ მერვე ათეულშიო. ჩემს ოპონენტებს შევახსენებ, რომ ამ ჩამონათვალში საქართველოს შემდეგ იქნებიან საუდის არაბეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, უკრაინა, არაბეთის გაერთიანებული საემიროები და სხვები.

მეცნიერთა გარკვეულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ჩვენი იდეა მისაღებია, მაგრამ განუხორციელებელი. მათი აზრით, ამ ეტაპზე, საქართველოსთვის უცხო ქვეყნების მიერ შერქმეული სახელწოდების შეცვლა ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიკოსებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს ისტორიის პრობლემებზე, შეუქმნის გარკვეულ პრობლემებს.

**— ოპონენტები რას ამბობენ?**

— ერთ-ერთ ყველაზე სერიოზული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულების ორმა ტიტულოვანმა თანამშრომელმა, თითქოს ვიღაცამ დაავალათ, ცალ-ცალკე დოკუმენტში განაცხადეს, რომ ამ საკითხის დაყენება არასერიოზულია... საქართველოს ბევრი სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს გადასაჭრელი და წამოყენებული წინადადება განსახილველად არ ღირსო;

ერთ-ერთი ოპონენტი კი აცხადებს: „ამჟამად, როდესაც ჩვენი ქვეყანა ცდილობს დაუბრუნდეს ევროპულ ცივილიზაციას, არასასურველი იქნება, რომ მას სახელი გადაერქვას. ეს, სულ მცირე, არაფერს მოგვცემს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინააღმდეგი ვარ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო იწოდებოდეს „SAQARTVELO" (წესით, ამ სიტყვის ნაცვლად, განათლებულ და დიდი პრეტენზიების მქონე პიროვნებას უნდა დაეწერა „SAQARTVELO").

ერთ-ერთმა შემოქმედებითმა კავშირმა, მათდამი ჩემი დადებითი პირადი დამოკიდებულების მიუხედავად, მაცნობა, რომ თითქოს გამგეობის სხდომის ყველა მონაწილემ, ერთხმად კატეგორიული უარი განაცხადა ჩვენს წინადადებასთან დაკავშირებით.

სამაგიეროდ, ოფიციალურად უკვე 40-მდე ორგანიზაციამ, 30-ზე მეტმა საგვარეულოს წინამძღოლმა, 10-მდე მასმედიის დაწესებულებამ, 20-ზე მეტმა საქვეყნოდ ცნობილმა პიროვნებამ ოფიციალურად მაცნობა თავისი მხარდაჭერის შესახებ. რამდენიმე ორგანიზაცია და პიროვნება უახლოეს დღეებში, ოფიციალურად კიდევ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ საშვილიშვილო საქმისადმი.

აქვე მინდა გაგიმხილოთ ერთი საიდუმლო. ვიდრე ამ პრობლემას შევეჭიდებოდი გარკვეული კონსულტაცია მივიღე ქვეყანაში ამ საქმის ერთ-ერთი უპირველესი მეცნიერისგან, რომელმაც ბრძანა: „არ მეგულება ჭკუათმყოფელი კაცი, რომელიც ამ იდეას მხარს არ დაუჭერს". თან, გამაფრთხილა, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოგიწევსო.

ალბათ, ცალკე საუბრის თემა გახდება საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების არაადეკვატური დამოკიდებულება ჩემი ოფიციალური წერილებისა და პუბლიკაციებისადმი. ამაზე დეტალურად სხვა დროს ვისაუბროთ.

**— რამდენად სწორად მიგაჩნიათ, ანუ თუ დაფიქრებულხართ იმაზე, უხეშად რომ ვთქვათ, ვის სჭირდება დღეს საქართველოსთვის ამ სახელწოდების გაჟღერება მსოფლიოს ყველა ენაზე, როცა ეროვნების გრაფა პირადობის მოწმობებიდან საერთოდ ამოშალეს?**

— მოდით, ამ ორ საკითხს ამჟამად ნუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს. დარწმუნებული გახლავართ, რომ, როცა ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე დაუკანონდება თავისი ღირსეული სახელწოდება **საქართველო,** ამის შემდეგ აუცილებლად გადაწყდება თქვენს მიერ დასმული აქტუალური პრობლემაც. მით უმეტეს, რომ მისი განხორციელება ხელეწიფება საქართველოს პარლამენტს.

**ანა ვადაჭკორია**

568 97 61 60



# პრეზიდენტის შეცდომა

ადამიანის სიცოცხლის დაცვა სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედად მიიჩნევა ცივილიზებულ საზოგადოებაში. ჰუმანიზმი არ აძლევს სახელმწიფოს უფლებას ხელჰყოს თუნდაც დამნაშავის სიცოცხლე.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, როდესაც ე. შევარდნაძეს გლოვობდა, საპრეზიდენტო სიტყვაში იგი საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმების ინიციატორად წარმოადგინა. ეს სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს, რისი შემოწმებაც ფრიად მარტივია, საკმარისია, ადამიანი გაეცნოს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 15 მარტს მიღებულ კანონს. იხილეთ გაზეთი „ქართველი ერი" №6 (10), მარტი, 1991 წელი.

**საქართველოს რესპუბლიკის კანონი**

**„ზოგიერთი დანაშაულის სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ"**

**ხელმძღვანელობს რა ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის პრონციპებით, აგრეთვე მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და ორგანიზაციების მოთხოვნით იმის თაობაზე, რომ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა, როგორც დროებითი და იძულებითი ღონისძიება, არ იქნეს გამოყენებული ზოგიერთი დანაშაულისთვის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:**

**1. გაუქმებული იქნეს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა დანაშაულისთვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლით (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება), 89-ე მუხლით (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა), 96 პრიმა მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება) და 189-ე მუხლით (ქრთამის აღება).**

**2. იმ განაჩენში, რომლითაც ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული დანაშაულისთვის დადგენილი სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა ამ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე არ არის მოყვანილი სისრულეში, ზემდგომი სასამართლო სიკვდილით დასჯას შეცვლის თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტი (15) წლამდე.**

**3. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნას მიღებისთანავე.**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**

**ზვიად გამსახურდია**

**ქ. თბილისი, 1991 წლის 15 მარტი".**

საქართველოში ახსოვთ ე. შევარდნაძის ორივე მმართველობა, როგორც 1972-1985 წწ. ასევე 1992-2003 წწ. მისი რეჟიმების დროს არაერთი სასიკვდილო განაჩენი იქნა გამოტანილი და აღსრულებული, მათ შორის, ე. წ. ეკონომიკური ხასიათის სამართალდარღვევებზე. 1992 წელს ე. წ. სამხედრო-საველე სასამართლოებიც კი მოქმედებდნენ და გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენი და მათ აღასრულებდნენ კიდეც. ასე რომ, ე. შევარდნაძე არანაირად არ შეიძლება გაიმიჯნოს სასიკვდილო განაჩენისგან. საქართველოში სიკვდილით დასჯა თუ გაუქმდა, მხოლოს იმის გამო, რომ 1999 წელს ჩვენი ქვეყანა მიიღეს ევროპის საბჭოში, რომლის უპირობო მოთხოვნაა მისი წევრი ქვეყნების მიერ სიკვდილით დასჯის გაუქმება. ასე რომ, შეცდომა მოუვიდა ბატონ პრეზიდენტს, როდესაც დაუმასხურებლად მიაწერა ე. შევარდნაძეს ჰუმანიზმის ალამდარობა.

**დავით არაბიძე**

# კროსვორდი



ჰორიზონტალი: 1. „სამუდარელი ჭაბუკის" დამდგმელი რეჟისორი. 2. უზურგო სკამი. 3. რუსეთში მოღვაწე მომღერალი თეონა ... 4. მაგნიტური ნაკადის საზომი ერთეული. 5. ელ. ხელსაწყო ვიბრაციისათვის. 6. ხავბით აგებული და ვაზით გადახურული საჩრდილობელი. 13. იტალიელი დიზაინერი. 14. ნაცილი ან ნამზითვი ქალი, ტყვე ქალი. 15. სოფი ლორენის ნამღერი გვარი. 16. რუსული გასართობი ჟურნალი ქალებისთვის ჩვენს ბაზარზე. 17. რაიმე გამტარში ელექტრული დენის აღძვრა. 19. მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მებრძოლი შეიარაღებული რაზმის წევრი. 20. საკონდიტრო ნამცხვარი. 24. ვერცხლისა და ოქროს ფული მე-XIII-XIX საუკუნის ევროპის ქვეყნებში. 26. იაპონური ავტომობილი. 28. ოპერის იტალიელი მომღერალი ტიტო ...

ვერტიკალი: 3. გარკვეული დანიშნულებისთვის საგანთა სრული რიცხვი, სრული შემადგენლობა. 7. ეს მცენარე ბრაზილიის გერბზეა გამოსახული. 8. თურქეთის პრეზიდენტი. 9. რომის პირველი იმპერატორი. 10. მოკვეთილი კიდურის ან სხვა ორგანოს დარჩენილი ნაწილი. 11. ლითონის კოლოფი, რომელიც იცავს შიგაწყობის მრავალ დაზიანებისა და გაჭუჭყიანებისაგან. 12. ქართველი მწერალი, „ქაჯანის" ავტორი. 13. საკვები პროდუქტი, გამხმობილი ცომის ძაფები საუკეთესო ხორბლის ფქვილისა. 18. გერმანიის საფეხბურთო გუნდი. 21. ომში ნაშოვნი ქონება, ნადავლი. 22. ინდონეზიის კუთვნილი კუნძული. 23. შტატი ამერიკაში. 25. ცხვრის ფარაში – მწყემსი, რომელიც დაკარგულ ბატკანს დედას მიაკვრის. 27. ამერიკელი ჯაზმენი პიანისტი ... პიტერსონი. 29. მამაკაცის მკვლევბური სამოსი. 30. შეპყრობილი მტერი ომის დროის საომეური ცნობების გასაგებად. 31. მსხვილი კერძო ადგილ მამული ფეოდალიზმის დროს.

## იაპონური [illegible]





# ჭიჭუმ მძლავრი

„გულში ჯვარით და ხელში ხმლით იბრძოდა, იღწვოდა, სისხლს ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა“ ილიას ნათქვამი ეს სიტყვები, როგორც ყოველი მისი წყალობანათქვამი შეძლვნა ქართველი კაცისადმი, ხნულის კვალივით ტოვებს ლაშებს. ქარაგოზივით ქეჯნა მიკრული იმ ვანებით ქვედაზიდული ჩვენი გონება ვერ წვდება ქრისტიანობას, განგრილებულად რომ გვიტვირთავს! ვერ გავსწავლეთ თუ თქვენი ჯიშისანი ვართ? რატომ გვჭირს სიტყვით ვაიმე, გულში სხვაიმე! რატომ არის რომ ქართულ მიწას მოცილებულებს, მიწის გარეთ დარჩენილი ნიორივით, ქუხილისა რომ ეშინია



და გაზაფხულის პირველ დაქუხებაზე ნიორივით ჩაიფუკება და ნივრის ნაქურჩალივით ვრჩებით უცხო მიწის, ნაქურჩალი ქართველნი! თუ, თვალით მხილველნი,ხელით მსახურნი და ყურით მსმენელნია მიზეზი გადაჯიშებისა! რატომ დაგვესხა ენას ნაღველი! რატომ ვერ ვარჩევთ რომ, ზნე-ჩვეულებად რომ სჭირს კაცს,კეთილი თუ ბოროტი ის არის. ზნეობა კი ზრდილობა ანუ ცოდნაა მისი. ხელისუფალი — მოხელეობით მქონებელია მბრძანებლობის უფლებისა,დროის მოცვლამდე.. თავისუფალი კი — არავის მონაა (I კორ.9,20; მატ.17,26). რატომ ვერ ვარკვევთ რომ, სიმართლე ანუ მართალი ჭეშმარიტებაა! სამართალი კი — კაცის კანონის წესი წამსვე მოფერვაზდებინ და ცნობისწადილის უქონებელ კაცსაც, უტყვსაც და მეტყვს სული ჩაგედგმება და წყურვილს აღმოგივსებს.

ეხლა კი, ნანით უნდა შევკადრო გულში ჯვარიან და ხელში ხმალიან ქართველს. სად გაჰქრა თქვენი შთამომავლობა?! ...და თუ ჩვენა ვართ, მაშინ რატომღა მოვზღუდეთ ეკლოვანებით ნაყოფთა მშენიერება ვენახისა! რატომ აღარ გვაქვს ნივნივად გარდანაჭდომი, მადლი უფლისა და სიკეთე კაცისა! სად არიან მართალმსაჯულნი და ხელის მპყრობელნი ულონოთა და ქვრივთა! განა თქვენ არ ამბობდით: ბარში რომ ჭკუა დაიკაგება, მთაში მოძებნიანო! ვეღარც მთაში რომ ვერ ვიპოვეთ რა ვქმნათ! რა გვჭირს ასეთი, ეჩოსავით რომ გვინდა ჩვენსკენ რომ მივიყაროთ და არა ხერხივით რომ გააქ და გამოაქ. ეგებ სიბერის უძლურებაა და უკუმიქცევა კაცისა! თუ ნაყრორიგი და ნორმაა.ამიტომაც აქვს სამართალს ფორმები: კანონის გადახვევა, კანონის დარღვევა, კანონის შემოვლა და სხვ. სიმართლეს კი მარტო ერთი ფორმა აქვს ჭეშმარიტება! თუ კი კაცობრიობა დღემდე იმის ძებნაშია რა არის ჭეშმარიტება?! ჩვენ კი გვყადეს მოძღვარი ამოუხსნელის ახსნა გასწავლოს, რატომ არ უსმენთ რა გვჭირს! რატომ ვერ ვხდებით რომ უცხო თესლის კაცი ჭიჭუმ მძლავრი გადარჯულებას, გადაჯიშებას ლამობს და უცილობლივ მოგვკვეთს თავს რადგან ჯიში ქართული და ისტორია მისი ხელს უშლის პირველკაცობას მისას!

შემინდეთ ჩემი კადნიერება რამეთუ „რწყილნიც უკბენენ კაცთა მძინარეთა ღამესა შინა, რათა განაღვიძონ ძილისაგან და აღდგნენ ლოცვად!“

**პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი**

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**— დედას ქმრის ოჯახმა ბავშვი წაართვა და ნახვის საშუალებას არ აძლევს. როგორ მოვიქცეთ?**

— თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და სარჩელით მოითხოვოთ, რომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს თქვენი საცხოვრებელი მისამართი. სანამ ეს მოხდება, თქვენ შეგიძლიათ, ასევე, მიმართოთ განცხადებით სასამართლოს, განგისაზღვროთ ბავშვის ნახვის დღეები და საათები. სავარაუდოდ, აღნიშნული საკითხის დარეგულირება სასამართლოს მიერ მოხდება ბავშვის მამასთან შეთანხმებით.

* * *

**—შეიძლება თუ არა სასამართლო ხარჯების გადავადება ან შემცირება კანონის მიხედვით?**

— შეიძლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარე გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ან შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

* * *

**— ვის მიერ უნდა მოხდეს განქორწინების მოწმობის გაცემისას ბაჟის გადახდა?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1131- მუხლის მიხედვით, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული ბაჟი, ასევე, თუ საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

* * *

**— ჩემი მეუღლე პატიმარია. მას მისჯილი აქვს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსურს მასთან განქორწინება. არის თუ არა ეს შესაძლებელი, მისი პატიმრობის გათვალისწინებით და, თუ შესაძლებელია, როგორ მოხდება ეს სამართლებრივად?**

— ეს შესაძლებელია. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

ამავე კოდექსის 1139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლე, რომელსაც სურს განქორწინება ხსენებული საფუძვლით, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული , კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფადებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს იმის თაობაზე პასუხის შეტყობინების ვადა, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3თვეს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

დავის არსებობის შემთქვევში განქორწინების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა.

ავეჯის
გადაზიდვა
593 20 46 87



# ცნობილი ადამიანების უცნობი სიყვარულის ისტორიები

## შერი და ტომ კრუზი

დიდი ხნის წინ, 20 წლის წინათ, 20 წლის ტომი და 36 წლის შერი ერთმანეთს შეხვდნენ. მათ შორის რომანტიკული ურთიერთობები გაჩნდა. ამ სიყვარულს თვით შერი ასე იხსენებს: „ჩვენში დაიბადა საოცარი ურთიერთლტოლვა“. წყვილმა გასული საუკუნის 80-იან წლებში გაიცნეს ერთმანეთი თეთრ სახლში, საქველმოქმედო საღამოზე. ახალგაზრდა მსახიობის მომხიბლველმა გარეგნობამ მომღერალს ძილი გაუკრთო. „კინაღამ ჭკუიდან შევიშალე“, — იხსენებდა შემდეგ შერი ოპრა უინფრის შოუში.

სამწუხაროდ, რომანი დიდხანს არ გაგრძელებულა, ისინი ასაკმა გაყარა.

## მადონა და დენის როდმანი



მადონა ყოველთვის განიცდიდა ნაზ გრძნობებს ისეთი მამაკაცების მიმართ, რომელთა აღნაგობა აპოლონის სხეულს ჰგავდა. შეიძლება ითქვას, ამის გამოც იყო, რომ მადონა კალათბურთით დაინტერესდა, თუმცა ბურთზე უფრო დიდ ყურადღებას დენის როდმანს უთმობდა. ეს იყო ძალიან მაღალი კაცი ტატუიროვკით და ცისარტყელასავით ყველანაირ ფერზე შეღებილი თავით. თუმცა რომანი დიდხანს არ გაგრძელებულა, ტაბლოიდები წერდნენ, რომ მადონა აპირებდა შვილი გაეჩინა დენის როდმანისგან.

„ჩვენი დაშორება განაპირობა ენ-ბი-აი-ს ტურნირმა, რის გამოც ჩვენი კონტაქტი ოვულაციის პერიოდს არ დაემთხვა“. — განაცხადა თავის სკანდალურ ინტერვიუში დენის როდმანმა.

## კრისტინა ეპლგეიტი და ბრედ პიტი

80-იან წლებში ანჯელინა ჯოლის რჩეული სერიალ „დაქორწინებულნი ბავშვებით“ მსახიობ კრისტინა ეპლგეიტს შეხვდა. მაშინ ის ჯერ კიდევ არ იყო ყველა ქალის საოცნებო მამაკაცი. კრისტინას კი ბიჭები ადვილად უყვარდებოდა და თან ძალიან ცანცარაც იყო, როგორც ყველა ლამაზი გოგო და მით უმეტეს, მსახიობები. 1989 წელს ისინი ერთად გამოჩნდნენ ლოს-ანჯელესში ახალი ტელევიზიის გახსნისას. მაგრამ შესაძლებელი იყო ასეთი მომხიბლველი მამაკაცის დიდხანს შენარჩუნება? მალე დაიწყო სერიალი „მეგობრების“ გადაღება და ბრედი სხვა გოგონას შეხვდა, მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა.

## ნიკოლ კიდმანი და ლენი კრავიცი

ტომ კრუზთან განშორების შემდეგ ნიკოლს რომანტიკული სიყვარული ეწვია, ის გადააწყდა გამოუსწორებელ დონ ჟუანს, თავიდან ფეხებამდე ტატუში ჩამჯდარ როკ მომღერალ ლენი კრავიცს. ტაბლოიდებმა ფსონებიც კი დადეს, სადამდე გასტანდა ეს უჩვეულო რომანი. 39 წლის კრავიცს ხმაურიანი ცხოვრება უყვარდა, გართობა და ღამის მხიარულებანი, ნიკოლი კი ნამდვილი კრუზხი. ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ, როგორც ამბობენ, მათი გაყრის მთავარი მიზეზი ლენის გაუთავებელი თავგადასავლები და აშვებული ცხოვრების წესი იყო.





## მაიკ ტაისონი და ნაომი კემპბელი

სანამ „შავი პანტერა“ ვლადისლავ დორონინს შეხვდებოდა და მოსკოველი გახდებოდა, მანამ მის გულში ბოქსის გონგის ხმა ექოსავით ისმოდა და ძლიერ სიყვარულს ახსნებდა. 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიო მოდის ერთ პატარა საღამოზე ნაომიმ მსოფლიოში ცნობილი ბოქსიორი მაიკ ტაისონი გაიცნო. ნაომი მაშინ 17 წლისა იყო. ტაისონსა და კემპბელს ერთმანეთი მაშინვე მოეწონათ. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ტაბლოიდების გარეკანზე, როგორც „მზეთუნახავი და ურჩხული“. მათი რომანი სულ რაღაც ნახევარ წელს გაგრძელდა.

## სარა ჯესიკა პარკერი და ჯონ კენედი-უმცროსი

სანამ სარა ჯესიკა პარკერი ცნობილი მწერალი კერი ბრედშოუ გახდებოდა, ოცნებობდა გამხდარიყო მისის კენედი. ერთხელაც 1991 წელს ბროდვეიზე, სპექტაკლის შემდეგ მოსეირნე 26 წლის ჯესიკა პარკერს ყვავილების თაიგული მიართვეს წარწერით, სადაც იტყობინებოდნენ, რომ კენედების დინასტიის მემკვიდრე პრინცი ვახშამზე ეპატიჟებოდა.



ჯონი ყურადღებიანი და ალერსიანი იყო სტუმრის მიმართ. სარამ თავი უკვე წარმოიდგინა საქორწინო კაბაში, მაგრამ ხელის თხოვნას პრინცი არ ჩქარობდა. ბოლოს ველარ მოითმინა და თვითონ ჰკითხა მომავალი ქორწილის შესახებ ჯონს, რითაც სამუდამოდ დაკარგა იგი. 1999 წელს, როცა ტაბლოიდები იუწყებოდნენ ატლანტიკის თავზე ავიაკატასტროფის შესახებ, სარა უკვე მეთიუ ბროდერიკის ცოლი იყო და სერიალში „სექსი დიდ ქალაქში“ მონაწილეობდა.

## ჯორჯ კლუნი და ლუსი ლუ

ნიჭიერი, მომხიბლავი, ქალების გულთამპყრობელი, ასეთია ჯორჯ კლუნი დღესაც, მაგრამ რა იყო ადრე? ადრე იყო რომანი აზიელ მზეთუნახავთან ლუსი ლუსთან. როგორც კი ის როიალთან დაჯდებოდა, მის ფეხქვეშ ეფინებოდა მამაკაცთა სამყარო. 2001 წლის დასაწყისში ჯორჯ კლუნისა და ლუსი ლუს წყვილი ერთ მოდურ წვეულებაზე ნახეს, რადგან მათ იშვიათად ხედავდნენ ერთად, პუბლიკის დიდი ყურადღება მიიპყრო ამ გამოჩენამ, რადგან ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ჯორჯ კლუნს უკვე ჰქონდა პარალელური რომანი სერიალ „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ერთ-ერთ პერსონაჟთან ტერი ჰატჩერთან. ქალბატონთან, რომელიც ასევე დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ კლასიკური მუსიკის.

მოამზადა
**ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ამ პერიოდში ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი გართობასა და დასვენებას დაუთმეთ. გელით ბევრი სასიამოვნო ინფორმაცია. ამ პერიოდში დაგეგმილი საქმიანი მივლინება წარმატებას გპირდებათ.

**კურო** — თქვენს ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. გელით პერსპექტიული წინადადებები. ფინანსურ ოპერაციებში წარმატებას ადვილად მიაღწევთ. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში მნიშვნელოვან შენაძენს გააკეთებთ.

**ტყუპები** — პირად ცხოვრებაში მცირედი ვნებათაღელვის მიუხედავად, ეს პერიოდი პოზიტიურად ხასიათდება. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ, ნურც წვეულებებზე იტყვით უარს.

**კირჩხიბი** — საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. სიფრთხილე გმართებთ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას. ამ პერიოდში დაგეგმილი ხანგრძლივი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

**ლომი** — გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა იღბლიანი პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ. დრო გამონახეთ მეგობრებისთვისაც. რთულ სიტუაციაში დახმარებისთვის სწორედ მათ მიმართეთ.

**ქალწული** — თქვენთვის წარმატებული პერიოდი დადგა. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია დაისადგურებს. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებშიც.

**სასწორი** — ადვილად ნურავის ენდობით. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან ურთიერთობისას. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. ამ პერიოდში მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ.

**მორიელი** — სიფრთხილე გმართებთ ჯანმრთელობასთან მიმართებაში, კარგი იქნება, თუ პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ. დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ.

**მშვილდოსანი** — ხელმძღვანელობასთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა თქვენს კარიერაზე სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

**თხის რქა** — პირად ცხოვრებაში მცირედი იმედგაცრუება გელით. ფინანსურ ოპერაციებში წარმატებას ადვილად მიაღწევთ. კარგი იქნება, თუ მნიშვნელოვან შენაძენს გააკეთებთ.

**მერწყული** — ეს პერიოდი პირადი ცხოვრების მოწესრიგებას დაუთმეთ. ერიდეთ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტურ სიტუაციას. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.

**თევზები** — ეცადეთ, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრები დაგეგმოთ, რადგან წარმატებას ადვილად მიაღწევთ. ერიდეთ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ამ პერიოდში დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

**სკანვორდი**

1.ბურბუშელა. 2. ბჟენი. 3. ჟილეტი. 4. ნეპი. 5. ურსუსი. 6. გლინტვეინი. 7. გროსო. 8. ლაპი. 9. პალაცო. 10. შტუტგარტი. 11 ვალეტი. 12. კამელინი. 13. ფლეში. 14. მოდა. 15. ელზა. 16. შაბლონი. 17. კოშკი. 18. პო. 19. ასტეროიდი. 20. იმპორტიორი. 21. ისააკ. 22. დიფუზია. 23. კიკერი. 24. ფიდერი. 25. პოლინეზია. 26. ჯორი. 27. ბზობა. 28. ჩიმიშკიანი. 29. ჩიკორი. 30. რეისი. 31. საირმე. 32. იალკიალი. 33. აჩიკო. 34. კაიაკი. 35. სერენგეტი. 36. კასკადი. 37. განგაში. 38. თესალონიკი. 39. განთიადი. 40. ფულე. 41. ლიფონავა. 42. ალბანეთი. 43. ბლანკა. 44. სეიშენი. 45. ფილე. 46. იარაღი. 46ა. ფო. 47. გორიო. 48. რიკული. 49. ნოლტი. 50. აეროფობია. 51. პერონი. 52. ინაური. 53. პიონერი. 54. ნათია. 55. გორან. 56. სკიფი. 57. ქოშინი. 58. ტიკი. 59. სატრაპი. 60. ბია. 61. როვნო. 62. ლუქი. 63. ქულა. 64. არკა. 65. იორი. 66. შვი. 67. ატენი. 68. სარკო. 69. გეკო. 70. გასმანი. 71. ოლღა.

**კროსვორდი**

შვეულად: 1. მანაგაძე. 2. ტაბურეტი. 3. კონტრიძე. 4. მაქსველი. 5. ეპილატორი. 6. ტალავერი. 13. ვალენტინო. 14. მხევალი. 15. შიკოლონე. 16. ლიზა. 17. ინდუქცია. 19. პარტიზანი. 20. ნაპოლეონი. 24. დუკატი. 26. ჰონდა. 28. რუფი.

თარაზულად: 3. კომპლექტი. 7. თამბაქო. 8. გიული. 9. ავგუსტუსი. 10. ტაკვი. 11. კარტერი. 12. ლომოური. 13. ვერმიშელი. 18. ლევერკუზენი. 21. ნადავლი. 22. სუმატრა. 23. ინდიანა. 25. მცნობი. 27. ოსკარი. 29. ჩოხა. 30. მოენე. 31. ლატიფუნდია.

ISSN 2233-3983
9 772233 398001